ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი



www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru

№275 (334) 1-8 ივლისი 2014 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

ის კი არაა სირცხვილი, რომ მეგრულად საუბრობენ, არამედ ის, რომ დანარჩენ ქართველებს არ გვესმის მეგრული – აკაკი შანიძე

რატომ არ უნდა მივცეთ ხმა ნიკანორ მელიას!

სამწუხაროა, რომ დღეს ამ საკითხის ახსნა გვიწევს ქართული საზოგადოების იმ ნაწილისათვის, რომლებიც ვერა და ვერ დარწმუნდნენ იმაში, რომ ავადსახსენებელი **“ნაციონალები”** საქართველოს გამღატაკებელი და დამშლელ-გამანადგურებელი ძალა უფროა, ვიდრე მისი აღმშენებელი.

მაშ ასე, რატომ არ უნდა მივცეთ ხმა თბილისის მერობის ნაციონალ კანდიდატს ნიკანორ მელიას:

– იმიტომ, რომ დანაშაულებრივმა ორგანიზაცია **“ნაციონალურმა მოძრაობამ”** არ მოახდინა საკუთარი რიგების რებრენდიგი, ხარისხობრივად არ გადაახალისა ხელმძღვანელი შემადგენლობა, რომელშიც კვლავ დგანან და უტიფრად გვემუქრებიან პოლიტიკური რევანშით სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი, კეზერაშვილი, უგულავა, ახალაიები, და სხვა გადაგვარებული არსებები;

– იმიტომ, რომ როცა თავის წინასაარჩევნო გამოსვლაში ნიკანორ მელია მუდამ აკეთებს აქცენტს ხალხის დამთრგუნველ მაღალ კომუნალურ გადასახადებზე, არაფერს ამბობს იმაზე, რომ ეს მაღალი გადასახადები ხალხს, მათი გაღატაკების და პოლიტიკურად იოლად მანიპულირების მიზნით სწორედ მისმა თანაგუნდელმა ნაციონალებმა დაუწესეს;

– იმიტომ, რომ იმ რუსთაველის გამზირს, რომელზეც ამაყად დააბიჯებენ უგულავა და მისი თანაგუნდელები, ჯერაც არ შეშრობია ნაციონალი კანიბალების მიერ დაღვრილი მშვიდობიანი დემონსტრატების სისხლი;

– იმიტომ, რომ სწორედ ნიკანორ მელიას თანამზრახველებმა გამოუცხადეს 2008 წლის აგვისტოში ომი რუსეთს და დეიურედ დაუკარგეს საქართველოს მისი ტერიტორიების 20 პროცენტზე მეტი;

– იმიტომ, რომ ნიკანორ მელიას თანამზრახველებმა ციხეები გამოავსეს უდანაშაულო ხალხით, გააყიდვინეს მათ სახლები და უკანასკნელი საარსებო საშუალებები, რათა თავისუფლება ეყიდათ საპროცესო გარიგებებით და ამგვარად აერიდებინათ თავი ციხის სატანური პირობებისათვის;

– იმიტომ, რომ სწორედ ნიკანორ მელიას თანაგუნდელებმა აქციეს ქართული ციხეები წამების ეშაფოტად, რათა დამრთხალ ხალხს ყველაფერი დაეთმო იმ ბედლამში მოხვედრის სანაცვლოდ;

– იმიტომ, რომ სწორედ ნიკანორ მელიას თანაგუნდელები და მისი წინამორბედი გიგი უგულავა წურბელებად ასხდნენ სახელმწიფო ბიჯეტს და ხალხისათვის განკუთვნილ თანხებს ძირითადად მეძავებს, მასაჟისტებს და ძვირადღირებულ უცხოურ მივლინებებს ახმარდნენ, სადაც, ქვეყნისათვის სასარგებლო საქმის გაკეთების ნაცვლად, მათნაირ გარყვნილებთან ერთად ნებივრობდნენ;

– იმიტომ, რომ ნიკანორ მელიას თანაგუნდელთა მიერ ოკუპირებულ თბილისში დაინგრა ისტორიული ძეგლები, რომელთა ადგილებზე აღმართულია ველოსიპედის ჩონჩხები, უსახური შადრევნები, **“ტრუბად”** წოდებული რიყის საკონცერტო დარბაზი და სხვა სიმახინჯეები;

– იმიტომ, რომ ნიკანორ მელიას ცხოვრებაში არაფერი ღირებული არ გაუკეთებია, თანამდებობა მუქთად ჩაიგდო ხელში, სისტემატურად დროს ატარებდა რესტორნებსა და ჩხუბში (მაგ უდღეურს ჩხუბის თავიც არა აქვს, რადგან ამასწინანდელ, მისი თანმხლების პირების მიერ პროვოცირებულ დებოშში კარგა ლაზათიანად მიძუნეს, ქალაქის ერთ-ერთ ფეშენებელურ რესტორანში);

– იმიტომ, რომ ნიკანორ მელიას საზოგადოებაში არავითარი სახელი და ღირსება არ გააჩნია და მის მთელ პოლიტიკურ კაპიტალს, მამამისის – ცნობილი კარდიოლოგის ანზორ მელიას ავტორიტეტი წარმოადგენს;

– იმიტომ, რომ ნიკანორ მელიაც ისეთივე პოტენციური **“მეცოცხე”** და საკუთარი თანამოქალაქეების სულისამომხდელია, როგორიც ავადსახსენებელი **“ნაციონალური მოძრაობის”** ყველა ხელმძღვანელი, რიგითი წევრი, აქტივისტი, მხარდამჭერი და სხვა ჯურის თანამგრძნობი;

– იმიტომ, რომ ნიკანორ მელიასათვის ისევე უცხოა **“დემოკრატიის”** მცნება, როგორც ყველა ტოტალიტარიზმის მოტრფიალე მისი ნაცი თანამზრახველისა და მხარდამჭერისათვის;

– იმიტომ, რომ ნიკანორ მელია დღესაც ერთგული რჩება თავისი იმ ხროვისა, რომელთაც დააკნინეს ქართული სული, დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს ქართულ ისტორიულ ღირებულებებს, სასტიკად შეურაცხყვეს ქართული მართლმადიდებლური სარწმუნოება და ლამის სექტის დონეზე დაიყვანეს იგი;

– იმიტომ, რომ მისი წინამორბედი გიგი უგულავა წმინდა წყლის სისხლის სამართლის დამნაშავე და უთავმოყვარეო ადამიანია, რომელიც კონკრეტული დანაშაულისთვის თანამდებობიდან გადააყენეს, მაგრამ მაინც თავგანწირვით იბრძოდა რამდენიმე დღით ძველ თანამდებობზე აღდგენისათვის, რათა მოეხერხებინა თუნდაც რამდენიმე დანაშაულებრივი კვალის ჩაფარცხვა;

– იმიტომ, რომ ნიკანორ მელია შეინარჩუნებს მერიაში იმ ნაცხროვას, რომელთაც გაანადგურეს ქალაქის სარეკრეაციო ზონები, ვანდალურად დაჭრეს საუკუნოვანი ხეები, გაასხვისეს საბავშვო ბაღები და ბაგები და იმპულსი მისცეს უთავბოლო, საზოგადოებისათვის გამოუსადეგარ იმ მშენებლობებს, რამაც აუტანელი გახადა თბილისში ცხოვრება;

– იმიტომ, რომ ნიკანორ მელია წარმოადგენს იმ **“ნაციონალურ”** დანაშაულებრივ ალიანსს, რომელმაც, ქრთამის ფასად, უცხოელებზე გაასხვისა ქართული მიწები და ადგილობრივი მოსახლეობა დასტოვა საძოვრებისა და სახნავ-სათესი მიწების გარეშე;

– იმიტომ, რომ ნიკანორ მელიას თანამზრახველმა ნაცებმა მათი ავბედითი მმართველობის ცხრა წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოიპარეს 15 მილიარდზე ლარზე მეტი და ქვეყანას დაუტოვეს 12-მილიარდიანი საგარეო ვალი;

– იმიტომ, რომ ნიკა მელიას თანაპარტიელებმა და თანამზრახველებმა ლამის გაანადგურეს ქართული მწერლობა, კულტურა, მეცნიერება, განათლება, ღვაწლმოსილი და ღირსეული ადამიანები კი **“ჩარეცხილებად”** შერაცხეს;

– იმიტომ, რომ ნიკანორ მელიას თანაგუნდელებმა საკუთარი შემოსავლის წყაროდ აქციეს ქართული ეკონომიკა, მონოპოლიური გახადეს მთელი რიგი დარგები, რომელთაც მძლავრი სახელმწიფო აპარატი ეხმარებოდა ისედაც გაღარიბებული ქართული მოსახლეობისაგან უკანასკნელი გროშების ამოღებაში, როთაც საბოლოოდ დასვეს სიღარიბის ზღვარს მიღმა საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა;

– იმიტომ, რომ ნიკანორ მელიას საფიცარმა პრეზიდენტმა, მისმა დანაშაულებრივმა გარემოცვამ და ოჯახის წევრებმა კაპიკების ფასად ჩაიგდეს ხელში სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი დიდძალი უძრავ-მოძრავი ქონება და ამ გზით იშოვეს მილიონები;

– იმიტომ, რომ სააკაშვილმა და მისმა ნაცხროვამ, რომლის ერთ-ერთი წევრიცაა ნიკანორ მელია, წინასწარი განზრახვით დაასუსტა საზოგადოებრივი სექტორი და გააძლიერა სახელმწიფო აპარატის ძალოვანი სექტორი (შინაგან საქმეთა სამინისტრო და სპეცსამსახურები), აღჭურვა ისინი განუსაზღვრელი უფლებებით, რაც საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამყარების წინაპირობად იქცა;

– იმიტომ, რომ თბილისის მერია, რომლის თავკაცობასაც აპირებს ნიკანორ მელია, ატარებდა დანაშაულებრივ ტენდერებს, რომელშიც, როგორც წესი, იმარჯვებდნენ უგულავას დაახლოებულ პირთა კუთვნილი კომპანიები, და ისინი, საჭირო მასალების შესასყიდი ფასების ხელოვნურად გაზრდით, დიდძალ საბიუჯეტო თანხებს ითვისებდნენ, რომელსაც შემდეგ **“ატკატის”** სახით უბრუნებდნენ მერიის მესვეურებს;

– იმიტომ, რომ ნიკანორ მელიას აპიარებს და ყალბ ავტორიტეტს უქმნის ნაციონალების საკუთრებაში მყოფი ფარისევლურ-მაამებლური ტელეარხები **“რუსთავი-2”** და **“ტვ-3”**, რომლებიც წლების განმავლობაში დახელოვდნენ ნაციონალური სიცრუეების ტირაჟირებაში;

– იმიტომ, რომ ნიკანორ მელია შეეცდება შეინარჩუნოს ავადსახსენებელი, თბილისელ მძღოლთა სისხლის გამშრობი, მოძალადე ავტოპარკირების კომპანია **“სიტი-პარკი”**, რომელიც ნაციონალთა ფულის საჭრელ მანქანად აქციეს უგულავამ და მისმა ხროვამ;

– იმიტომ, რომ ნიკანორ მელია არის მკვლელთა ბანდის – სააკაშვილის, მერაბიშვილის, ახალაიების, ქარდავების და სხვა ნაძირალათა გუნდის წევრი და მერად არჩევის შემთხვევაში იგი დაიცავს მაფიოზურად კლანად ქცეულ ნაცთა **“გუნდურობის პრინციპს”** და შეეცდება, ლეგალურად თუ არალეგალურად, ფინანსური და სხვა სახის დახმარება გაუწიოს ამ ავაზაკებს;

– იმიტომ, რომ ნიკანორ მელია არის გამოუცდელი კადრი და საქმის მცირემცოდნე, რაც დადასტურდა მისი თბილისის მთაწმინდის რაიონის გამგებლად მუშაობისას, სადაც მას ღირებული არაფერი შეუქმნია.

– იმიტომ, რომ ნიკანორ მელია არის უტიფრობით გამორჩეული ნაცების გუნდის **“ღირსეული”** წევრი, არის დემაგოგი და ცდილობს სიტყვიერი კაზუისტიკისა და დაზუთხული უმოქმედო კონცეფციების მოშველიებით დააბნიოს დებატებში მონაწილე ოპონენტი, რათა შემდეგ უვარგის მამლაყინწასავით ჩადგეს გამარჯვებულის პოზაში;

– იმიტომ, რომ ნიკანორ მელიას ავბედით შლეიფად ექნება გამოკიდებული მუდამ საშოვარს დახარბებული ნაცხროვა, რომელიც უკვე წელიწადნახევარია მოშორებული სალაფავს და არამი ფულის შოვნის გულისათვის უამრავ დანაშაულზე წააქეზებს მას;

– იმიტომ, რომ ქვეყნის სასჯელაღსრულების სისტემაში მუშაობისას ნიკანორ მელია ჩვეულებრივი ზონდერი იყო და, 7 ნოემბერს, უდანაშაულო დემონსტრანტებს **“ნაციონალური”** მონდომებით ურტყამდა თავპირში ხელკეტს, რისი მამხილებელი ვიდეოდოკუმენტი დიდი ხანია გამოქვეყნებულია სოციალურ ქსელებში ინტერნეტპორტალზე http://www.youtube.com/watch?v=5r3dKAP1rxM;

– იმიტომ, რომ ნიკანორ მელიას არ გააჩნია დებატების წარმართვის შინაგანი კულტურა, რადგან თავისზე ასაკით ბევრად უფროს ადამიანებსაც კი გამაღიზიანებელი ტონით კადნიერად ესაუბრება და პოლიტიკურ ოპონენტებს, ტელედებატებისას, არ აცლის ლაპარაკს;

– იმიტომ, რომ **“ნაციონალური მოძრაობის”** წევრად გახდომის შემდეგ ნიკანორ მელია ნებსით თუ უნებლიედ მონაწილეობდა ყველა იმ სიყალბეებში, რაც ავადსახსენებელმა ნაცებმა ჩაიდინეს ქართველი ხალხის წინააღმდეგ;

ყოველივე ამის შემდეგ მხოლოდ ერთი პუნქტში შემიძლია ჩავატიო იმის მტკიცება, თუ რატომ უნდა აირჩიოთ ქალაქ თბილისის მერად დავით ნარმანია – იგი გახლავთ საქართველოსადმი მუდამ ერთგულებით გამორჩეული სამეგრელოს მკვიდრი შვილი, არის მაღალი დონის მეცნიერი და უაღრესად საქმიანი და კომპეტენტური პიროვნება, რაც მან დაამტკიცა ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების მინისტრად მოკლე პერიოდში მუშაობისას.

მავანი შეიძლება შემომედავოს: ნიკანორ მელიაც ხომ სამეგრელოს კუთხის შვილიაო!

კი ბატონო, ნამდვილად ასეა, მაგრამ სამეგრელოს კუთხის შვილები არიან უგულავაც, ახალაიებიც, ქარდავაც, შამათავაც, გუნავაც, გოროზიაც და სხვა ნაციონალებიც, რომლებმაც თავი მოსჭრეს სამეგრელოს თავიანთი უღირსი საქციელით და ვაი-მოღვაწეობით.

მაგრამ სამეგრელოს ჰყავს სხვა უამრავი ღირსეული შვილი!

და საერთოდ, თავს უფლებას ვუტოვებ, რომ ნაციონალთა რიგებში მდგარი და მათი თანამგრძნობი ეთნიკური ქართველები მენტალურად ქართველთა რიგებს არ მივაკუთვნო და ისინი იმ მანქურთებად მივიჩნიო, რომელთაც ფეხებზე ჰკიდიათ სამშობლოსა და მშობელი ხალხის ბედი და მხოლოდ საკუთარ ინტერესებს ემსახურებიან.

ვინც ჯერ კიდევ ვერ გაიგო, თუ რატომ არ უნდა მისცეს ხმა **“ნაციონალ”** ნიკანორ მელიას, მას თავში იმ **“რიყის”** ქვა უხლია, რომელიც, თავის დროზე, სარფიანად გაყიდეს გიგი უგულავამ და მისმა თანამზრახველებმა, სხვადასხვა ბინძური კომბინაციებით აღებული ფული კი ურცხვად მიისაკუთრეს.

ამის შემდეგ ნურც ის გაგიკვირდებათ, რომ პოლიტიკურ რეგვენებს და ანგაჟირებულ არსებებს, რომელთაც არად მიაჩნიათ ქვეყნის ბედ-იღბალი, გისურვოთ: **“ჯანდაბამდეც გქონიათ გზა”!**

როლანდ ჯალაღანია,
“აია”-ს და “შაზისი”-ს აკადემიების წევრი

რამდენიმე სიტყვა საქართველოს ბურჯის მომრღვევ დედაკაცზე!

სიტყვა **"ბურჯი"**-ს მნიშვნელობას სულხან საბა ორბელიანი ასე განმარტავს: **"ბურჯი – სხვათა ენაა ჟამთაგან მოსული. ვარსკვლავთა ზოდიათა უწოდენ და კედლისასა გოდლედი ჰქვიან"**, ესე იგი, **"გოდოლს"** ნიშნავსო, რომელიც ქვეყნის ძლიერების დაცვის ფორპოსტად მიიჩნევა. რაც შეეხება **"სხვათა ენას"**, დიდი საბა არც ამაში ცდება, რადგან ნინო ბურჯანაძე რომ სხვაა, აშკარად არაქართული ჰაბიტუსი რომ აქვს და ამიტომ, მისი ეთნიკურად ქართველობა რომ ეჭვს იწვევს, ეს გარემოება მეტად თვალშისაცემია.

აი, გოდოლის საბასეული განმარტება ნამდვილად არ ემთხვევა ნინო ბურჯანაძის საქციელსა და დამოკიდებულებას საქართველოსადმი, რომ იგი ქვეყნის ძლიერების დაცვის ფორპოსტად მივიჩნიოთ, რადგან თუ მის მოღვაწეობას მივადევნებთ თვალს, დავრწმუნდებით, რომ იგი ამ გოდოლს უფრო მეტად ძირს ურღვევდა, ვიდრე აძლიერებდა, ანუ, თუ უფრო ზუსტები ვიქნებით, **"ლეონტი მროველისეული მონდომებით აძლიერებდა"**.

ვერა და ვერ მოიძებნა გენდერული წონასწორობის საპირწონედ თამარ მეფისა და ქეთევან დედოფლის დარი თუ არა, დარეჯან თათქარიძის მსგავსი ქალი მაინც, რომელიც, მართალია, ერისა და ქვეყნისათვის ბევრ სასიკეთოს არაფერს აკეთებდა, მაგრამ არც არაფერს აფუჭებდა!

ჩიხირთმა უყვარდა მხოლოდ და შვილის მოლოდინში ათენ-აღამებდა, რაც, თავისთავად, არ შეიძლება ჩაითვალოს დიდ სიბოროტედ!

ამიტომ, ადამის მოდგმის ამგვარ ინტერესში საძრახისს ნამდვილად ვერაფერს ვხედავ, რადგან, თუნდაც იგივე დარეჯან თათქარიძე, დღევანდელ ზოგიერთ სიხარბით თვალდავსებულ დედაკაცთა მსგავსად, დიდძალ ქონებას, ფულსა და თანამდებობებს არ მიესწრაფვოდა.

კარგია, როცა ადამიანს სასიამოვნოდ ჟღერადი გვარი აქვს, მაგრამ ბევრად უკეთესია, როცა იგი სავსებით ამართლებს ამ გვარს საკუთარი მენტალიტეტით (რა თქმა უნდა, **"მელია"** არა მყავს მხედველობაში, რადგან ტურას, მელას, აფთარს თუ სხვა მტაცებლებს სასიკეთო არაფერი მოაქვთ ადამიანებისათვის), რასაც, რა თქმა უნდა, ვერასდიდებით ვერ ვიტყვით ნინო ბურჯანაძეზე. იგი ქვეყნის დამანგრეველი **"ნაციონალებისა"** და მათი დორბლიანი ბელადის **"ბურჯი"** უფრო იყო, ვიდრე ქვეყნის აღმშენებლობის ფორპოსტი, ვიდრე მათაც არ ამოუვიდათ ყელში და გაცვეთილი სანდალივით არ მოისროლეს. თუმცა, იგი, როგორც ჩანს, მაინც მისი ზეობის პერიოდის ერთგული დარჩა და ამას მისი უკანასკნელი პოლიტიკური სვლა მოწმობს: **"ჩემი მომხრეები არჩევნების მეორე ტურში მინაწილეობას არ მიიღებენ!"**-ო, რაც თავისთავად თბილისის მერობის ნაციონალთა კანდიდატის ნიკანორ მელიას მხარეზე დგომას ნიშნავს. და ეს დედაკაცი დღესაც ჯიუტად გვიმტკიცებს, რომ ნაციონალებისა და მიხეილ სააკაშვილის დაუძინებელი მტერი ვარო.

სულელები ვგონივართ და ამიტომაც გვაყრის თვალებში ნაცარს!

მე არა ვარ პოლიტიკოსი, მაგრამ როგორც ფსიქოლოგიაში გათვითცნობიერებულ ადამიანმა, შემიძლია ვთქვა, რომ მოაზროვნე არსების პოზიციას განსაზღვრავს სამი ძირითადი ფაქტორი:

1. ამა თუ იმ საკითხისადმი მერკანტილური დამოკიდებულება, რასაც შეუძლია მას დიდძალი მატერიალური და ფინანსური სარგებელი მოუტანოს;

2. მრწამსი, ცხოვრებისეული კრედო, ზოგადი გაგებით თუნდაც მცდარი იდეა, რომელიც მას ერთადერთ სარწმუნოდ მიაჩნია;

3. ვიღაცის ჯიბრზე მოქმედება – შენ თუ ვერ აფასებ ჩემს შესაძლებლობებს, შენს მტერთან გადავალ და მერე დამაფასებ სათანადოდო.

შეგვიძლია დარწმუნებით მოგახსენოთ, რომ მეორე ფაქტორს ნინო ბურჯანაძესთან (არ გვინდა შევურაცხყოთ რწმენას შეწირული ჯორდანო ბრუნოს, იან ჰუსის, ომებში დაღუპული პატრიოტების და სხვა რეპრესიების უდანაშაულო მსხვერპლთა ნათელი ხსოვნა) არავითარი კავშირი არა აქვს, რადგან მას, საკვარაუდოდ, იდეური მრწამსი არ გააჩნია და მხოლოდ მერკანტილური ინტერესებით მოქმედებს.

როცა ამ თემას ჩავუჯექი, წამსვე ცნობილი ფრაზა გამახსენდა ინდური კინოფილმიდან **"ავარა"**, რითაც მოსამართლე მოძღვრავს ბედისწერისაგან დაზიხლულ მაწანწალად ქცეულ რაჯ კაპურზე შეყვარებულ თავის ნაშვილებ ქალიშვილს: **"წესიერი ადამიანის შვილი ყოველთვის წესიერი იქნება, ბანდიტის შვილი კი ყოველთვის ბანდიტი იქნება"**. ეს გახლავთ გენეტიკის აღიარების თვალნათელი მაგალითი, რაც, უმეტეს შემთხვევაში, ავბედითად ახდება ხოლმე. აი, თუნდაც ბურჯანაძეთა ოჯახის მაგალითი ავიღოთ.

ნინოს მამა ბატონი ანზორ ბურჯანაძე ხალხს ძირითადად ახსოვს იმ პერიოდიდან, როცა იგი თერჯოლის პარტიის რაიკომის პირველი მდივანი იყო. თუ გავითვალისწინებთ იმ მთავარ გარემოებას, რომ იგი დიდი ქრთამების მოყვარული ედუარდ შევარდნაძის ფავორიტი გახლდათ, ადვილი მისახვედრია, რომ საკმაოდ მდიდარი თერჯოლის რაიონიდან უკმაყოფილო არ წამოვიდოდა.

შევარდნაძემ არც მეორედ მოსვლის შედეგ დაივიწყა თავისი ფავორიტი და დამშეულ ქვეყანაში მთავარი ბედელი – პურპროდუქტების დეპარტამენტი ჩააბარა ანზორ ბურჯანაძეს. უპურობისა და უსანოვაგობის მძიმე ჟამს, დამშეული ხალხი ქატოს და თივის ფქვილით შეზავებულ პურზედაც არ ამბობდა უარს, რამაც მაშინ დიდი მოგება მოუტანა "პურის მაფიას".

აი, სწორედ ასეთ **"დაუმადლებელ"** ლუკმაზე იზრდებოდა ქალბატონი ნინო ბურჯანაძე, რომელსაც ბრძენმა ქართველმა ხალხმა შესაფერისი თიკუნი მოუძებნა – **"ფქვილის პრინცესა"**!

დიახ, ასეთი გახლავთ ბურჯანაძეთა გენეტიკური ხაზი და თვით მსოფლიოში სახელგანსმენილი აკადემიკოსი ვავილოვიც კი, რომელიც ოცდაათიან წლებში ციხეში იჯდა გენეტიკური მეცნიერების პოპულარიზაციისათვის, სამუდამო პატიმრობის მუქარითაც კი არ უარყოფდა იმას, რომ **"გენეტიკისაგან ბოძებული ჩვეულება რჯულზე უმტკიცესი გახლავთ"**.

ეს განსაკუთრებით დადასტურდა მაშინ, როცა ნინო ბურჯანაძემ სააკაშვილისაგან **"ნაციონალური მოძრაობის"** გასაძლიერებლად და სააკაშვილის გასადიქტატორებლად გაწეული **"ამაგის"** საფასურად ერთ ლარად **"შეიხვირიპა"** წყნეთის მილიონიანი აგარაკი. მაგრამ, როგორც კი გულისწყრომა გამოთქვა იმის თაობაზე, რომ პირველ ნომრად აღარ ჩართეს ნაციონალთა საპარლამენტო სიაში, წამსვე ჩამოართვეს აგარაკი. ატყდა, მაგრამ რა ამბავი ატყდა მაშინ – ერთმანეთს დაერივნენ ბურჯანაძე და სააკაშვილის მიერ დაგეშილი ნაცები და სულ სათლებით ასხეს ერთმანეთს ათასგვარი სიბინძურე. და ამგვარ სიხარბეს გადაგებულთა ჩხუბში არავის გახსენებია, რომ ბურჯანაძე იდეას კი არა, მერკანტილურ ინტერესებს **"შემოეჩაგრა"** და სწორედ ამის შემდეგ გამოაცხადა მან მისი ყოფილი **"თანარევოლუციონერი"** დაშნაკი მიხეილ სააკაშვილი საქართველოს მოღალატე შადიმანად და ქვეყნის დამაქცევრად.

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ მთელი ეს **"კატავასია"** მიმდინარეობდა საიდუმლოდ და გაცხადდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბურჯანაძესა და ნაციონალებს შორის **"შავმა კატამ"** გაირბინა!

აი, რა გახლავთ ის **"სიმართლე"**, რითაც დღეს კვლავ მიიწევს ქართული პოლიტიკის სათავეებისაკენ ეს სრულიად გაკოტრებული პოლიტქალბატონი, რომელიც ვერა და ვერ იოკებს ამბიციებს!

მაგრამ, საკუთარი ცოდვების მისაჩქმალად ყველაზე კარგი (თუმცა – **"სომხურ-დაშნაკური"**) მეთოდია დღემუდამ სხვის ცოდვებსა და შეცდომებზე ყიყინი, რაც ქვაზე წყლის იმ წვეთის დაცემას ჰგავს, რომელიც, ბოლოსდაბოლოს, ხვრეტს ამ ქვას. ესეც რომ ყოფილ თუ ამჟამინდელ **"ნაცთა"** ბრძოლის ნაცადი პოლიტიკაა, ალბათ არც ამაში შემომედავება ვინმე.

არა და, ცოდვები ბურჯანაძეს რომ აწევს კისერზე, ალბათ მღვდელ გაპონსაც კი არ ექნება ჩადენილი, მაშინ, როცა მუშების ჯგუფი წააქეზა და მეფის შეიარაღებულ ჯარისკაცებს შეატოვა პირისპირ, რასაც უიარაღო მუშების დიდი მსხვერპლი მოჰყვა. სწორედ ასე მოხდა 26 მაისს, როცა ბურჯანაძემ მის მიერ აგულიანებული ხალხი შეატოვა სააკაშვილის კაციჭამიებს, თავად კი ნაცი ზონდერების მიერ ხელოვნურად გაკეთებული კორიდორით ისარგებლა და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. როცა ამ უკადრება ქალბატონს ეს ფაქტი შეახსენა საქართველოს ვიცე-პრემიერმა, ახლო წარსულში სახელოვანმა სპორტსმენმა კახი კალაძემ, გამწარებულმა ბურჯანაძემ მოხსნა გუდას თავი და რა არ აკადრა ბატონ კახის.

მოკლედ, მოვლენები ისე განვითარდა, რუსები რომ ახასიათებენ ორიოდ სიტყვით: "Сам дурак!"

გაკაპასებული ნინო ბურჯანაძე უმალ კალაძის აღნიშნულ განცხადებას გამოეხმაურა, რომლის თანახმად, ბურჯანაძე გარიგებული იყო **„ნაციონალურ მოძრაობასთან"** და ეს 26-მა მაისმა დაადასტურა, როდესაც დემონსტრანტების დარბევის წინ, მას, ე.წ **"კორიდორი"** გაუკეთეს.

„კალაძემ უარი განაცხადა პასუხის გაცემაზე იმ მოტივით, რომ თურმე მე „ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებაში ვიყავი. მაშინ კალაძემ ბოლომდე მიიყვანოს საქმე და თუ ასეთი პრინციპულია, უარი განაცხადოს თავისი კოალიციის ლიდერებთან თანამშრომლობაზე. შევახსენებ, რომ ბატონი შავიშვილი ფორუმიდან, ბატონი ზვიად ძიძიგური „კონსერვატიული პარტიიდან" და ბატონი ლევან ბერძენიშვილი „რესპუბლიკური პარტიიდან", ჩემგან განსხვავებით, „ნაციონალური მოძრაობის" დამფუძნებლები და სააკაშვილთან ერთად ამ მოძრაობის თანათავმჯდომარენი იყვნენ," – ჩვეული **"რიხით"** განაცხადა ნინო ბურჯანაძემ გადაცემაში **„რეაქცია"**.

მისივე განმარტებით, მან კახა კალაძეს 2011 წლის 26 მაისის აქციების წინ ხალხის გვერდით დგომა შესთავაზა, თუმცა კალაძემ შეთავაზებაზე უარი თქვა.

„კახი კალაძეს 26 მაისამდე ხალხის გვერდით დადგომას ვთავაზობდი, რაზეც მან მიპასუხა, რომ ბიზნესი აინტერესებს და არა – პოლიტიკა. ბატონ კალაძეს, რომელიც 26 მაისის პერიოდში იტალიაში ნებივრობდა, არ აქვს მორალური უფლება ჩვენზე ილაპარაკოს", – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

აქ უკვე ჩვენ უნდა შევახსენოთ ნინო ბურჯანაძეს: რაც შეეხება კალაძეს, მისთვის არავის არასოდეს მიუყიდია მილიონიანი ქონება ერთ სიმბოლურ ლარად. მან სიმდიდრე დააგროვა არა ქატოგარეული პურის რეალიზაციით მიღებული მოგებით, არამედ საკუთარი ნიჭის წყალობით. ამიტომ, სასურველია დავფიქრდეთ, გვაქვს კი იმის მორალური უფლება, რომ კალაძის სახელი ვახსენოთ, მით უმეტეს – უარყოფით კონტექსტში.

მასვე უნდა შევახსენოთ ისიც, რომ 26 მაისს დაღუპული ახალგაზრდების ცოდვა კისერზე აწევთ არა მხოლოდ მის უშუალო მკვლელებსა და წამქეზებლებს, არამედ იმათაც, ვინც შეაგულიანა ეს ხალხი ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლაში, გადამწყვეტ მომენტში კი უღალატა მათ და პირისპირ შეაროვა სააკაშვილის გამხეცებულ ზონდერებს, რომელთა შორის წლების განმავლობაში ეკავა **"დირსეული"** ადგილი ნაციონალთა მერობის კანდიდატს ნიკანორ მელიას.

სიმართლე ეს გახლავთ და ამ სიმართლეს ვერავინ ვერასოდეს გაექცევა!

ისიც სიმართლეა, რომ ნინო ბურჯანაძე გახლდათ შევარდნაძის მიერ **"ვარდების რევოლუციად"** წოდებული ბინძური სპექტაკლის მონაწილე, რადგან ანზორ ბურჯანაძე სვანეთიდანაა წარმოშობით და, სვანი კაცი, რაოდენი უარყოფითი პიროვნებაც არ უნდა იყოს, არასოდეს უღალატებს მეგობრობის პრინციპებს და შვილს არასოდეს აპატიებდა მისი მეგობრის წინააღმდეგ ამხედრებას!

იქნებ გაითვალისწინოს ეს გარემოება **"ფქვილის პრინცესამ"** და ჯერ საკუთარი ოჯახის წარსულს გადახედოს, შემდეგ კი სხვებზე ისაუბროს სალანძღავი ლექსიკით.

როლანდ ჯალაღანია,
ჟურნალისტი

ავამოქმედოთ ჩვენი მამა-პაპათა ტრადიციები

ჩვენი მამა-პაპების ტრადიციები უდიდესი მადლია მუდმივი განსაცდელისა და თავდაცვის პირობებში მყოფი ქართულ-აფხაზური ყოფა-ცხოვრების ისტორიაში.

ის პოლიტიკური და ეროვნული ცნობიერება, რომელსაც მუდამ თან ახლავს ჩვენი მამა-პაპების მოღვაწეობასა და ტრადიციებს, სრულიად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში აფხაზთა და ქართველთა მრავალსაუკუნიანი თანაცხოვრების აღსადგენად და დასარეგულირებლად.

სწორედ ამაზე მოგვითხრობს პუბლიცისტ მიხეილ ნაჭყებიასა და ამ წერილის ავტორის მოგონებები სათაურით **"თერთმეტი წლის შემდეგ"**. აი, რას მოგვითხრობს ბატონი მიხეილი: **"...დილის ცხრის ნახევარია. სამარშრუტო მიკროავტობუსი "გალი-ფსოუ" დაიძრა ადგილიდან. ვზივარ ჩემთვის სალონის მეორე რიგში და მდუმარედ ვიხსენებ: თერთმეტი წლის წინ ძა-ლიან ხშირად, სიხარულით, სავსე გულით, საკუთარი მანქანის საჭესთან მიმჯდარი მივიჩქაროდი სოხუმში ჩემს მეგობრებთან: კაკო ხუბუტიასთან, მიშა გოლეთიანთან, ჯუმბერ გოგუაძესთან და ხუტა შენგელიასთან. ნორმალური ცხოვრებისათვის ყველაფერი საჭიროს მქონე და რაც გამაჩნდა იმით სრულიად კმაყოფილი გახლდით.**

დღეს კი ვზივარ სამარშრუტო ავტობუსში არაფრის მქონე, სახლ-კარგადამწვარი, საყვარელი მეუღლის სიკვდილით თავზარდაცემული, ნერვიულობის ნიადაგზე შეძენილი გლაუკომით, მარჯვენა დაბრმავებული და მარცხენა ნაოპერაციევი თვალით, ხორხის ოპერაციის შედეგად მეტყველებადაკარგული, სევდისაგან დამძიმებული გულით გავყურებ გზატკეცილს.

მანქანის მძღოლმა, ჩემი თხოვნით, "ახალი რაიონის" გადასახვევთან გააჩერა მანქანა და, თერთმეტი წლის შემდეგ, ვდგავარ გზის გადასასვლელის მოპირდაპირე მხარეს.

მშვიდობიანობის დროს ხშირად მიხდებოდა ამ მიმართულებით სიარული, განსაკუთრებით დამსახურებულ პენსიაზე გასვლის შემდეგ. 1993 წლამდე ვმუშაობდი "აფხაზწიგნის" სისტემაში. ეს დღეები ყველაზე უბედნიერესი წლები იყო ჩემს ცხოვრებაში. სხვადასხვა დროს ამ შესანიშნავი კოლექტივის მესვეურები გახლდნენ ჭიჭიკო კოდონია, პლატონ (ჯოტი) შავდია, რაფიელ ეშბა და მარინა კვიწინია. მართლაც მეაზრდილი და ინტელიგენტი ყმაწვილები იყვნენ. მათ ვთხოვე ეჩვენებინათ ჩემთვის ის ადგილი, სადაც ჩერდებოდა ახალი რაიონისაკენ მიმავალი ტაქსები.

საოცრად თბილი ღიმილი შემომაგება ერთ-ერთმა ახალგაზრდამ, მკლავში ხელი გამომდო, გაჩერებამდე მიმიყვანა, ტაქსი გააჩერა და მძღოლს უთხრა, ეს კაცი მილიციასთან მიიყვანეო, თან მგზავრობის ფულიც გადამიხადა. ამ მოულოდნელობამ ისე დამაბნია, რომ არც კი მახსოვს, მადლობა გადავუხადე თუ არა.

თერთმეტი წლის შემდეგ, პირველად სოხუმის მიწაზე ფეხდადგმული ბერიკაცი, უსაზღვროდ გამახარა იმ ახალგაზრდა კაცის ინტელიგენტურ ყმაწვილობამ და ყურადღებამ.

ღმერთმა უმრავლოს მზიურ აფხაზეთს ასეთი ნაღდი, აფხაზურ ტრადიციებზე აღზრდილი, სინდის-ნამუსის მქონე ახალგაზრდობა.

გულში კვლავ ამიკიაფდა იმედის ნაპერწკალი, განმიმტკიცდა რწმენა იმისა, რომ ჩვენ არა გვაქვს ჩვენი წინაპრების მიერ დათესილი სიკეთის დავიწყების უფლება.

და კიდევ ერთი, ფრიად ანგარიშგასაწევი მომენტი ქართულ-აფხაზური საერთო ისტორიიდან.

ავიღოთ სამურზაყანოს პატარა სოფელი ხუმუშქური, სადაც ეშბები ცხოვრობდნენ. მათ ძიძა-შვილობა ჰქონიათ მეტად ავტორიტეტული პიროვნების – ათანა ჟესტიკულაციებით იგრძნობოდა, რომ მაყებოდა მათ გვერდით ყოფნა და მუშაობა. ახალ რაიონში იყო განთავსებული წიგნებისა და საკანცელარიო საქონლის საწყობები. ამიტომაც მიწევდა ამ მხარისაკენ ხშირი სიარული, ბინაც ხომ აქ მქონდა. ამჯერად ახალი რაიონის მილიციაში ვიყავი მისასვლელი, დაკარგული პასპორტის სანაცვლოდ ფორმა №9-ის მისაღებად. ვდგავარ გზის პირად და უმწეოდ ვაცეცებ სანახევროდ დაბრმავებულ თვალებს, იმ იმედით, რომ იქნებ ვნახო ვინმე, რომელიც მიმიყვანს ტაქსის გაჩერებამდე.

ვხედავ, ჩემგან ხელმარცხნივ, რამდენიმე მეტრში, სამი ახალგაზრდა დგას. ჩემთვის გაუგებარ, აფხაზურ ენაზე ებაასებიან ერთმანეთს, მაგრამ საუბრის მანერით და გულთბილმა მოპყრობამ და ყურადღებამ.

ღმერთმა უმრავლოს მზიურ აფხაზეთს ასეთი ნაღდი, აფხაზურ ტრადიციებზე აღზრდილი, სინდის-ნამუსის მქონე ახალგაზრდობა.

გულში კვლავ ამიკიაფდა იმედის ნაპერწკალი, განმიმტკიცდა რწმენა იმისა, რომ ჩვენ არა გვაქვს ჩვენი წინაპრების მიერ დათესილი სიკეთის დავიწყების უფლება.

და კიდევ ერთი, ფრიად ანგარიშგასაწევი მომენტი ქართულ-აფხაზური საერთო ისტორიიდან.

ავიღოთ სამურზაყანოს პატარა სოფელი ხუმუშქური, სადაც ეშბები ცხოვრობდნენ. მათ ძიძა-შვილობა ჰქონიათ მეტად ავტორიტეტული პიროვნების – ათანა გადელიას ოჯახთან. 1989 წელს ავადხარაში ვისვენებდი და სწორედ აქ გავიცანი შესანიშნავი პიროვნება, ღირსეული აფხაზი ვაჟაცი გრიგოლ ეშბა, რომელიც თურმე ათანა გადელიას ოჯახში იზრდებოდა ძიძის მიერ. ათანასაც ხუთი შვილი ჰყოლია: ილია, ელიზბარი, დიანოზი, ალიოშა და დანიელი. ერთხელ, თურმე, გადელიების სამზადს ცეცხლი გაუჩნდა, რომელიც სახლზე გადავიდა და ძიძას – სულგანათლებულ დესპინეს ჯერ აკვანში მწოლი გრიგოლი გამოუყვანია ალმოდებული სახლიდან, შემდეგ კი – საკუთარი შვილები".

განა მხოლოდ ეს ფაქტი არ კმარა საიმისოდ, რომ უფრო გულდაგულ, მოწიწებით გადავხედოთ ჩვენს საერთო წარსულს, რომელიც აფხაზი და ქართველი ხალხების დღევანდელი ყოფის სარკეა და ამ ორი ერის მრავალჭირნახული თაობების ურთიერთმოწიწებასა და დიდ ნდობას აირეკლავს, რადგან ამ ქვეყნად არ არსებობს უფრო სანუკვარი სიმდიდრე, ვიდრე უმრწმესი პირმშოა, და რაოდენ დიდი უნდა ყოფილიყო ნდობა ამ მოძმე ხალხებს შორის, როცა ისინი ერთმანეთს საკუთარ პირმშოზე ზრუნვას და აღზრდას, უყოყმანოდ, ურთიერთს ანდობდნენ ხოლმე!

ეს არ უნდა დაგვავიწყდეს!

ლავრენტი ბერაძე,
დიდი სამამულო ომის მონაწილე, გალის უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე

ᲕᲘᲮᲡᲜᲐᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲛᲐᲡᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲑᲔᲑᲛᲘᲚᲘ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲝᲙᲣ�პᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲖᲜᲔᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲮᲠᲬᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ!!!

“იხარებდეს ენაი ჩემი სიმართლესა შენსა“ (ფსალმუნი 50)

“ყოველი დროის ტირანები ცდილობდნენ გაყალბებას მოციქულთა სიბრძნისას – ხელისუფლებისადმი დამორჩილების შესახებ..., მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ მოციქულთათვის სიტყვა “ხელისუფლება” ნიშნავს ლეგიტიმურ ხელისუფლებას, კანონიერ ხელისუფლებას და არა უკანონო, ყაჩაღურ, უზურპატორულ ხელისუფლებას, რომელიც ეშმაკისაგან არის და არა ღვთისაგან”.

“ხოლო თუ ვინმე იბრძოლებს კიდეც, გვირგვინი არ მიენიჭება, თუ უკანონოდ იბრძოლებს”. (2 ტიმოთეს მიმართ)

“ვინც მტერს შეისწავლის, ის მას დაამარცხებს. უნდა შევისწავლოთ უღმერთოთა შავბნელი ძალების ტაქტიკა, მათი ფანდების არსენალი და გამუდმებით ვამხილოთ ეს ყოველივე. წარსულში არ გვქონდა ამდენი გამოცდილება. დღეს კი ბევრი რამ გაცხადდა, მრავალი დაფარული გამოვლინდა და ჩვენც უფრო მეტად გავძლიერდით”.

“მახვილი მხილებისა”.

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡᲗᲐᲜ

ქ. ᲒᲠᲝᲜᲘ, 15 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, 1993Წ.

“ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲘᲮᲝᲕᲜᲔᲜᲘ”

ე.წ ანტიდისკრიმინაციული კანონი, დეფაქტო სამარცხვინო პარლამენტმა, ისეთ ვითარებაში მიიღო, როდესაც ქვეყანა კატასტროფულ მდგომარეობაში იმყოფება და ხორციელდება საქართველოს სულიერი და ფიზიკური ოკუპაცია.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ თვით კომუნისტურ ჩრდილოეთ კორეის პარლამენტსაც კი შეშურდებოდა ის ერთსულოვნება, როგორც უსუფაშვილის პარლამენტმა მიიღო ჩვენი სამშობლოსათვის დამღუპველი, სოდომ-გომორული გახრწნილების ლეგალიზების კანონი. უფრო მეტიც კიტოვანსიგუა-იოსელიანის მემკვიდრე პარლამენტში არ აღმოჩნდა ერთი ღირსეული ქართველიც კი, რომელიც ამ გახრწნილებას წინ აღუდგებოდა. საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ ის, რომ ქვეყანაში არ უნდა არსებობდეს ადამიანის დაცვის ფუნდამენტური კანონის მიღების საჭიროება. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენ საქმე ანტიდისკრიმინაციულ კანონთან კი არა გვაქვს, არამედ მასონურ–იმპერიალისტურ დაკვეთასა და დავალებასთან. ამ ანტიდისკრიმინაციული კანონის საფარქვეშ ხდება ჩვენს ქვეყანაში სოდომ-გომორული არაბუნებრივი ცოდვის – გახრწნილების ლეგალიზება.

რაც შეეხება დისკრიმინაციას, ქართველი ერი 1991-92-93 წწ-ის დანაშაულებრივი სამხედრო გადატრიალების შემდეგ გაუგონარ დისკრიმინაციას განიცდის.

ჩვენ, ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით ორი სახის დისკრიმინაციას გამოვყოფდით: შევარდნაძე-სააკაშვილის პუჩისტურს და დღევანდელ მაფიოზურ-ოლიგარქიული კლანის მიერ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ გატარებულ დისკრიმინაციას: პოლიტიკურს და სოციალურ-ეკონომიკურ დისკრიმინაციის, რომლის შესახებაც, ქვეყნაში 1992 წლიდან გაბატონებულ რეჟიმების წარმომადგენლებს და აგრეთვე მათ სატელიტურ არასამთავრობო ე.წ. ადამიანთა უფლებების დამცველ ორგანიზაციებს არასოდეს ამოუღიათ ხმა.

საქართველოში, არასოდეს მოქცევიან ვინმეს ისე ბარბაროსულად და ვანდალურად, როგორც მოექცნენ ხალხის მიერ არჩეულ ლეგიმიტურ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას, პარლამენტს და მის ერთგულ თანამებრძოლებს. ჩვენ კარგად გვახსოვს ის შავბნელი ეპოქა, როდესაც ზვიად გამსახურდიას და მის მომხრეებს, ეს უღმერთოები უსწორდებოდნენ ისე, როგორც პირველ ქრისტიანებს ძველ რომში. ყველაფერი გააკეთეს ამ მანქურთებმა ზვიად გამსახურდიასა და მისი იდეების გამგრძელებლების, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ღირსეული ადამიანების პოლიტიკური სცენიდან გასაქრობად და ჩამოსაცილებლად. ასეთი დანაშაული თვით სამხრეთ აფრიკის აპარტეიდს შეშურდებოდა და დღეს რომ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა არ ჩანს პოლიტიკურ ავანსცენაზე, ეს მათი დისკრიმინაციული ქმედებების მიზანმიმართული შედეგია.

სამხედრო გადატრიალებიდან დღემდე, საქართველო უმძიმეს დისკრიმინაციულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩააგდეს და მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის გეგმაზომიერი გენოციდი, ბრძოლა მის წინააღმდეგ – ერის სრულ განადგურებამდე, რის შედეგადაც საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი გაუსაძლის გაჭირვებაში იმყოფება და საქართველო ერთ დიდ სავაჭრო მოედნადაა ქცეული, ხოლო ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა მილიონნახევარზე მეტი ლუკმა–პურის საშოვნელად, მათ მიერ გატარებული პოლიტიკურ-ეკონომიკური დისკრიმინაციის შედეგად, უცხოეთშია გახიზნული. ტრაგედია კი იმაში მდგომარეობს, რომ როდესაც ასეთი სავალალო მდგომარეობაა ქვეყანაში და როდესაც ქართველი კაცის ღირსება ასე უმოწყალოდ არის ფეხქვეშ გათელილი, პუჩისტებმა და მათმა მემკვიდრეებმა ჩვენი ქვეყნის მილიარდობით ლარის ქონება მიიტაცეს და დღესაც აგრძელებენ ქონების მოხვეჭასა და მიტაცებას. ასეთი მდგომარეობა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს მხოლოდ ერთადერთ ჩამორჩენილ ქვეყანაში – სომალიში ფიქსირდება.

აზრი, რომ ამ კანონის მიღება მხოლოდ სოროსელ უსუფაშვილს ედება ბრალად და რომ ეს მისი პირადი ინიციატივით ხდება, გაზვიადებულია. ამ საქმის მთავარი მოქმედი გმირი და სულისჩამდგმელი გახლავთ ე.წ. **“ქართული ოცნების”** ფაქტიური მმართველი ბ. ივანიშვილი და ამ **„დამსახურებას“** მას ვერავინ წაართმევს. ქართველი ერისათვის კარგად უნდა იყოს ცნობილი, რომ მასონთა ხელის ბიჭი – **“ქართველების”** მიერ ხდება **ლგბტ-**ს წახალისება, მათი აღლუმის მოწყობა, რაც ქართველი ერის გენოციდის პროგრამის ნაწილია.

უსუფაშვილ-ივანიშვილ-დარიბაშვილის კლანს რომ, ასეთი დისკრიმინაციის პირობებში მცხოვრებ საქართველოს მოსახლეობისათვის სურდეს დისკრიმინაციის აღმოფხვრა, მაშინ ისინი ამ ორ ძირითად საკითხზე გაამახვილებდნენ ყურადღებას და ქართველ ხალხს ელემენტარულ შვებას მაინც მისცემდნენ, მაგრამ ეს მათ ინტერესთა სფეროში არ შედის, მათი ძირითადი საზრუნავი ძია-მასონების ნაკარნახევი გეგმებია და ამ გეგმების ცხოვრებაში განხორციელება. თუკი შევარდნაძე-სააკაშვილის არაადამიანურმა რეჟიმმა მოახდინა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, დღევანდელმა მაფიოზურ-ოლიგარქიულმა რეჟიმმა, ამ სოდომ-გომორული კანონის მიღებით, სრულიად საქართველოს სულიერი ოკუპაციით და ამ ცოდვიანი კანონზე მთელი ერის აღშფოთებით (ბუნებრივია მიუღებელი იქნებოდა ეს კანონი მთელი ქართველი ხალხისათვის) დამალა და მიჩქმალა საქართველოს მოსახლეობის ყოველმხრივი დისკრიმინაციის ფაქტი.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის არასჯულისკანონის შესაბამისი მიდგომა ამ საკითხისადმი, რამაც დაანახა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს ის, რომ თითქოსდა თავიანთი უშურველი ძალისხმევის მიუხედავად სასულიერო იერარქებმა და ეპისკოპატმა ვერ ამხილეს სათანადოდ ამ ე.წ. კანონის ავტორები და ეს საქმე ბოლომდე ვერ განახორციელეს, რაც იმის მაუწყებელია, რომ ქვეყანაში სერიოზული სულიერი კრიზისი სუფევს.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას კანონიერი ლეგიტიმური კონსტიტუციური ხელისუფლების უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნულ კომიტეტს მთავარ ტრაგედიად მიაჩნია ჩვენი ქვეყნისათვის გარედან მასონური იმპერიალიზმის მიერ თავსმოხვეული ე.წ. მთავრობების ხელისუფლებაში მოყვანა და მათთვის ქვეყნის მართვის სადავეების ხელში ჩაგდება. კომიტეტის მიზანია ამხილოს და გაანადგუროს საერთაშორისო ბნელი ძალების შეთქმულების ერთერთი მთავარი იარაღი – პიარტექნოლოგია და გეგმები, რომელიც მიმართულია საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

კომიტეტი მოუწოდებს ჩვენს დამცირებულსა და ღირსებაშელახულ ქართველ ხალხს ხმა ამოიღოს ამ დივერსიის წინააღმდეგ, რათა უკუვაგდოთ სულიერი დეგრადაცია და ზნეობრივი დაცემა ამ ჩვენს ტანჯულ, წინაპართა სისხლით მორწყულ სამშობლოში. და თუ ქართველი ერი ამ გზას არ დაადგება, ევერიის გაბრწყინება ცარიელ სიტყვებად დარჩება, რაც ჩვენ თანამედროვე საზოგადოებას უმძიმეს ცოდვად შეერაცხება. ჩვენ კვლავ გვახსენდება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის სიტყვები:

„ჭეშმარიტი სარწმუნოების აღსრულება იხსნის საქართველოს და თუ ქართველი ერი ამ გზას დაადგება, იგი ყველანაირ ეროვნულ უბედურებას – სულიერსა თუ ფიზიკურს თავიდან აიცილებს. სიყვარული და მკაცრი სამართლიანობა თანაბრად საჭიროა. ბოროტებისადმი დაუმორჩილებლობა ქრისტიანული ეთიკისა და პრაქსის საფუძველია, რა იყო პირველქრიატიანთა ცხოვრება, თუ არა უღმერთოებისა და უზნეობისადმი დაუმორჩილებლობა? ქრისტიანობამ გაიმარჯვა ამ ბრძოლაში, რამეთუ საღვთო წერილი გვასწავლის: საჭურველად გარე მოგადგეს შენ ჭეშმარიტებაი მისი“...

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი ლეგიტიმური კონსტიტუციური ხელისუფლების – უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნული კომიტეტის აღმასრულებელი საბჭო:

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲔᲠᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
კომიტეტის მთავარი კოორდინატორი, სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი,

ᲑᲔᲡᲝ (ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜ) ᲛᲘᲥᲐᲕᲐ,
იბერიულ–კავკასიური მოძრაობის თავმჯდომარე;

ᲛᲐᲛᲐ ᲘᲚᲐᲠᲘᲝᲜᲘ (ᲯᲐᲜᲔᲚᲘᲫᲔ),

ᲜᲐᲜᲐ ᲙᲐᲮᲘᲐᲜᲘ,
იბერიულ-კავკასიური მოძრაობის პრესმდივანი,

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲗᲔᲕᲖᲐᲫᲔ,

ᲕᲐᲚᲢᲔᲠ ᲝᲩᲘᲑᲐᲕᲐ,
ყოფილი პოლიტპატიმარი,

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲫᲝᲑᲐᲚᲘᲐ,
ჟურნალისტი;

ᲖᲐᲖᲐ ᲑᲐᲑᲔᲓᲐᲕᲐ,
იბერიულ-კავკასიური მოძრაობის წევრი,

ᲒᲠᲘᲑᲝᲚ ᲑᲝᲑᲕᲔᲠᲐᲫᲔ,
მოძრაობა „ძლევაი საკვირველის“ დამფუძნებელი,

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ,
ბიოლოგი,

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲯᲘᲯᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
ექიმი,

ᲜᲣᲑᲖᲐᲠ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ,
ადამიანის უფლებადამცველი

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ, ᲐᲐᲜᲐᲚᲘᲖᲔᲑᲡ ᲠᲐ ᲒᲔᲚᲐ�პᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲡ, ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐ 63% ᲜᲐᲜᲝᲑᲡ ᲡᲡᲠᲙ-ᲘᲡ ᲓᲐᲨᲚᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲮᲐᲠᲡ ᲓᲐᲣᲭᲔᲠᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲔᲡᲕᲚᲐᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲔᲕᲠᲐᲖᲘᲣᲚ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

როგორც ცნობილია, 1991 წლის 26 დეკემბერს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა (სსრკ) ოფიციალურად შეწყვიტა არსებობა და ადგილი დაუთმო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას (**ᲓᲡᲗ**).

22 წლის შემდეგ – გასული 2013 წლის დეკემბერში – საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელმა ცნობილმა ამერიკულმა ინსტიტუტმა – გელაპის ინსტიტუტმა – გამოაქვეყნა საკუთარი გამოკვლევის შედეგები – რას ფიქრობენ ყოფილი სსრკ-ის მცხოვრებნი მის დაშლაზე. ამ მიზნით გამოიკითხა საბჭოთა კავშირის 11 ყოფილი რესპუბლიკის 1000-ზე მეტი მცხოვრები, რომლებსაც ერთი კითხვა დაუსვეს: **“ᲡᲡᲠᲙ-ᲘᲡ ᲓᲐᲨᲚᲐᲛ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘ ᲖᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲣᲢᲐᲜᲐ ᲗᲣ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲐ?”.**

გამოკვლევა ჩატარდა რუსეთის ფედერაციაში, უკრაინაში, ბელორუსიაში, საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთში, ყაზახეთში, თურქმენეთსა და მოლდოვაში, მასში მონაწილეობდნენ რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები, ყირგიზები, ტაჯიკები, მოლდოველები, ყაზახები და თურქმენები (გამოკითხვა არ ჩატარებულა უზბეკეთში, ლიტვაში, ლატვიაში და ესტონეთში).

გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკების გამოკითხულ მცხოვრებთა უმრავლესობას – მიაჩნია, რომ სსრკ-ის დაშლამ მათ ქვეყნებს ზიანი მოუტანა, და მხოლოდ 4 ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის – საქართველოს, აზერბაიჯანის, ყაზახეთის და თურქმენეთის – მოქალაქეთა უმრავლესობა თვლის, რომ ამან მათ ქვეყნებს სარგებლობა მოუტანა.

საქართველოში პროცენტული თანაფარდობა შემდეგია (ცდომილება, გელაპის ინსტიტუტის აღიარებით, შესაძლოა შეადგენდეს 3-5%-ს):

37% – სსრკ-ის დაშლამ საქართველოს სარგებლობა მოუტანა.

33% – სსრკ-ის დაშლამ საქართველოს ზიანი მოუტანა.

9% – არც ერთი, არც მეორე.

21% – არ იციან/პასუხის გაცემაზე უარი თქვეს.

საქინფორმის ანალიზი: ამგვარად, გამოკითხვის შედეგების მიხედვით, საქართველოში სსრკ-ის დაშლის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის განსხვავება მხოლოდ 4%-ს შეადგენს. გელაპის ინსტიტუტის მიერ გამოცხადებული 3-5%-იანი დასაშვები ცდომილების მიუხედავად, ამ 4%-ს მიკერძოებულად ნურცერთ მხარეს ნუ მივამატებთ, არამედ ყურადღება მივაქციოთ იმათ რაოდენობას, რომლებმაც არ იციან/პასუხის გაცემაზე უარი თქვეს – 21% და იმ რესპონდენტთა რაოდენობას, ვინც სსრკ-ის დაშლას ნეიტრალურად ეკიდება – 9%. თუ ეს უკანასკნელნი ფიქრობენ, რომ სსრკ-ის დაშლამ საქართველოს, უბრალოდ, არაფერი მოუტანა – არც ზიანი და არც სარგებლობა, არმცოდნე/პასუხის არგამცემთა 21%-ის საქმე სხვაგვარად არის. თუ გავითვალისწინებთ:

– ანტისაბჭოთა და ანტირუსულ პროპაგანდას, რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მიმდინარეობს საქართველოში – პრეზიდენტების შევარდნაძის (ერთ-ერთი მთავარი შემსრულებლის, ვინც სსრკ-ის რღვევა განახორციელა) და საკაშვილის (სსრკ-ის დაშლის მთავარი დამკვეთის – აშშ-ის დასმული კაცის) დროს,

– რომ ჯერ კიდევ 2012 წლის 1 ოქტომბრამდე (საქართველოში საპარლამენტო არჩევნებზე ბიძინა ივანიშვილის კოალიცია **“ქართული ოცნების”** გამარჯვების შედეგად ხელისუფლების შეცვლამდე) რუსეთთან მეგობრობისადმი, სსრკ-ის დროს ხალხთა ძმობისადმი უმცირესი სიმპათიის გამოვლენა კვალიფიცირდებოდა, როგორც სამშობლოს ღალატი და ჯაშუშობა და სისხლის სამართლებრივად ისჯებოდა, ქართულ ციხეებში სასიკვდილო წამებამდეც კი,

პასუხის გაცემაზე უარის მთქმელი 21% – შედეგია სწორედ საქართველოში ჩანერგილი და ადამიანთა ცნობიერებიდან ჯერაც აღმოუფხვრელი შიშისა, რომ პრორუსულად არ ჩათვალონ!

ხოლო თუ გავითვალისწინებთ ქართული საზოგადოების ტოტალურ პოლიტიზაციას, როდესაც მოქალაქეთა საუბრის მთავარი თემა პოლიტიკაა, იმათ საერთო რაოდენობას, ვინც **“არ გარკვეულა, არ იცის ან პასუხზე უარი თქვა”** – 30%-ს (9%+21%=30%) საქინფორმი არარეალურად მიიჩნევს.

ამიტომ, დიდი საფუძვლიანობით შეგვიძლია ეს 30% გამოკითხულთა იმ 33%-ს მივამატოთ, ვისაც სსრკ-ის დაშლა საქართველოსთვის საზიანოდ მიაჩნია. შედეგად გამოდის, რომ საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა – 63% (33%+30%=63%) ნანობს სსრკ-ის დაშლას და მხოლოდ მიესალმება საქართველოს შემდგომ გაერთიანებას ახალ კავშირში სსრკ-დსთ-ის ყოფილ პარტნიორებთან, ანუ ევრაზიულ კავშირში.

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ

კომენტარი ბატონ გივი ქარჩავას შეკითხვა-მოსაზრებაზე

თქვენ წერთ, რომ დიდად აფასებთ ბატონ მამანტი ძაძამიას პიროვნებასა და ღვაწლს, მაგრამ ამავე დროს კითხულობთ, თუ რატომ დაინიშნა მეგრული ენის დღე ბატონ მამანტის დაბადების დღეს – 29 მაისს და, რატომ არ შეიძლებოდა, იგი დანიშნულიყო რომელიმე აწგარდაცვლილი ენათმეცნიერის ან სხვა ცნობილი პიროვნების (ზოგიერთებს ასახელებთ კიდეც) დაბადების დღეს.

გიპასუხებთ:

მართალია, ცოცხალი ადამიანის დაბადების დღის რომელიმე ენის დღედ გამოცხადების ფაქტი უპრეცედენტო შემთხვევაა, მაგრამ მეგრული ენის დღის დაწესება მამანტი ძაძამიას დაბადების დღეს, მომხდარია სწორედ იმის გამო, რომ უპრეცედენტოა ის ღვაწლი, რაც ბატონ მამანტი ძაძამიას მიუძღვის მეგრული ენის მეცნიერულად შესწავლისა და დაცვის საქმეში, მთლიანად ენის ფენომენის მეცნიერულად შესწავლაში.

საქმე ის არის, რომ მსოფლიოს არც ერთ მეცნიერს, მათ შორის თქვენს მიერ დასახელებულებს, არ შესძლებიათ ის, რაც მან შესძლო ამ მხრივ.

ცნობილია, რომ ენის წარმოშობის საკითხის შესწავლით ადამიანი ოდითგანვე იყო დაინტერესებული, მაგრამ მსოფლიოს სწავლულთა და მეცნიერთა ოცდაექვსსაუკუნოვანმა ცდამ ამ მხრივ, უშედეგოდ ჩაიარა. საბოლოოდ, მსოფლიოს ენათმეცნიერებმა ამ საკითხის შესწავლა საერთოდ შეუძლებლად მიიჩნიეს. ასეთი შეხედულება ენათმეცნიერებაში, და საერთოდაც, გაბატონდა ჯერ კიდევ 1866 წლიდან.

ასეთ პირობებში, მამა და შვილმა თანაავტორებმა, მამანტი და ცირა ძაძამიებმა, პირველად ენათმეცნიერების ისტორიაში, ჯერ კიდევ 1997 წელს გამოცემული ნაშრომით **„ენის წარმოშობის საიდუმლოება"**, წარმოაჩინეს ენის წარმოშობის ჭეშმარიტი საფუძვლები, სწორედაც მეგრული ენის და საერთოდ ენის ფენომენის ყოველმხრივ შესწავლის შედეგად. საკუთარ თავებს მათ თავიანთი აღმოჩენა შემდგომი ნაშრომებით.

3600-მდე საენათმეცნიერო ნაშრომი მიუძღვნეს მათ ენის წარმოშობის საკითხისა და საერთოდ ენის ფენომენის შესწავლას, სწორედაც გამოკვლევის ობიექტის, – მეგრული ენის ლექსიკის ყოველმხრივ შესწავლის მეშვეობით. მათ შორის არის 15 დიდი მონოგრაფია; აქედან: 7 ერთტომეული, 2 ორტომეული, 1 სამტომეული 1 ოცტომეული და 1 მრავალათასტომეული (სავარაუდოდ, 25.000-ტომეული). **„სავარაუდოდ"**, – იმიტომ, რომ მასზე მუშაობას ისინი დღესაც აგრძელებენ.

ამრიგად, ის, რისი გაკეთებაც მსოფლიოს მილიონობით ენის მცოდნემ და ასეულ ათასობით ენათმეცნიერმა აქამდე ვერ შეძლეს და საერთოდ შეუძლებლადაც კი გამოაცხადეს, მამანტი და ცირა ძაძამიებმა გააკეთეს: მათ წარმატებით გადაწყვიტეს საკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემა – ენის წარმოშობის საკითხი.

თუ კი ენათმეცნიერებს მიაჩნდათ, რომ თანამედროვე ენაში პირველყოფილი მეტყველების კვალიც კი არ არის დარჩენილი და ენის ლექსიკის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი არაფრით არის მოტივირებული ანუ შემთხვევითია და ნებისმიერი, მამანტი და ცირა ძაძამიებმა წარმოაჩინეს და ნათლად დაასაბუთეს, რომ თანამედროვე მეგრულ ენაში ცოცხლად არის დაუნჯებული ენის (მოცემული ენის, ზოგადად ანუ საერთოდ ენის და სხვადასხვა ენის) წარმოშობისა და განვითარების მთელი ისტორია, და რომ მეგრული ენის ლექსიკის 99,2 პროცენტი წარმოშობილია ბუნებაში მოცემული ბგერებისადმი ანუ ბუნების საგნების მიერ გაღებული ბგერებისადმი ხმის მიბაძვის საფუძველზე და მოტივირებულია ფონეტიკური (ბგერითი) დასაბამიდანვე.

რაც არანაკლებ საინტერესო და სენსაციურია, მამა-შვილმა მამანტი და ცირა ძაძაიებმა და მათი ოჯახის დანარჩენმა ხუთმა წევრმა თანაავტორებმა, მოიძიეს და ლექსიკონების სახით წარმოადგინეს მეგრული ენის კოლოსალური ლექსიკა, რაც მოიცავს ერთნახევარ მილიარდამდე სიტყვას. ეს მაშინ, როდესაც ენათმეცნიერების მიერ მსოფლიოს ენებს შორის ყველაზე უმდიდრესი ლექსიკის მქონე ენად მიჩნეულ ინგლისურ ენაში 490.000-მდე სიტყვას ითვლიან.

კიდევ უფრო გასაოცარი: მამანტი და ცირა ძაძამიებმა შეისწავლეს მეგრულის მთელი აღნიშნული ლექსიკის სიტყვათწარმომავლობა ანუ ეტიმოლოგია.

მათვე დაადგინეს, რომ მეგრულის აღნიშნული ლექსიკიდან დღეისათვის მეტნაკლები სიხშირით ხმარებადია სულ მცირე 500 მილიონი სიტყვა.

აღნიშნულმა ავტორებმა მეგრულის ლექსიკა, მისი კოლოსალური სიმდიდრის გამო, დაყვეს ორ ნაწილად და, გარკვეული ხერხით, ცალ-ცალკე შეადგინეს მათი ლექსიკონები. კერძოდ, ზმნური ფონდი, რომელიც მეგრულის მთელი ლექსიკის 99,9 პროცენტს შეადგენს, წარმოადგინეს **„მეგრული ენის ზმნურ ფუძეთა ლექსიკონის"** სახით, რამაც ოცტომეულში დაიკავა 17 ტომი და 10.200-მდე გვერდი. მის ყოველ ერთ გვერდზე, საშუალოდ იკითხება 150.000-მდე სიტყვა.

მიუხედავად იმისა, რომ ოცტომეულშივე წარმოდგენილია აღნიშნული ლექსიკონის გამოყენების წესი, მისი სრულად სარგებლობა ყველას (მათ შორის სპეციალისტებსაც კი) როდი შეუძლია. ამიტომაც მამანტი და ცირა ძაძამიებმა, სხვა თანაავტორ-შემდგენლებთან ერთად, გადაწყვიტეს, რომ შეედგინათ მეგრულის ლექსიკონი სიტყვების სრული სახით დაწერილობით, იმ 500 მილიონი სიტყვის მოხმობით, რომელიც უთუოდ ხმარებადია თანამედროვე მეგრულში.

წინასწარი გაანგარიშებით, 500 მილიონი სიტყვის მომცველი ლექსიკონის შედგენას, დღეში თითო ტომის შედგენის პირობებში (რაც ფანტასტიკურია), მათ დასჭირდებოდათ 74 წლის მუშაობა. ამიტომაც, გადაწყვიტეს, მოეძიათ მეგრული ენის კომპიუტერული ლექსიკონის მრავალათასტომეულის (სავარაუდოდ, 25000-ტომეულის) ექსტერნული წესით შედგენის ხერხი და იგი მოიძიეს კიდეც. ამ ხერხით მათ უკვე შეიტანეს კომპიუტერში, წინასწარ ნავარაუდევი 25.000-ტომეულის პირველი ათასი ტომი. ეს ფაქტი ამ გასაოცარი ნიჭისა და უნარის მქონე ავტორების ბოლოდროინდელი მიღწევაა. სხვა მონაცემებს აქ არ შევეხებით.

ახლა თქვენ გეკითხებით ბატონო გივი: გაგიგონიათ, ან წაგიკითხავთ, მსგავსი რამ, სადმე, სხვაგან და სხვასთან?

200-ზე მეტი რეცენზია-შეფასება აქვთ მიღებული აღნიშნულ ავტორებს მათ ნაშრომებზე. ამასთან, დღემდე მიღებული აქვთ გამოხმაურებანი მსოფლიოს 17 ქვეყნიდან. მათ შორის, მიწვეული არიან 6 ქვეყანაში.

„საკაცობრიო მნიშვნელობის ნაშრომი", „უნიკალური ნაშრომი", „უებრო ნაშრომი", „გენიალური ნაშრომი", „გადატრიალება ენათმეცნიერებაში", „ტიტანური ნაშრომი", „ზეტიტანური ნაშრომი", „დიდი ქართული საქმე", „ფანტასტიკურიც და საკვირველიც", „წიგნი გიგანტი", „სამაგიდო წიგნი", „წიგნი, რომელზედაც დისერტაციები დაიწერება, რომელზედაც თაობები აღიზრდებიან" და ა. შ. – აი, ასეთია მამანტი და ცირა ძაძამიების და მათი თანაავტორების ნაშრომების შეფასება, დარგის სპეციალისტების: – მეცნიერებათა დოქტორების, პროფესორების, აკადემიკოსებისა და სხვათა მხრივ.

სწორედაც მამანტი ძაძამიას თავკაცობით შექმნილი ენათმეცნიერული ნაშრომებით წარმოჩენილ იქნა, რომ **„ლექსკის სიმდიდრის მიხედვით მეგრულ ენას ახლოსაც ვერ მიუვა მსოფლიოს ვერც ერთი ენა"**, რომ **„მეგრული ენა, სიტყვების აღწერილობითი ხასიათისა და ლექსიკის გასაოცარი სიმდიდრის წყალობით, წარმოადგენს საგანთა უნივერსალური სამყაროს უნივერსალურ მოდელს და ნომერ პირველ საოცრებას დედამიწაზე"**,

ყოველივე ზემოაღნიშნული და აღუნიშნავი მიღწევები დიახ ზღაპრულია, ფანტასტიკურია, მაგრამ ფაქტია.

ამიტომაც, მამანტი და ცირა ძაძამიები არჩეული არიან 10-მდე მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად და 5 უნივერსიტეტის საპატიო პროფესორად. აკადემიკოსის წოდება აქვთ მიღებული მამანტი ძაძამიას ოჯახის წევრ დანარჩენ 5 თანაავტორსაც.

აი, რა საფუძველზეც მოხდა, საკუთარ სამართლიანად, მეგრული ენის დღის დაწესება სწორედაც მამანტი ძაძამიას დაბადების დღეს – 29 მაისს.

მამანტი ძაძამიამ და მისმა თაანაავტორებმა, თავიანთი ნაშრომებით ახალი სიცოცხლე შესძინეს მავანთა მიერ სასიკვდილოდ გამეტებულ და თითქმის განწირულ მეგრულ ენას, ასევე სხვა ქართველურ ენებს, რითაც დიდად შეუწყვეს ხელი საერთო ქართული ენის გადარჩენასაც. მათ, ამიერიდან წერტილი დაუსვეს მეგრელთმოძულე, სვანთა მოძულე და ლაზთა მოძულე ფსევდოპატრიოტი კვაზიენათმეცნიერებისა და სხვათა მიერ მეგრული, ლაზური და სვანური ენებისთვის ენის სტატუსის წართმევისა და დიალექტებად ანუ კილოებად მათი საყოველთაოდ აღიარების დაუოკებელ ცდას, რაც ამ ენებისა და მათი მატარებელი ხალხების მიწის პირისაგან გაქრობის მიზანს ემსახურებოდა და ემსახურება.

სწორედაც ამ ნაშრომებით უზრუნველყვეს, მათ, **„ლაზარეს აღდგინება"**.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული და აღუნიშნავი განსაკუთრებული ღვაწლისათვის, მამანტი ძაძამიას სახელი ასოცირდება მეგრულ ენასთან და მეგრული ენა ასოცირდება მამანტი ძაძამიას სახელთან.

სწორედაც მამანტი ძაძამიას თავკაცობით შექმნილი საენათმეცნიერო ნაშრომების მეშვეობით, მსოფლიო ენათმეცნიერების ეპიცენტრმა, რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყანაში მოიაზრებოდა, ამიერიდან საქართველოში გადმოინაცვლა და დამკვიდრდა სამუდამოდაც, ვინაიდან ენის წარმოშობის შესახებ საკითხზე უფრო დიდი, საინტერესო და პრობლემური საკითხი ენათმეცნიერებაში (და არამარტო აქ) არასოდეს არსებულა და არც იარსებებს.

ბატონ მამანტი ძაძამიას, გარდა მისი უბადლო ენათეცნიერული ნაშრომებისა, გააჩნია გამორჩეული პირადი თვისებები და ღირსებები: უზადო პატიოსნება, სამართლიანობა, კაცთმოყვარეობა, განსაკუთრებული ნიჭიერება...

„ოქროს კაცი", „ცოცხალი ენციკლოპედია", „კაცი–ლეგენდა", „სიცოცხლეშივე უკვდავებად და ლეგენდად ქცეული", „სამეგრელოს პატრიარქი", „მეგრული ენის დიდი ჭირისუფალი"... ასეთია მისი მეტსახელები, – შერქმეული მოსწავლეობის, სტუდენტობის თუ შემდგომ პერიოდში.

„ყველაზე დიდი მეცნიერი", „ყველაზე დიდი მეგრელი კაცი", – ასეთი შეფასებებიც გახმიანდა ამ უკანასკნელად, თურმე, ჭეშმარიტ მეცნიერთა წრეში, რაზედაც მეგრული ენის დღეზე თქვენც მოისმინეთ.

მამანტი ძაძამიას კი, თავის მხრივ, ჯერ კიდევ როდის, სწორედ ასე აქვს ნათქვამი: **„ყველაზე დიდი მეცნიერება არის კაცობა"**.

ამას წინათ გამოიცა მამანტი და ცირა ძაძამიების კიდევ ერთი ბოლოდროინდელი ნაშრომების კრებული, სახელწოდებით: **„ჭეშმარიტება და მხოლოდ ჭეშმარიტება"**. მისი 664 გვერდიდან 400 გვერდზე მეტი მეგრული და სხვა ქართველური ენებისა და საერთო ქართული ენის დაცვის პრობლემებს შეეხება. მათში, ბატონი მამანტი ძაძამია პირუთვნელად ამხელს მეგრელთმოძულეთა და სხვათა დისკრიმინაციულ საქმიანობას და კატეგორიულად ითხოვს ხელისუფლებისაგან მის აღკვეთას. სხვა რომ არა იყოს რა, მარტო ეს წიგნი ნათლად მეტყველებს მამანტი ძაძამიას უბადლო ღვაწლზე, მეგრულის, სხვა ქართველური ენებისა და საერთო ქართული ენის დაცვის საქმეში.

აი, ძალიან მოკლედ იმის შესახებ, თუ რა საფუძველზედაც დააწესეს, საკითხის ჯეროვნად განმსჯელმა კომპეტენტურმა ასობით ადამიანებმა (და არა ერთეულებმა), ყოველგვარი მიკერძოების ან მოშურნეობის გარეშე, სავსებით სამართლიანად, ჯერ კიდევ ორი წლის წინ, მეგრული ენის დღედ სწორედაც ცოცხალი მამანტი ძაძამიას დაბადების დღე და არა რომელიმე სხვა თარიღი. ცხადია, ისინი სხვანაირად ვერ მოიქცეოდნენ: ვერც მამანტი ძაძამიას გამორჩეულ ღვაწლს უარყოფდნენ და ვერც მამანტი ძაძამიას მოკლავდნენ იმისათვის, რომ მეგრული ენის დღის დაწესება ცოცხალი მამანტი ძაძამიას დაბადების თარიღისთვის აეცილებინათ.

ასე, რომ, ბატონო გივი, ნებისმიერ სხვას, მათ შორის, თქვენ რომ გაგეკეთებინათ ის, ის რაც ბატონმა მამანტი ძაძამიამ გააკეთა მეგრული ენის და საერთოდ ენის ფენომენის მეცნიერულად შესწავლის საქმეში, ასევე მეგრული და სხვა ქართველური ენების დაცვის საქმეში, მეგრული ენის დღედ სწორედაც ასეთი პიროვნების დაბადების თარიღი დაწესდებოდა.

მეტსაც გეტყვით: არა თუ მეგრული ენის, არამედ საერთოდ ენის (მსოფლიოს ენების) საერთაშორისო დღის დაწესების საკითხი რომ დადგეს დღის წესრიგში, ამ მხრივ, მამანტი ძაძამიას ბადალი არავინ ეყოლება.

მერე რა, თუ ამჯერადაც გამოჩნდებიან ისეთი ადამიანებიც, რომელთა შესახებ დიდი კონსტანტინე, თავის დროზე, წერდა: **„ვინმე დიდი კაცი თუ გამოგვერია ქართველებს, ისე დავკორტნით, როგორც ძერა დაკოდილ არწივს"**.

დასასრულს, უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ ყოვლად უსაფუძვლოა, ბატონ ზურაბ კვარაცხელიას მიმართ გამოხატული თქვენი შენიშვნა იმის გამო, რომ ის გახლავთ მეგრული ენის დღედ მამანტი ძაძამიას დაბადების თარიღის დაწესების ინიციატორი. საქმე ის არის, რომ, ზოგიერთისგან განსხვავებით, მან. მრავალ სხვასთან ერთად, თავის დროზე და კარგად დაინახა მამანტი ძაძამიას სწორედაც განსაკუთრებული ღვაწლი ენათმეცნიერების დარგში და მავანივით არ დამართნია ის, რაზედაც ინგლისური ანდაზა ამბობს: **„ყველაზე მეტი სიბრმავე ძალად დაუნახაობაა"**. თუმცა, ჩვენ გვესმის თქვენი. ხომ არიან ადამიანები, რომლებიც სხვისთვის, მის სიცოცხლეში ვერანაირ სიკეთეს, ღვაწლის დაფასებასაც კი, ვერ იმეტებენ. გვიან კი იტყვიან: ეს ვინ გვყოლია და როგორ არ ვიცოდითო.

ჩემთვის უცნობია, თუ რატომ ვერ შესძელით თქვენ მამანტი ძაძამიას ნაშრომების გაცნობა და მისი ღვაწლის სათანადოდ გაცნობიერება, თუნდაც მეგრული ენის დღეზე მოსმენილ-დანახულითაც კი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, შევეცადე, დაგხმარებოდით ამ საქმეში და ეს კომენტარი ამანაც განაპირობა.

რაც შეეხება ბატონ ზურაბ კვარაცხელიას, მისი სახელი, სახალხო მოძრაობა **„სამეგრელო"**-ს საქმიანობაში აქტიური როლის შესრულებისა და, თვით ზემოაღნიშნული ინიციატივისათვის, ალბათ საქართველოს ისტორიაში ჩაიწერება, მაშინ როდესაც აღნიშნულთა დამწუნებლებზე მსგავსი მოლოდინი დაუშვებელია, ვინაიდან ასეთებს, ნათელია, არც სოფიას ტაძრის დაწვა და არც მეგრული ენის ცათამბჯენის ხელყოფა ძალუძთ.

გადაფურცლეთ, მხოლოდ გადაფურცლეთ მამანტი ძაძამიასა და მისი თანაავტორების საენათმეცნიერო ნაშრომები, ბატონო გივი, და ეგების გამოთვალოთ, რამდენი დრო დაგჭირდებათ საამისოდ.

თუ ამას გააკეთებთ, ვეჭვობთ, არც საზღვარგარეთ მოგზაურობების, სტუმარ-მასპინძლობისა და არც სხვათა და სხვათა შესახებ შემოგდებული ეგრეთწოდებული მერუსეთუმეობის ყბადაღებულ და ყუამდე გაცვეთილ პრობლემატიკაზე გულჯავრობისა და ხინჯის გადმოყრის დრო დაგრჩებ.

პატივისცემით

გივი წულაია

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

მიმდინარე წლის 15 მაისს ქ. მოსკოვში, დიდი სამამულო ომის დამთავრების 69-ე წლისთავთან დაკავშირებით, გაიმართა დამოუკიდებელი ქვეყნების ვეტერანთა საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭოსა და მასთან არსებული საერთაშორისო კავშირ **„გამარჯვების მემკვიდრეთა“** ერთობლივი სხდომა, სადაც მიწვეულნი იყვნენ ჰიტლერიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნების ვეტერანთა წარმომადგენლები.

საქართველოდან მიწვეულნი იყვნენ ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის თავჯდომარე, გადამდგარი პოლკოვნიკი რევაზ ნაცარაშვილი და აფხაზ და ქართველ ხალხთა კავშირის თავმჯდომარე ოლეგ ჯოლია.

სხდომაზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ვეტერანთა საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე, ფლოტის ადმირალი ალექსი სოროკინი, რომელმაც ყურადღება გაამახვილა დიდი სამამულო ომის დამთავრების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმის სამზადისზე და მისი ღირსეულად აღნიშვნის მნიშვნელობაზე.

სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ სხვადასხვა ქვეყნის ვეტერანთა წარმომადგენლები – მათ შორის იყვნენ საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის თავმჯდომარე ბატონი რევაზ ნაცარაშვილი, რომლის გამოსვლამ დიდი ინტერესი გამოიწვია. სხდომაზე ასევე სიტყვით გამოვიდა აფხაზ და ქართველ ხალხთა შერიგების კავშირის თავმჯდომარე ოლეგ ჯოლია, რომელმაც თავის სიტყვაში დიდი ადგილი დაუთმო აფხაზ და ქართველ ხალხებს შორის ნდობის აღდგენისა და შერიგების საქმეში კავშირის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს. აღინიშნა, რომ კავშირისა და მასთან არსებული ქართველ უხუცესთა საბჭოს (აფხაზეთიდან) მიერ შემუშავდა 12 პროექტი-წინადადება, მაგრამ მის განხორციელებას დუმილით შეხვდა სააკაშვილის მთავრობა, ახალი მთავრობა კი იმედებს იძლევა, რომ შესაძლებლობის ფარგლებში დაგვეხმარება ჩვენი განსაზღვრის სისრულეში მოყვანაში.

თავის გამოსვლაში ბატონმა ოლეგიმ წინა პლანზე წამოწია წინაპართა საფლავების მონახულების საკითხი და სთხოვა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარეს ბარონ სოროკინს და ბატონ ვალერი კალიაკინს გაეწიათ დახმარება ამ საკითხის მოგვარებაში. ბატონმა ოლეგიმ მოიყვანა პალესტინელების მაგალითი, როცა ისინი ფაქტობრივად საომარ მდგომარეობაში იმყოფებიან, ისრაელთან ურთიერთ-შეთანხმების შედეგად, პალესტინელები, დანიშნულ დროს თავისუფლად გადადიან იერუსალიმში, პატივს მიაგებენ წინაპართა საფლავებს და თავისუფლად ბრუნდებიან უკან. მან აქვე აღნიშნა, რომ ქართველთა და აფხაზთა მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის და ნათესაობის მიუხედავად ეს საკითხი დღემდე (20 წელი გავიდა) მოუგვარებელია.

დარბაზში გამოცოცხლება იგრძნობოდა, როდესაც ბატონი ოლეგი შეეხო საქართველოს ტერიტორიაზე სამაჩაბლოში (სამხრეთ ოსეთი) არსებულ მდგომარეობას. კერძოდ, ითქვა: **“ნება მომეცით შევეხო საკითხს, რომელიც აწუხებს მთელ საქართველოს მოსახლეობას და ძაბავს ვითარებას კავკასიაში. ბოლო დროს საქართველოს ტერიტორიაზე – სამაჩაბლოში რუსი სამხედროების მიერ ხდება მავთულხლართების საზღვრის გავლება, რომლის დროს საქართველოს სახნავ-სათესი და საძოვრები შუაზე იყოფა ანდა სულაც ოსეთის მხარეს ხვდება და ხალხი უნებლიედ გამოძევებული ხდება თავის სახლ-კარიდან. ასეთი მდგომარეობაა საფლავებსა და ეკლესიებთან მიმართებაშიც. ბევრ შემთხვევაში ისინი მავთულხლართებს მიღმა ხვდებიან, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევს და უარყოფითად აისახება რუს და ქართველ ხალხთა დამოკიდებულებაში.**

ახალი “ბერლინის კედლის“ აღმართვა ქართველებსა და ოსებს შორის ხელს არ შეუწყობს მშვიდობას კავკასიაში. ჩვენ აქ ვლაპარაკობთ მშვიდობაზე მთელს მსოფლიოში, ხოლო საქართველოს მიწაზე ხელოვნურად ვძაბავთ მდგომარეობას და ამას, სამწუხაროდ, აკეთებს რუსეთის მხარე (რუსი ჯარისკაცები).

გთხოვთ, რუსეთის ვეტერანებმა თქვან თავისი სიტყვა.“ – თქვა მან.

ღირსშესანიშნავი იყო ის, რომ სხდომის დამთავრებისთანავე ადმირალმა ალექსი სოროკინმა აფხაზეთის დელეგაცია და საქართველოს წარმომადგენელი ოლეგ ჯოლია შეახვედრა ერთმანეთს და მეგობრულად თხოვა აზრები გაეცვალათ ორივე მხარისთვის საინტერესო საკითხებზე. ამან, რასაკვირველია, გამოიღო დადებითი შედეგები – ამის შესახებ უკვე საუბრობენ აფხაზეთის მთავრობაში – სოხუმში.

მთელი სხდომის განმავლობაში (2 დღე) იგრძნობოდა, შეიძლება ითქვას, ძალიან თბილი დამოკიდებულება რუსი ვეტერანების მხრიდან ქართველებისადმი.

გაზეთის მკითხველებს გვინდა ვაუწყოთ, რომ საერთაშორისო კავშირის **“გამარჯვების მემკვიდრეები“** პრეზიდენტმა ვალერი კალიაკინმა წერილით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს გამარჯვების მემკვიდრეთა კავშირის მიერ ჩასატარებელ ღონისძიებებზე, 70 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს მასშტაბით, რაც უდავოდ ხელს შეუწყობს ჩვენი ძველი თაობის – ომის ვეტერანების თავგანწირვის მაგალითების უკვდავყოფას. საერთო ჯამში ეს ხელს შეუწყობს მომავალი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეს.

კონსტანტინე მარშავა,
ქართველ უხუცესთა საბჭოს
თავმჯდომარე (აფხაზეთიდან)

ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

ᲓᲝᲠᲗᲐᲨ ᲡᲝᲜᲔᲢᲘ

ჰა, ჩქით დიბრთითგ, ეკონია ცუდე დობგორით,
მარა თე დღაშახ ორინჯექგ გვალო გუმათუ,
დიო თიშქვი რდგ, თირბორიაქ უკულ გუმათუ,
ქგგმოკირესგ თე წანეფქგ უჩა ბოდორი.
ასე სვანჯი რე, ვეგიწკურა ამდღა თოლეფი,
მოუერუელერი დგმართუნა კინე ართ ხანა,
ფსუალეფიშე ეკოთანას ქგგმოფართხანა,
დიდაქირსეში ხვარჩალია მაჭირხოლეფი.
ბორჯიშ მონძე რექ – დამიცანი გურიშ დარანა,
დობერა-ქუცონგ, ირფელ ართო კვარჩხშე ირთუაფ,
ბდინგთ, უმინჯეთ ღურუშ აკანც ქიმკმოჭარანა.
დორთა ნწალე რე, ვამორთენი გვალო სანწალე,
თქუანა: ფარანქ თინეფი ხოლო ეკართინუა,
ვარ-დო, თეში რინას თე ქიანას მითა გაცალენს.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲮᲣᲚᲝᲠᲓᲐᲕᲐ,
2014 წანა, 9 ფურთუთა

ᲛᲣᲡᲮᲘ ᲛᲔᲛᲘᲫ

ტყვაც-გურგუნშა ვამოშქურუ,
მოშქურ შურიშ უკმელაშა...
ქუმორჩქინას, მუსხი მემიძ
თე უკმელაშ მოულაშა...

ორჩქინელქგ გემენწარგ,
შურ ვენტირე ჭიჭე კარეს,
ტერს ტერულო დობხვადენი
გურს თიშენი ვა მანგარე...

კოჩ ვორექ დო ღურაშ წოხლე
ჩილამურით ვამანგარე...

ᲠᲐᲛᲐᲖ ᲙᲣᲞᲠᲐ

ᲒᲘᲒᲘ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲥᲔᲛᲘᲗ “ᲒᲐᲯᲔᲯᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ” “ᲡᲘ-ᲗᲘ �პᲐᲠᲙᲘᲡ” ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ, ᲠᲐᲪ ᲐᲥᲐᲛᲓᲔ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲝᲓᲘᲗ ᲓᲐ ᲠᲐᲡᲐᲪ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲐᲠ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲑᲝᲒᲘᲜᲡᲐᲪ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲗ ᲐᲠ ᲐᲦᲙᲕᲔᲗᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ “ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲓᲐᲜ” ᲜᲘᲙᲐᲜᲝᲠ ᲛᲔᲚᲘᲐ

ახლადარჩეული თბილისის საკრებულოს შემდეგ **“სი-თი პარკზე“** უკვე საქართველოს საავტომობილო ფედერაციის თავმჯდომარე, შალვა ოგბაიძე ალაპარაკდა. კერძოდ, 3 აპრილს, მან ბრიფინგი გამართა და კომპანია **“სი-თი პარკს“, “ნაციონალური რეჟიმის“** ერთ-ერთი ფინანსური აფიორა უწოდა, რომელიც წლების მანძილზე მოქალაქეების პირადი ქონების ხელყოფასა და დედაქალაქში გაუსაძლისი პირობების შექმნას უკანონოდ და უსამართლოდ ეწევა.

“ნაცმოძრაობა“ და მისი მერი წლების მანძილზე კერძო ბიზნესში ჩაურევლობის საბაბით “სი-თი პარკთან“ დადებულ ხელშეკრულებას ასაიდუმლოებდა. “დემოკრატიულმა მოძრაობამ“ ლეგიტიმურად მოიძია აღნიშნული ხელშეკრულება. ჩვენი ეჭვები გამართლდა და ეს დოკუმენტი გიგი უგულავას (დღესაც თბილისის ფაქტობრივი მერის) და მთელი რიგი მაღალჩინოსნების მიერ ჩადენილი დანაშაულის პირდაპირი მტკიცებულებები აღმოჩნდა. ხელშეკრულება ისეა შედგენილი, რომ შეუძლებელია “სი-თი პარკისთვის“ გადაცემული მოქალაქეების კუთვნილი მუნიციპალური ქონების აღრიცხვა და იქიდან მიღებული მოგების დათვლა; ხელშეკრულების შესაბამისად, შემოღებული უნდა ყოფილიყო არათუ ყოველდღიური, არამედ საათობრივი გადასახადიც. დღეს თუ თქვენ “სი-თი პარკისგან“ მოითხოვთ ერთდღიან საშვს, პასუხად მიიღებთ ერთკვირიანი საშვის შემოთავაზებას“, – დასძინა ოგბაიძემ.

მისივე განცხადებით, **“ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო კეთილმოწყობილი თანამედროვე მრავალსართულიანი ავტოსადგომების აშენებაც. უგულავამ თავი დააყენა კანონზე მაღლა და თავისი ბრძანებით, ფაქტობრივად, დააკანონა შპს-სთვის საკუთარი თანამოქალაქეებისგან ხარკის აკრეფა. აღნიშნული ბრძანება არის ანტიკონსტიტუციური, კორუფციისა და უფლებამოსილების აშკარა გადამეტების ნიშნის შემცველი და, ფაქტობრივად, წარმოადგენს თბილისის ახლაც ფაქტიური მერის, უგულავას საბრალდებო დასკვნას,“** – აღნიშნა ოგბაიძემ.

ამ განცხადებას მერია კი არა, **“სი-თი პარკის“** ხელმძღვანელობა გამოეხმაურა და განაცხადა, არაფერიც, არანაირი არც მიწისზედა და არც მიწისქვეშა სადგომების აშენებას არავის დავპირებივართო.

მოდით, სიტყვა კვლავ შალვა ოგბაიძეს მივცეთ, იმ დეტალების გასარკვევად, რაც სააგენტოებს არ გამოუქვეყნებიათ:

– დავიწყოთ მთავარით: მე ფინანსურ აფიორაში ვამხელ თბილისის მერიას და რატომღაც პასუხს მცემს “სი-თი პარკი“. ეს ხომ რაღაც ეჭვს ბადებს? მათ შორის გამოდის, რაღაც ტოლობის ნიშანი დგას, არა? ჩვენ მიერ მოძიებულ ხელშეკრულებაში გამარჯვებული კომპანიები გახლავთ “ამაგონ ლიმიტედ“ და “შოჰარ პარკინგ სერვის ლიმითედის“ კონსორციუმი და რეალურად ეს ფირმები ინტერნეტშიც კი არ იძებნება. რაც შეეხება მათ მიერ აღებულ ვალდებულებებს, თვლების ბლოკირებაზე იყო ვალდებულება და არ შესრულებულა, გარდა ამისა მერიის არაერთგზის საჯარო განცხადებისა და ეს ხელშეკრულებაშიც წერია, რომ უნდა გაუმჯობესებულიყო ინფრასტრუქტურა ავტოსადგომების, არც ეს დაპირება არ შესრულებულა. მეტიც: გაუარესდა ტროტუარებზე ავტოსადგომების პანდუსების გარეშე მოწყობის თვალსაზრისით. მაგალითად, ვაჟა-ფშაველაზე, ტროტუარი გადააქციეს ავტომანქანების სავალ ნაწილად. ამის გარდა, ის ვალდებულება, რაც ხელისუფლებას გააჩნია ადმინისტრაციული ოქმების შედგენის თვალსაზრისით, ეს უგულავამ კომპანიას საკუთარი ბრძანებით გადაავალა, ანუ ეს უფლება ჩამოართვა შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ ორგანოებს და მისცა “სი-თი პარკს“, შემდგომ ვიღაცამ ურჩია, რომ ეს უხეში შეცდომაო და ორი წლის მერე შეტანილია შესაბამისი ცვლილება, თუმცაღა ესეც ანტიკონსტიტუციურია, იმიტომ რომ “სითი პარკს“ შეიძლება უფლებამოსილება მისცე, დაგვაჯარიმოს პარკირების წესის დარღვევისთვის, შეიძლება დაგვაჯარიმოს, თუ გადახდილი არ გვაქვს და “მათ ადგილზე“ გავაჩერებ მანქანას, მაგრამ მას არავითარი უფლება არ გააჩნია, არავის ტერიტორიაზე გაჩერების ამკრძალავი ნიშნის ქვეშ მდგარ ავტმობილს გამოუწეროს ჯარიმა. ესაა ის მცირე ჩამონათვალი, რის გახმოვანებასაც უახლოეს პერიოდში ვაპირებ.

რაც შეეხება კეთილმოწყობილ მრავალსართულიან ავტოსადგომებს, ეს ვალდებულება ჰქონდა მერიას აღებული და მე ველაპარაკები მერიას და არა “სი-თი პარკს“. მე საქმე მაქვს მერიასთან და უგულავასთან და რატომ მპასუხობს “სითი პარკი“, გაუგებარია...“

ᲗᲐᲜ. ᲝᲫᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲞᲚᲐᲡᲢᲛᲐᲡᲘᲡ ᲑᲝᲗᲚᲨᲘ ᲜᲐᲓᲒᲐᲛᲘ ᲬᲧᲐᲚᲘ

თუ ადამიანი ხშირად სვამს წყალს პლასტმასის ბოთლიდან, მას შაკიკი ემუქრება, რადგან ნივთიერება, რომელიც პლასტიკის შემადგენლობაში შედის, ამ თვალსაზრისით სახიფათოა. კანზასის უნივერსიტეტის მეცნიერები გვირჩევენ, უარი ვთქვათ პლასტმასის ბოთლებისა და კონტეინერების გამოყენებაზე, ასევე – მიკროტალღურ ღუმელში საკვების გაცხელებაზე. აღმოჩნდა, რომ ახალი საკვების მიღებისას, რომელიც ხელოვნური მასალებისგან დამზადებულ ჭურჭელში არ შენახულა, მხოლოდ სამ დღეში 66%-ით მცირდება შარდში ბისფენოლის შემცველობა. ასეთი სტრატეგია შაკიკის შეტევების სიხშირესა და სიმწვავესაც შეამცირებს. ბისფენოლ A-ს ეფექტს მეცნიერები ვირთხების მაგალითზე აკვირდებოდნენ. მათ ნახევარს სამი დღის განმავლობაში აძლევდნენ ამ ნაერთს. ბისფენოლის განსაზღვრული დოზის შეყვანიდან ერთი საათის შემდეგ ვირთხები ხდებოდნენ პასიურები, გაურბოდნენ ხმაურს და კაშკაშა სინათლეს, ადვილად ფრთხებოდნენ და ახდენდნენ თავის მიდამოს მომატებული მგრძნობელობის დემონსტრირებას. ყველა ეს სიმპტომი შაკიკისთვის არის დამახასიათებელი. საერთო ჯამში, მღრღნელების ტვინის მდგომარეობა ესტროგენების მოზდვევებზე მეტყველებდა. ცნობილია, რომ შაკიკი ხშირად არის შეჭიდული ამ ქალური სასქესო ჰორმონის დონის გაუთვალისწინებელ ცვლილებებთან. სწორედ ბისფენოლი A ახდენს ესტროგენების მოქმედების იმიტაციას. უნდა აღინიშნოს, რომ საბავშვო ბოთლების წარმოებაში ბისფენოლ A-ს გამოყენება უკვე აიკრძალა ევროკავშირის ქვეყნებში, კანადასა და ჩინეთში.

ამდენად, ფრთხილად უნდა ვიყოთ, ზოგადად, სასმელ წყალთან მიმართებაში, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ თბილისის **“ნაციონალურმა“** მერიამ, სხვა კომუნალური პოზიციების კვალდაკვალ, ცეცხლის ფასი დაგვიწესა წყალზე, არავინ აკონტროლებს მის ხარისხს და, კაცმა არ იცის რა უბედურებას გვასმევენ!

და ეს სიფრთხილე, განსაკუთრებით, ცხელი ზაფხულის სეზონზე გვმართებს, როდესაც ისედაც მძლავრობენ ხოლმე სხვადასხვა სახის ინფექციური დაავადებები.

2 წელში "ოცნებამ" მხარდამჭერთა 39% დაკარგა, "ნაცმოძრაობამ" – 63%

პოლიტიკოსთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები

პრესის მიმოხილვა

ხალხის 40-50% ახალი პოლიტიკური ძალის მოლოდინშია;
ღარიბაშვილის პირველი მტერი კახი კალაძეა;

"2012 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე ჩატარებულ არჩევნებს თუ შევადარებთ, დავინახავთ ტენდენციას, რომ ორი მთავარი პოლიტიკური ძალა – "ქართული ოცნება" და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" – არამარტო პროცენტული მაჩვენებლით კარგავენ მხარდაჭერას, არამედ აბსოლუტური რიცხვებითაც. კერძოდ, მე-8 მოწვევის პარლამენტის არჩევნები, რომელიც 2012 წლის 1 ოქტომბერს ჩატარდა, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი არჩევნები იყო, რომელშიც მმართველი პარტია დამარცხდა. ამ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ჯამში 2 215 661 ამომრჩეველმა, საიდანაც ხმების 54.97%, ანუ 1 181 862 ხმა "ქართულ ოცნებას" ერგო. "ნაცმოძრაობამ" კი მაშინ 867 432 ხმა მიიღო, ანუ 40.34%. ახალი ხელისუფლების მოსვლიდან ერთი წლის თავზე, 2013 წლის 27 ოქტომბერს საქართველოში რიგით მეექვსე საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა, სადაც ჯამში 1 596 654 ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა", – წერს გაზეთი "რეზონანსი" სტატიაში სათაურით 2 წელში "ოცნებამ" მხარდამჭერთა 39% დაკარგა, "ნაცმოძრაობამ" – 63%.

"რაც შეეხება 2014 წლის 15 ივნისის თვითმმართველობის არჩევნებს, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით ამ არჩევნებზე 16 ათასზე მეტი მარტო კანდიდატი იყო რეგისტრირებული და ქვეყანა პირველად პირდაპირი წესით თვითმმართველი ქალაქების მერებს, გამგებლებს და საკრებულოს წევრებს ირჩევდა, ჯამში საარჩევნო ყუთებთან 1 485 372 ამომრჩეველი მივიდა, რაც ხმის უფლების მქონეთა მხოლოდ 43.31%-ს შეადგენდა. ცესკოს მონაცემებით, პროპორციული სისტემით, მთელი ქვეყნის მასშტაბით "ოცნებამ" ჯამში 719 416 ხმა მიიღო. მეორე ადგილზე კი 317 223 ხმით "ნაციონალური მოძრაობა" გავიდა, მესამეზე – 145 027 ხმით "ბურჯანაძე – გაერთიანებული ოპოზიცია".ანუ, აბსოლუტურ რიცხვებში თუ დავიანგარიშებთ, 2012 წლის საპარლამენტოდან 2013-ის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის "ოცნებამ" (ან მისმა კანდიდატმა/კანდიდატებმა) დაკარგეს 170 ათასი ხმა (14%), ხოლო 2013-დან 2014-ის თვითმმართველობის არჩევნებისთვის 293 ათასი ხმა, ანუ 29%" – აღნიშნავს გამოცემა.

"2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2014 წლის 15 ივნისამდე, სულ, "ქართული ოცნების" მხარდამჭერთა რიცხვი შემცირდა 463 ათასით, ანუ 39%-ით. რაც შეეხება "ნაციონალურ მოძრაობას", 2012-იდან 2013 წლის ოქტობრისთვის მან დაკარგა 513 ათასი ხმა, ანუ 59%; 2013-დან 2014 წლის 15 ივნისამდე კი კლების ტემპმა იკლო და პარტიამ დაკარგა მხოლოდ 37 ათასი ხმა, ანუ დაახლოებით 10%. ანუ, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2014 წლის 15 ივნისამდე, სულ, "ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერთა რიცხვი შემცირდა 550 ათასით, ანუ 63%-ით. რაც შეეხება ნინო ბურჯანაძის პარტიის რეიტინგს, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე მან მიიღო 166 ათასი ხმა, ხოლო 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე საარჩევნო ბლოკმა, სადაც მთავარ ძალას ბურჯანაძის პარტია წარმოადგენდა, დაახლ. 21 ათასი ხმა დაკარგა, ანუ დაახლ. 12,7%" – წერს სტატიის ავტორი.

პოლიტიკოსის აზრი: თვისებრივად სხვადასხვა არჩევნების შედარება ანალიზის გაკეთების ზუსტ საშუალებას არ იძლევა, თუმცა დაბალ აქტივობას რამდენიმე ვერსიით ხსნის. "თუ ნებას მომცემთ, არჩევნებს ფეხბურთის მატჩს შევადარებ. დაბალი დასწრება იმ შემთხვევაში გვაქვს, თუკი მაყურებლისთვის შედეგი ცხადია, ანუ მაშინ როცა ერთი ძალიან ძლიერია და მეორე ძალიან სუსტი. ასევე მაშინაც, თუ მას არცერთი მეტოქე არ აღელვებს და ორივეს მიმართ ინდიფერენტულია. ყველაზე მეტი კი მაშინ მიდის, როდესაც მეტოქეები თავის შესაძლებლობებში თანაბრები არიან. ჩვენს შემთხვევაში დაბალი აქტივობის მიზეზი ამ სამი კლიშედან ჩემი აზრით არის ის, რომ ამომრჩეველი ფიქრობს, რომ "ოცნება" მაინც გავა და წასვლას აზრი არ აქვს. ამ მიზეზით ამომრჩევლის გაპასიურება ხშირად ხდება. ასევე შეიძლება იყოს შანსების თანაბრობის ნაკლებობაც. ამ შედარებებით ანალიზის გაკეთება ცოტა რთულია, რადგანაც ეს არჩევნები თვისებრივად განსხვავდება, თუმცა ამასთანავე ვერც წინა საპრეზიდენტოს შევადარებთ 2013 წლის არჩევნებთან და ვერც ამ არჩევნებს წინა თვითმმართველობისას, რადგანც მაშინ სხვა რეალობა იყო. ამიტომ მარტო ამ კონტექსტში აღებულმა ციფრებმა შეიძლება მოგვატყუოს. ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, ვფიქრობ, სხვანაირი შედეგი იქნება. 2012 წლის არჩევნებზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მხოლოდ "ოცნების" მიმართ, არამედ "ნაციონალების" მიმართ დამოკიდებულებასაც. მაშინ ომი იყო და მოსახლეობა ამ ომში თავისუფლების მოპოვებისთვის იბრძოდა. დღეს კი სხვა რეალობაა. იმ სურათით, რაც დღეს გვაქვს, ისევ "ქართული ოცნება" გაიმარჯვებს, თუმცა არა იმ სხვაობით, რაც 2012-ში იყო".

პოლიტიკოსის აზრი: "ამომრჩევლის ინერტულობა სრულიად ნორმალურია, რადგანაც ადგილობრივი არჩევნების მიმართ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ამ ტიპის არჩევნები ტარდება, საზოგადოების ნაკლები ინტერესი ვლინდება-ხოლმე. თუმცა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სპექტრის მიმართ საზოგადოების გარკვეულ იმედგაცრუებას აღიარებს. "როდესაც საუბრობენ "ქართულმა ოცნებამ" იმედი გაგვიცრუაო, მიკვირს, რადგანაც ხალხმა რეალურად ხმა მისცა "ნაციონალური მოძრაობის" წასვლას. "ქართული ოცნება" კი ამ შემთხვევაში იარაღი იყო. ამიტომაც მათი რეიტინგის კლების მიზეზებს შორის ესეც უნდა გავითვალისწინოთ. გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ ხელისუფლებამ სასწაულებრივად მოახერხა ყველა სფეროში უკან წასვლა. თუმცა მიუხედავად ამისა, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოლოდინი მე არ მაქვს. ვფიქრობ, რომ ამისთვის არცერთი პოლიტიკური ძალა და არც საზოგადოება მზად არ არის. რაც შეეხება ბოლო არჩევნებზე "ნაციონალური მოძრაობის" პროცენტებს, თუ ამას ამომრჩევლის საერთო მასაზე გადავიანგარიშებთ, ეს რეიტინგი 10-15%-მდე დავა, ბუნებრივია პროპორციულად შემცირდება მმართველი გუნდის რეიტინგიც. ამიტომაც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ბოლო 20-წლიან პერიოდში ეს არის არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ხელისუფლებამ საზოგადოების მხარდაჭერა ასეთი სწრაფი ტემპით დაკარგა".

"ხელისუფლებას ავტორიტეტული პიროვნებების შიში აქვს, თუ ამ წელიწადნახევრიან მმართველობას თვალს გადავავლებთ, ვერცერთ ცნობად სახეს ვერ ვნახავთ, რომელიც მათ პარტიაში, ან სიებში შეიყვანეს. პრაქტიკულად ამით ხელისუფლებამ ავტორიტეტულ ჯგუფებთან კომუნიკაცია შეწყვიტა და ამით ამ ადამიანებს უპერსპექტივობის განცდა შეუქმნა. ძალიან მოკლე დროში "ქართული ოცნება" ჩაკეტილ კლანად იქცა. რაც შეეხება "ნაციონალურ მოძრაობას", ის, რომ მან ამ პოზიციების შენარჩუნება შეძლო, ხელისუფლების დამსახურებაცაა. ისინი "ნაციონალების" ფონზე თავს კომფორტულად გრძნობდნენ. მათ მიერ წამოწეულ თემებს მაშინაც კი არაფრად აგდებდნენ, როცა ეს ხალხისთვის მნიშვნელოვანი იყო, შედეგად ის ხალხმაც არაფრად ჩააგდო. თავის მხრივ, "ნაცმოძრაობა" ძალიან სიცოცხლისუნარიანია. ის არის ერთადერთი პარტია ქვეყანაში, რომელსაც მთელი საქართველოს მასშტაბით ორგანიზებული სტრუქტურები აქვს. აქვს დისციპლინა, იდეოლოგია და ჰყავს მის გარშემო შემოკრებილი მომხრეები. დასავლეთის უპრეცედენტოდ მაღალი მხარდაჭერაც აქვს. გარდა ამისა სარგებლობენ სიმპათიით მედიის საკმაოდ დიდ ნაწილში. ყველაფერმა ამან კი მისი გადარჩენა განაპირობა", – დასძენს რესპონდენტი.

პოლიტიკოსის აზრი: "ყურადღება გასამახვილებელია იმ მიზეზებზე, თუ რატომ ვერ შეძლო ხელისუფლებაში ახლად მოსულმა პოლიტიკურმა ძალამ თვითმმართველობის არჩევნებში სასურველი შედეგის მიღება და სად იყო შეცდომები დაშვებული. ფაქტია, რომ: ხალხის 40-50% ახალი პოლიტიკური ძალის მოლოდინშია. დემოკრატიული თვალსაზრისით მეორე ტური კარგია იმიტომ, რომ ეს აჩვენებს ხელისუფლების ნებას, რომ ის არ აყენებს სპეციფიკურ მეთოდებს იმისათვის, რათა სხვადასხვა მანიპულაციის გზით პირველსავე ტურში დიდი უპირატესობით გაიმარჯვოს. პოლიტიკურად კი ეს ცუდია, იმ მარტივი მიზეზით, რომ ჯერ ერთი კატასტროფულად დაბალი აქტივობა იყო, რაც პრინციპში მეტყველებს იმაზე, რომ საზოგადოებაში არის ნიჰილიზმი და უნდობლობა პოლიტიკოსების მიმართ, სამწუხაროდ ხელისუფლების მიმართ. თბილისელების დიდმა უმრავლესობამ გადახაზა ყველა კანდიდატი, რაც ძალიან ცუდია და ეს აფერხებს მულტიპარტიული დემოკრატიის განვითარების პერსპექტივას. ამ თვალსაზრისით ჩვენ სერიოზული უკუსვლა გვაქვს. ასევე გამოჩნდა, რომ ქვეყანაში ვერ შეიქმნა ჯანსაღი ოპოზიციური ძალა, რომელიც ხელისუფლებას რეალურად დაუბალანსებდა და მისცემდა ადამიანებს ჯანსაღი ალტერნატიული არჩევანის საშუალებას".

"ეს განპირობებული იყო ძირითადად ხელისუფლების სერიოზული შეცდომებით. გარდა ამისა, არ მომხდარა პოლიტიკური სივრცის სისტემური გახსნა იმისთვის, რომ ქვეყანას ახალი სისხლი და ახალი შესაძლებლობები გასჩენოდა. ერთ-ერთი დანაშაული, თუ მას დანაშაული შეიძლება ეწოდოს, არის ის, რომ თბილისსა და სხვა თვითმმართველ ქალაქებში საინიციატივო ჯგუფების მიერ კანდიდატების წარდგენა არ დაუშვეს. დღევანდელი პოლიტიკური სპექტრი პოლიტიკური პროცესის თანამედროვე სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს. ახალი პოლიტიკური ძალების გამოჩენას კი სჭირდება ახალი სახეების გამოსვლა, რომლებიც რაღაც ეტაპზე ჯგუფებად შეიკრიბებიან და მათ ბაზაზე ახალი პოლიტიკური ძალის ფორმირება გახდება შესაძლებელი".

"ამ შეზღუდვამ უკან დახია საარჩევნო პროცესი და, ჩემი აზრით, ეს იყო ერთ-ერთი შეცდომა, მე ვიტყოდი ანტისახელმწიფოებრივი შეცდომა, რომელიც ხელისუფლებამ დაუშვა. ამ მხრივ ერთადერთი პრეცედენტი იყო ჟურნალისტ ალეკო ელისაშვილის მაგალითი, როდესაც მიეცა საშუალება საზოგადოებას არაპარტიული, ჯანსაღი პიროვნება აერჩია. ანუ, ეს მაგალითია იმისა, თუ როგორ პოზიტიურად შეიძლებოდა წასულიყო პროცესი და რა დადებითი შედეგები შეიძლება მიგვეღო თუ ხელისუფლება დაუშვებდა იმას, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიეღო არაპარტიულ საზოგადოებრივ ელიტას. ეს გახსნიდა პოლიტიკურ სივრცეს, რადგან დიდი ალბათობით ქალაქების მერები და გამგებლები გახდებოდნენ საზოგადოების არაპარტიული წარმომადგენლები და მათ ბაზაზე მოხდებოდა ახალი ჯანსაღი პოლიტიკური ორგანიზაციების ფორმირება".

"მეორე ტურის პროგნოზირებას მე არ დავიწყებდი იმიტომ, რომ მეორე ტურზე ხალხი მიდის მაინც ჯოხის ქვეშ – ორგანიზაციული რესურსის ბაზაზე ხდება ყველაფერი ეს. ვის აქვს დღეს მეტი ორგანიზაციული რესურსი? იმედი მაქვს, რომ ხელისუფლებას მეტი აქვს. მაგრამ რომც ვერ მოახერხონ და "ნაციონალებმა" მეტი ორგანიზებულობა აჩვენონ, არც ეს გამიკვირდება. რაც შეეხება ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენას, როდესაც მოსახლეობის მხოლოდ 30% მიდის არჩევნებზე, ეს ნიშა კი არ არის, არამედ დიდი ხვრელია. დღეს ხალხის 40-50% პარტიული მიუკერძოებლობის გარეშეა, ანუ ისინი ეძებენ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც შეიძლება ენდონ. არის უზარმაზარი შესაძლებლობა, ვიხილოთ ახალი ძალები, მთავარია სადმე გამოჩნდნენ", – აღნიშნავს პოლიტიკოსი.

პოლიტიკოსის აზრი: "ღარიბაშვილის პირველი მტერი კახი კალაძეა"

"თუ საპარლამენტო არჩევნებზეც ასე გაგრძელდა და ყველამ ერთად და პირველ რიგში ხელისუფლებამ რამე არ შეცვალა, მერწმუნეთ, პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი აღარ იქნება და ქვეყნის პირველ პირად ისევ სააკაშვილი მოგვევლინება," – განაცხადა პოლიტიკოსმა.

"თუ გავითვალისწინებთ იმას, რა რაოდენობის ამომრჩეველი მივიდა არჩევნებზე, მაშინ ჩვენ მიერ ნაჩვენები შედეგები სრულიად ბუნებრივია და უკმაყოფილების საბაბი არ გვაქვს. ხელისუფლებამ ელემენტარულად ისიც კი ვერ მოახერხა, რომ "ნაცმოძრაობა" პოლიტიკური ავანსცენიდან გაეჩოჩებინა მაინც, რათა ამ დანაშაულებრივმა გუნდმა საზოგადოებას მორალი მაინც არ უკითხოს და კიდევ უარესი – გამარჯვება არ იზეიმოს. ეს ყველაფერი ხალხმაც კარგად დაინახა და ამომრჩეველთა დაბალი აქტივობა ამის შედეგიცაა. "ოცნება" "ნაცმოძრაობას" ხელისუფლებაში დასაბრუნებლად წინაპირობას უქმნის. ხელისუფლება დღეს ცდილობს თავი გამარჯვებულად წარმოაჩინოს. "ოცნებაში" გამარჯვებას კი არ უნდა ზეიმობდნენ, კოალიციის თითოეულ ლიდერს, პირველ რიგში კი პრემიერ-მინისტრს ორი აგური უნდა ეჭიროს ხელში და თავში იცემდეს. ეს არის ხელისუფლების სრული უსუსურობის ბრალი. კოალიციაში წარმოჩინდა ის პოლიტიკური ფლანგი, რომელიც ხედავს, რომ "ოცნებას" არანაირი უნარი არ აქვს "ნაცმოძრაობა" პოლიტიკური გზით გააცილოს ავანსცენიდან, ამიტომ იგი სააკაშვილის გუნდთან აბსოლუტურ თანამშრომლობა-შერწყმა-კოაბიტაციაზე მიდის".

"დღეს ასეთი რეალობაა, თბილისში ყოველი 100 ამომრჩეველიდან ხელისუფლებას მხარი 15-მა დაუჭირა, ხოლო მთელი საქართველოს მასშტაბით ყოველი 100 ამომრჩეველიდან მხოლოდ 20-მა. 1 ოქტომბრის მერე არჩევნებზე წამსვლელთა რაოდენობა განახევრდა. ეს ის მდგომარეობაა, რომ ხელისუფლების ლიდერები თავში აგურს უნდა ირტყამდნენ. თუ ასე გაგრძელდა, "ოცნებაც" ისე გაითხრის პოლიტიკურ სამარეს, როგორც ეს ორი წლის წინ "ნაცმოძრაობამ" გააკეთა. უბრალოდ, ახლა განსხვავება ისაა, რო "ოცნება" "ნაცმოძრაობის" ხელისუფლებაში დასაბრუნებლად ყველაფერს აკეთებს. საბედნიეროდ, ამ ქვეყანაში სხვა პოლიტიკური ძალებიც არიან და ჩვენ ამას არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ. ეს ამ არჩევნებზეც გამოჩნდა".

"ამომრჩეველს პირველ რიგში უნდა დავანახოთ, რომ გამოსავალი მხოლოდ და მხოლოდ აქტიურობაშია. ყველას უნდა დავანახოთ, რომ "ნაცმოძრაობის" ხელისუფლებაში დაბრუნების რეალური საშიშროება არსებობს. დიდ იმედი მაქვს, რომ ორ წელს არ დაველოდებით. ჩვენ დავიწყებთ ბრძოლას, რომ ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ადრეც გითხარით და კიდევ გიმეორებთ, რომ, სიტუაციიდან გამომდინარე, ვიმოქმედებთ და თუ საჭირო გახდება, ქუჩის საპროტესტო აქციებსაც გავმართავთ".

"ის, რომ "ნაცმოძრაობის" თბილისის მერობის კანდიდატი სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელი იყო და ამაზე ერთი წამით არ გრძნობს პასუხისმგებლობას; ის, რომ სასამართლო ხელისუფლების კუთხით ვერაფერი ვერ გააკეთა და განაჩენი ისევ "ნაცმოძრაობის" ერთგულ მოსამართლეებს გამოაქვთ, აშკარა ნიშანია იმისა, რომ "ნაცები" და "ქოცები" ერთად თავს კომფორტულად გრძნობენ. ამ ყველაფერს მარტივი სახელი ჰქვია: "ქართულმა ოცნებამ" "ნაცმოძრაობა" გადაარჩინა. გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას არა აქვს, ეს გარიგებით ხდება თუ ხელისუფლების უსუსურობით, პრემიერი მძიმე მდგომარეობაშა და სისულელეს სისულელით პასუხობს. თუმცა მინდა გითხრათ, რომ გარკვეული გარიგების ნიშნები ჩნდება. რაც გააკეთა კალაძემ ეს "ნაცმოძრაობასთან" აშკარა გარიგებაზე მიანიშნებს. კახი კალაძე დღეს ღარიბაშვლის პირველი მტერია. კალაძესნაირი ერთგული მხარდაჭერი "ნაცონალურ მოძრაობას" წლების განმავლობაში არ ჰყოლია. ფაქტია, რომ კალაძე ინაწილებს იმ წილებს, რომელიც "ნაციონალურ მოძრაობას" ენერგოსფეროში ჰქონდა", – დასძენს პოლიტიკოსი.

ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲗᲐᲜᲐᲕᲐ: "ᲟᲘᲣᲚᲘ ᲨᲐᲠᲢᲐᲕᲐᲛ ᲠᲐᲪᲘᲘᲗ ᲓᲐᲣᲠᲔᲙᲐ ᲚᲝᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲣᲗᲮᲠᲐ – ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔᲛ ᲒᲐᲒᲕᲧᲘᲓᲐ, ᲛᲔ ᲐᲮ ᲛᲝᲛᲙᲚᲐᲕᲔᲜ, ᲣᲙᲕᲔ ᲛᲮᲔᲓᲠᲘᲝᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲛᲝᲓᲘᲐᲜ, ᲨᲔᲜᲡ ᲑᲘᲭᲔᲑᲡ ᲣᲨᲕᲔᲚᲔ!"

49 წლის ოთარ ჭითანავა ოჩამჩირელი ქართველია, რომელიც საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი იყო.

ამ დღეებში სააგენტო **„საქინფორმმა"** მისი ვრცელი წერილი გაავრცელა, სადაც გაუგონარი და ენითაუწერელი ამბებია მოთხრობილი.

გაზეთი **„ასავალ-დასავალი"** ოთარ ჭითანავას პერსონით საგანგებოდ დაინტერესდა და ვრცელი საგაზეთო ინტერვიუ ჩამოართვა.

– ბატონო ოთარ, 10 ათას დოლარად ედუარდ შევარდნაძის ლიკვიდაციას მართლა გეგმავდით?

– შევარდნაძის მოსაკლავად მე ფული მხოლოდ იმიტომ მჭირდებოდა, რომ ჩემი ოჯახის წევრები ოჩამჩირიდან გამომეყვანა. 1992 წლის ნოემბერში მივედი ლოთი ქობალიასთან და ვუთხარი, ყველაფერი მომზადებულია, მაქვს სნაიპერის შაშხანა, ე. წ. **„СВД"** და რესტორან **„ჩეგემის"** სამზარეულოდან განვახორციელებ გასროლას-მეთქი. ეს **„ჩეგემი"** სავაჭრო ცენტრის ბოლო, მეხუთე სართულზე იყო და პირდაპირ უყურებდა ოჩამჩირის შტაბს. შტაბის წინ ბაღი იყო, ხოლო ბაღის წინ – სავაჭრო ცენტრი. მანდ ძალიან ხშირად მოდიოდა ეს ვაუბატონი, ვერტმფრენები სულ მანდ სხდებოდნენ...

– ლოთი ქობალიამ ამ შეთავაზებაზე რა გიპასუხათ?

– ლოთიმ მითხრა, ზვიადს ვკითხავო! მერე მითხრეს, ეს თანხა – 10 ათასი დოლარი, არ გვაქვს, მაგრამ შენს ოჯახზე ჩვენ ავიღებთ პასუხისმგებლობას, ჩვენ გადავმალავთ, ოღონდ შენ ეს საქმე გააკეთეო!.. მე ვერ გავრისკე და ვერ გავაკეთე...

– როგორ ფიქრობთ, ტერაქტის შესახებ ინფორმაციამ ხომ არ გაჟონა?

– ინფორმაციას რომ გაეჟონა, დღეს მე ცოცხალი არ ვიქნებოდი, რადგან მთელი ომის პერიოდში სულ ოჩამჩირეში ვტრიალებდი.

– ბატონო ოთარ, როგორც თქვენ წერთ, საგანგებოდ დაუმეგობრდით ჯაბა იოსელიანს და „მხედრიონის" სხვა ლიდერებს... რა გქონდათ ჩაფიქრებული?

— კი, ჯაბას და მის ბიჭს ძალიან ახლოს ვიცნობდი, **„მხედრიონის"** სხვა ლიდერებთანაც მეგობრული ურთიერთობა მქონდა. ეს ყველაფერი მჭირდებოდა შევარდნაძის მოსაკლავად, რადგან ჯაბა იოსელიანისა და მისი გარემოცვის საშუალებით ზედმიწევნით ვიცოდი შევარდნაძის მარშრუტის, მისი გადაადგილების შესახებ; ვიცოდი, როდის უნდა ჩამოსულიყო შევარდნაძე. ერთადერთი კაცი, ვინც ტერაქტის მზადების შესახებ იცოდა, არის ლოთი ქობალია. შეთანხმების თანახმად, ლოთის არ უნდა ეხსენებინა ჩემი გვარი და სახელი, არავის უნდა სცოდნოდა, ვინ გეგმავდა ტერაქტს.

– რესტორანი „ჩეგემი" ვისი იყო, თქვენი ახლობლის?

– კი, ძალიან ახლობლის, მაგრამ ის ჩემი ჩანაფიქრის შესახებ აზრზე არ იყო. მე პოზიციურად მაწყობდა **„ჩეგემის"** სამზარეულო, ძალიან მოხერხებული ადგილი იყო, ყველაფერი ხელისგულივით ჩანდა.

– ბატონო ოთარ, ჯაბა იოსელიანი რომ გამხდარიყო თქვენი სამიზნე, ამაზე არ გიფიქრიათ?

– არცერთი წუთით!..

– რატომ, ჯაბა და მისი „მხედრიონი" ხომ შევარდნაძის მთავარი დასაყრდენი ძალები იყვნენ?

– ლავრენტი ბერია ხომ მაგარი კაცი იყო, მაგრამ სტალინის გარეშე რა ქნა?.. ვერაფერი!.. უსტალინოდ მაშინვე გაანადგურეს და დახვრიტეს. არც კიტოვანი და არც იოსელიანი არ იყვნენ ის ფიგურები, რომლებიც გადაწყვეტილებებს იღებდნენ, ყველაფრის თავი და თავი იყო ედუარდ შევარდნაძე. სენაკში **„წითელი ჯვრის"** ხალხი დავიჭირეთ და კარგად დავუქექეთ, რადგან შევარდნაძის სასარგებლოდ შპიონაჟს ეწეოდნენ, შევარდნაძის ხალხს ჩვენი პოზიციების კოორდინატებს უზუსტებდნენ და მერე შევარდნაძე გვბომბავდა. **„ტოიოტას"** ექვსი ჯიპი წავართვით, **„ვოლვოს"** ჯიპებიც იყო... მერე ეს ჯიპები ბრძოლებს შეეწირა.

– თქვენ ჟიული შარტავას გარდაცვალების შესახებაც ფლობთ საინტერესო და განსაკუთრებულ ინფორმაციას.

– 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა. 29 სექტემბერს გადმოვედით აფხაზეთიდან და 30 სექტემბერს დილით ჯერ ნათესავებს მივაკითხე ზუგდიდში, ხოლო შემდეგ ჩვენს შტაბში მივედი, სადაც ლოთის ვკითხე – კოდორიდან ბიჭები რატომ გამოიყვანე, ხალხი რომ გამოსულიყო, დერეფანი რატომ არ დატოვე-მეთქი? ლოთი ქობალიამ მიპასუხა – მე შენ არაფერს გეტყვი, წამოდი და ჩემს რადისტს ჰკითხე, რა დაურეკა და რა შეატყობინა სოხუმიდან ჟიული შარტავამო!.. ჩავედით ეზოში, იქ **„გაზ-56"** იდგა, რადიოსადგურის მანქანა. რადისტს ვეკითხები – რა შეგატყობინეს და რა დაგირეკეს სოხუმიდან-მეთქი?.. რადისტმა მიპასუხა – ჟიული შარტავამ რაციით დაურეკა ლოთის და უთხრა – ლოთი, შევარდნაძემ გაგვყიდა, მე აქ მომკლავენ, უკვე მხედრიონელები ამოდიან, შენს ბიჭებს უშველე, კოდორის გზაზე რომ ბიჭები გყავს, სუყველას დახოცავენ, ხალხი გადაარჩინეო!.. ლოთი ქობალიას ბოლომდე ეჭირა დერეფანი, ხოლო ხალხს შევარდნაძის აგენტები იმას ეუბნებოდნენ, ოჩამჩირისკენ გზა არ არის, ჭუბერით უნდა წახვიდეთო!..

– თქვენ იმას ამბობთ, რომ ჟიული შარტავა შევარდნაძის ხალხმა მოკლა?

– ამას კი არ ვამბობ, ამაში ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული და ეს მე ვიცი აფხაზებისგანაც. მოსკოვში შევხვდი ნაომარ აფხაზ ბიჭებს და იმათ მითხრეს – მკვდარი ჟიული შარტავა მხედრიონელებმა გადასცეს გუდაუთელ აფხაზებს და მერე აგორდა ჭორი, თითქოს ჟიული გუდაუთაში დახვრიტესო!.. იმ აფხაზ ბიჭსაც ველაპარაკე, შევარდნაძე მიზანში რომ ჰყავდა ამოღებული სოხუმში და მითხრა – რუსმა ოფიცერმა შუბლზე იარაღი დამადო და მიბრძანა – შევარდნაძეს არ ესროლო, თორემ მოგკლავ, ეგ სოხუმიდან მშვიდობით უნდა გავიდესო!..

– ბატონო ოთარ, ზვიად გამსახურდიას „ვალტერი" სად აჩუქეთ?

– ზუგდიდში, ლოთი ქობალიას სახლში!.. ეს სოხუმის დაცემის შემდეგ მოხდა; ჩვენ აფხაზეთის საზღვრისკენ წავედით, საჭესთან მე ვიჯექი, ლოთი გვერდით მეჯდა, უკან დაცვის ბიჭები იყვნენ. უნიკალური იარაღი – **„ვალტერი"** ფეხზე მეკეთა კაბურით. **„ცეპლენიას"** რომ ვაჭერდი, შარვლის ტოტი მაღლა აიწია და **„ვალტერი"** გამოჩნდა. ლოთი ქობალიას იარაღი ძალიან უყვარდა... დაინახა ლოთიმ **„ვალტერი"** და შემიჩნდა – მანახეო!.. ვიცოდი, არ დამიბრუნებდა და შვილები დავაფიცე – არ წაიღო-მეთქი!.. დაიფიცა... რომ ნახა **„ვალტერი"**, ისეთი ლამაზი და კოხტა იყო, გადაირია – ეს რა დამაფიცე, რა მაგარი იარაღიაო!.. მივედით ლოთის სახლში, სადაც ბატონი ზვიადი დაგვხვდა. მე დედა მყავს გვარად გამსახურდია... ზვიადმა იარაღი რომ დაინახა, ლოთის ჰკითხა – ეს რა არისო?.. ლოთი ეუბნება – აი, თქვენი დისშვილის არის ეს იარაღიო!.. ზვიადმა იარაღი ხელში დაიჭირა და მეუბნება – ჩემს ცხოვრებაში არ მომწონებია იარაღი, ეს რა მაგარი რაღაც არისო!.. ლოთიმ გამომაჯავრა – ე, ბიჭო, ბიძაშენს მოეწონა იარაღი და მიეციო!.. ბატონ ზვიადს, აბა, უარს როგორ ვეტყოდი, ჩემი ხელით შევუკარი ფეხზე კაბურა, რომელშიც გაკრიალებული **„ვალტერი"** იდო. ზვიადმა შარვალი გაისწორა და თქვა – ბიჭო, რომც დამიჭირონ და გამჩხრიკონ, კაციშვილი ვერ იფიქრებს, რომ მე სადმე იარაღი მაქვს და ყოველთვის შემეძლება თავის მოკვლაო!.. ძალიან გვეწყინა და ცუდ ხასიათზე დაგვაყენა პრეზიდენტის სიტყვებმა. მე ვუთხარი – ბატონო პრეზიდენტო, მაგ **„ვალტერში"** ხუთი ტყვია ჩადის და ხუთ მტერს მოკლავთ, ხოლო, თუ ხუთზე მეტნი იქნებიან, თქვენთვის ტყვიას ყოველთვის გამოძებნიან ნაძირლები-მეთქი!..

ზვიადმა ჩაიცინა და მითხრა – ვიცი, შვილო, განა არ ვიცი, მაგრამ მე უფრო თავს მოვიკლავ, ვიდრე სხვას მოვკლავო! მიუხედავად ამ სიტყვებისა, მე ასი პროცენტით ვიცი, რომ ზვიადს თავი არ მოუკლავს!

– თქვენ წერილში ამტკიცებთ, რომ ზვიად გამსახურდია ორი ტყვიით არის მოკლული – ერთი ტყვია მუცელში აქვს დახლილი, ხოლო მეორე – თავშიო!.. ეს ვერსია თავდაყირა აყენებს ყველაფერს!

– პრეზიდენტს **„მაუზერის"** ან **„ნაგანისთვის"** განკუთვნილი დიდი ტყვია მუცელში ესროლეს, ხოლო შედარებით მცირე ზომის ტყვია – თავში! როსტოვში რომ ჩაუტარეს ზვიადის ცხედარს ექსპერტიზა, ისე მოხდა, რომ ჩემი ნაცნობის ძალიან ახლობელი გოგონა მუშაობდა იმ დაწესებულებაში და იმან გამოგვიტანა ამბავი – ორი ნატყვიარი აქვს, ერთი მუცელში, ხოლო მეორე – თავშიო!..

– სად მოხდა ეს მკვლელობა?

– ამის შესახებ არაფერი ვიცი!..

– ბატონო ოთარ, თქვენ რა ვითარებაში დაშორდით პრეზიდენტს?

– მე და ლოთი ანაკლიაში წავედით რუსეთის არმიის მაიორთან შესახვედრად, რომელიც ქართველი იყო. ჩვენ გვეგონა, შევარდნაძემ შუამავლები გამოგვიგზავნა, ალბათ, გვნებდებიან-მეთქი!.. ეს ის დროა, როცა მხედრიონელები გარბიან და კოპიტნარამდე მოვედით.

– ქუთაისში რატომ არ შემოხვედით?

– ზვიადმა გაგვაჩერა!.. ასე ამბობდა — მე ჩემს თბილისში იარაღით არ შევალ, ამ ნაძირლებმა, ამ პუტჩისტებმა უნდა დაყარონ იარაღი და ასე გამარჯვებულები, უიარაღოდ უნდა შევიდეთ თბილისშიო!.. სულ მაგაზე მქონდა ლოთი ქობალიასთან კამათი – წინ რატომ არ მივდივართ-მეთქი?.. ზვიადი არ გვიშვებდა თურმე...

– ძალიან სკანდალური იყო თქვენი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზურაბ ჟვანია და უსუპოვი სააკაშვილის დაცვის წევრებმა ე. წ. ცელოფნის პარკებით მოგუდეს მანქანაში და მერე მიიტანეს მათი გვამები იმ კონსპირაციულ ბინაში!

– ნუ მკითხავთ იმას, თუ ვინ მითხრა ამის შესახებ, რადგან წყარო ძალიან კომპეტენტური და სერიოზულია. მკვდარ ჟვანიასა და უსუპოვს ფილტვებში შპრიცით შეუშხაპუნეს მხუთავი გაზი, რითაც შექმნეს გაზით გაგუდვის იმიტაცია. ექსპერტიზამ ფილტვებში გაზის კვალი აღმოაჩინა, მაგრამ სისხლში გაზი არ აღმოჩნდა, რაც სრული აბსურდია. კაცს, რომელმაც მხუთავი გაზი ისუნთქა, არ შეიძლება, სისხლში გაზი არ აღმოაჩნდეს!..

– რატომ ვერ ან არ მიიყვანეს ბოლომდე ჟვანიას მკვლელობის გამოძიება?

– სააკაშვილს მაგის გამოძიება აწყობდა?..

– სააკაშვილს არ აწყობდა, მაგრამ დღეს ხომ სააკაშვილი აღარ არის ხელისუფლებაში?

– როგორ ფიქრობთ, დღეს ვინ მართავს საქართველოს?.. ამერიკის საელჩო, რომელიც ისევ ძველ ადგილას დგას, თორემ გიორგი მარგველაშვილი, აბა, რისი პრეზიდენტია?

– იცით, რა მაინტერესებს?.. ასეთ მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობთ და რატომ დუმდით მთელი ამ ხნის განმავლობაში? რაღა მაინცადამაინც ახლა გამოჩნდით?

– 2009 წლის შემდეგ ვცდილობ, ეს ყველაფერი საზოგადოებამდე მივიტანო, მაგრამ ვერ შევძელი. შარშან დეკემბერში ჩამოვედი რუსეთიდან და აი, უკვე აქ ვარ!.. სერგეი შამბას ბიძაშვილი – ედიკ შამბა იყო რუსეთის ფედერაციაში ბაღაფშის წარმომადგენელი. ედიკ შამბა ჩემი ძმაკაცია და მან მითხრა – შენ მართალი ხარ, შევარდნაძე და არძინბა იმ ომში ერთად იყვნენ, გარიგებულები იყვნენ და 1993 წლის ახალი წლის ღამეს ერთად შეხვდნენ ბიჭვინთაშიო!.. ამ შეხვედრას ასევე ესწრებოდა ერთ-ერთი რუსი მაღალჩინოსანი, რომლისგანაც არძინბა და შევარდნაძე ერთად ყიდულობდნენ იარაღს! ტამიშთან ბრძოლის დროს მხედრიონელებს სულ ახალი ყუმბარმტყორცნები ჰქონდათ, რომელთა ნომრები მთავრდებოდა **„55"**-ით, ხოლო აფხაზებს, რომლებსაც ჩვენებმა იარაღები წაართვეს, ყუმბარმტყორცნებზე ეწერათ იგივე ნომერი, იგივე სერია, რომელიც მთავრდებოდა **„56"**-ით, ანუ ერთი და იმავე საწყობიდან იყო წამოღებული იარაღი, რომლის ნაწილიც ჩვენ მოგვყიდეს და ნაწილი – აფხაზებს!..

– როგორ ფიქრობთ, შევარდნაძე ამ ყველაფერს რომ წაიკითხავს ან შეიტყობს, რას მოიმოქმედებს?

– ოდესმე ვიღაცამ ხომ უნდა უთხრას სიმართლე?.. მე ვუთხარი ეს სიმართლე!..

ესაუბრა ᲓᲘᲢᲝ ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ
გაზეთი "ᲐᲡᲐᲕᲐᲚ-ᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ"

ᲐᲛᲑᲐᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲣᲚᲡ ᲒᲐᲒᲘᲗᲑᲝᲑᲗ – ᲛᲔᲔᲖᲝᲕᲔ ᲑᲔᲑᲘᲐ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

"მითხრა – წამიყვანე, ბებო, რა იქნება, მეც წამიყვანე, შენთან მინდაო."
"დილას 6-სთზე ვდგებით და ერთად გავდივართ სამუშაოდ. ახლო-ახლოს ვდგავართ ერთმანეთთან, თან ზღაპრებსაც ვუყვები და ასე გაგვყავს დრო..."
"ანდრი სანამ ბაღში წავა, დიდი კაცივით მუშაობს, რამდენიმე ქუჩის დასუფთავებას ვასწრებთ."

რამდენიმე თვეა სოციალურ ქსელში ყურადღების ცენტრშია ზუგდიდელი მეეზოვისა და მისი შვილიშვილის ფოტო, სადაც ორივე უნიფორმაშია გამოწყობილი... კომენტარებში წერდნენ, რომ ოჯახს ძალიან უჭირდა და დახმარება სჭირდებოდა.

ჟურნალისტი ზუგდიდელ მეეზოვეს, 60 წლის დენიზა გოგიასა და მის პატარა შვილიშვილს, ანდრის დაუკავშირდა...

– ანდრი (თოდუა) 3,5 წლის არის. დილას 6-სთზე ვდგებით და ერთად გავდივართ სამუშაოდ. რამდენიმე ქუჩას ვასუფთავებთ, ანდრის ძალიან უხარია ჩემთან ერთად ყოფნა.. ახლო-ახლოს ვდგავართ ერთმანეთთან, თან ზღაპრებსაც ვუყვები და ასე გაგვყავს დრო. ძალიან აქტიური, დაუზარელი და ცოცხალი ბავშვია. მისი თანატოლებისგან განსხვავებით, ზარმაცი არ არის. თუ ცუდი ამინდია, მეცოდება და მეშინია, არ გამიცივდეს და არ მიმყავს. არც კარგ ამინდებში დამყავს ყოველდღე, როდესაც თავად მოუნდება, მაშინ მომყვება...

პირველად რომ მითხრა, – წამიყვანე, ბებო, რა იქნება, მეც წამიყვანე, შენთან მინდაო, ვიუარე, მაგრამ ძალიან მეხვეწებოდა და მეც წავიყოლე. პატარაა, მაგრამ სხვანაირად ჭკვიანი ბავშვია.

– ანდრის დედ-მამა ჰყავს?..

– დიახ, დედამისი ჩემი ერთადერთი შვილია. სიძეც ჩემთან ცხოვრობს. არც ერთი არ მუშაობს და მართალი გითხრათ, არ გვილხინს, თუმცა ბავშვი ამიტომ ნამდვილად არ დამყავს სამუშაოდ, უბრალოდ, თავად გამოთქვა ამის სურვილი. ზუგდიდში სამეგრელოს ქუჩაზე ვცხოვრობთ. აფხაზეთიდან დევნილები არ ვართ, როგორც დაიწერა, ადგილობრივები ვართ, სახლ-კარი გვაქვს, მაგრამ შემოსავალიც ხომ გვინდა, მით უფრო, შვილიშვილები პატარები არიან.

– მეუღლე არ გყავთ?..

– არა, გარდაცვლილი მყავს.

– შვილიშვილიც ერთი გყავთ?..

– არა, ანდრის ერთი წლით უმცროსი ძმა ჰყავს, ილია.

– ბავშვები ბაღში არ დადიან?..

– კი, დადიან, ანდრი სანამ ბაღში წავა, დიდი კაცივით მუშაობს, რამდენიმე ქუჩის დასუფთავებას ვასწრებთ. ანდრი მერე ბაღში მიდის, მე მუშაობას ვაგრძელებ...

– ფოტოზე ბავშვს მეეზოვის ფორმა აცვია...

– დიახ, მე შევუკერე, უფრო სწორად დიდი ზომის იყო და მის სარგოდ გადავუკეთე... თავისი პატარა ცოცხიც აქვს.

– რამდენი წელია ქალაქის დასუფთავების სამსახურში მუშაობთ.?..

– სამ წელზე მეტია... მანამდე ოჯახში არავინ ვმუშაობდით, არც პენსია მეკუთვნოდა. სად არ მივედი, რა არ ვცადე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ბოლოს, დასუფთავების სამსახურის ადგილობრივ სამსახურს მივმართე, ჯანი მერჩის და რამე სამუშაო მიპოვეთ-მეთქი...

ᲜᲣᲑᲖᲐᲠ ᲛᲐᲚᲐᲨᲮᲘᲐ, ᲖᲣ�გᲓᲘᲓᲘᲡ ᲓᲐᲡᲣᲤᲗᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ: ფოტოს ნახვის შემდეგ, თბილისიდანაც დამირეკეს, გვითხარით, როგორ დავუკავშირდეთ ბავშვის ოჯახს, რომ დავეხმაროთო, ავუხსენი, რომ ბავშვი გაჭირვების გამო კი არა, საკუთარი სურვილით აკეთებს ამას, თორემ 3 წლის ბავშვს ვინ ამუშავებს, რაზეა ლაპარაკი... როდესაც ეს გავიგეთ, ქალბატონ დენიზას პატარა შვილიშვილიც ეხმარებდა, დასუფთავების სამსახურის საპატიო წევრობა მივანიჭეთ და საჩუქრად ერთი თვის პენსიაც მივეცით დამატებით... დიახ, უჭირთ, იმიტომ, რომ ოჯახიდან ერთი წევრი მუშაობს მხოლოდ, მაგრამ ჩვენ რაც შეგვიძლია, ხელს ვუწყობთ...

ᲚᲐᲚᲘ ᲞᲐᲞᲐᲡᲙᲘᲠᲘ,
გაზეთი "ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ"

ამბები სამეგრელოდან

მუნიციპალიტეტის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში დასრულდა

დასრულდა ხობის მუნიციპალიტეტის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში, რომელიც ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა. შეჯიბრი გაიმართა როგორც ვაჟთა, ასევე გოგონებს შორის (მსაჯი ვლადიმერ გერგაია).

გოგონათა შორის მესამე ადგილი დაიკავა ქრისტინა ბერაიამ. მეორე ადგილზე გავიდა თამუნა თითმერია. პირველი ადგილი მოიპოვა ლანა ტაბაღუამ.

ვაჟთა შორის მესამე ადგილი დაიკავა დავით აკობიამ, მეორე ადგილი ერგო გიორგი ფირცხელავას, მუნიციპალიტეტის ჩემპიონი გახდა ზაზა გელაშვილი.

შეჯიბრს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე მახარე ჩოკორაია ესწრებოდა. გამარჯვებულები სიგელებითა და თასებით დაჯილდოვდნენ

პრეზენტაცია ეროვნული მუზეუმის სააქტო დარბაზში

3 ივნისს, თბილისში ეროვნული მუზეუმის სააქტო დარბაზში არქეოლოგმა რევაზ პაპუაშვილმა სამეცნიერო წარმომადგენლობისა და ხობის დედათა მონასტერში მიმდინარე არქეოლოგიური კვლევებით დაინტერესებულ საზოგადოებას 2009-2013 წლებში განხორციელებული კვლევის ანალიზი გააცნო.

წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ ხობის მონასტრის მთელი პერიმეტრი მოიცავს უძველესი დასახლებისათვის დამახასიათებელ საყოფაცხოვრებო თუ ნაგებობათა ნაშთის კვალს მიწის ღრმა ფენებში. აღმოჩენილ იქნა აკლდამა, რომელშიც ორ საფეხურადაა ცხედრები განლაგებული. ადვილი შესაძლებელია ეს ძირძველი სავანე ცოტნე დადიანის საფლავსაც ინახავდეს. ამჟამინდელი ტაძარი ოდნავ სახეშეცვლილია და მის ირგვლივ აღმოჩენილი საძირკველი სხვა უფრო დიდი ზომის ტაძრის არსებობას ადასტურებს.

პრეზენტაციას ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის მოძღვარი მამა ილია (ლომაია), ტაძრის ისტორიის შესწავლის ინიციატორი გოგიტა ჩიტაია, მოწვეული სტუმრები, ისტორიკოსები, სტუდენტები და რიგითი ხობელები ესწრებოდნენ.

არქეოლოგიური ჯგუფის წევრებმა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოს წარმომადგენლებს თანადგომისთვის მადლობა გადაუხადეს.

სიტყვით გამომსვლელებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ხობი იმაზე უფრო დიდ წარსულს ინახავს, ვიდრე აწმყოში ვიცით და მომავალი ამას აუცილებლად დაგვანახებს.

პრეზენტაციის დასასრულს საკუთარი ემოციები საჯაროდ გამოხატეს მამა მიქაელ ბუკიამ, როზეტა შულაიამ, გულნაზი გვალიამ, ნუგზარ ნადარაიამ, მალხაზ დათუკიშვილმა...

ექსპედიცია ელის დაფინანსებას, რის შემდეგაც კვლევა კვლავ გაგრძელდება.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დაცვის დღე

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის დღე აღინიშნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში.

ცენტრალური ბულვარის ტერიტორიაზე სხვადასხვა სპორტული და გასართობი ღონისძიებები გაიმართა, სადაც მონაწილეობას დებულობდნენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები.

დღესვე, ზუგდიდის არტ-გალერეაში მათი ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. მოგვიანებით კი შ.შ.მ. პირთა საფეხბურთო გუნდსა და მუნიციპალიტეტის გამგეობის ფეხბურთის მოყვარულთა გუნდს შორის ამხანაგური თამაში გაიმართა.

შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო და დრამატული თეატრის რეკონსტრუქცია

მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონფერენციო დარბაზში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის დროებით შემსრულებელმა გიზო სართანიამ, კულტურის მინისტრის მოადგილემ მანანა ბერიკაშვილმა, ბიზნესმენმა დავით ბერძენიშვილმა და კორეულმა კომპანია **„TDA"**-მ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის დრამატული თეატრის რეკონსტრუქციაზე იმსჯელეს.

კომპანიამ წარმოადგინა მის მიერ რესტავრირებული ტოკიოს, მოსკოვის, სხვადასხვა ქვეყნების დიდი თეატრებისა და ფილარმონიების რეკონტრუქციის ამსახველი კადრები.

როგორც ბიზნესმენი დავით ბერძენიშვილი იუწყება, შალვა დადიანის სახელობის თეატრის რეკონსტრუქციაში 10-დან 20 მლნ. ლარამდე გაიხარჯება.

კომპანიის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს თეატრი. სამი თვის მანძილზე მომზადდება პროექტი.

გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები

გზის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ქალაქის რამდენიმე ქუჩაზე ერთდროულად მიმდინარეობს. სატრანსპორტო გზის მოასფალტება უკვე დასრულებულია ფოთისა და ბუკიას ქუჩებზე. მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს რაფავას, ბარათაშვილისა და აღმაშენებლის ქუჩის პირველ შესახვევში.

უშაფათის თემში არსებულ ამბულატორიას სამედიცინო აღჭურვილობა გადაეცა

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-127/ო ბრძანების შესაბამისად, სენაკის მუნიციპალიტეტის უშაფათის თემში ახლადამოქმედებულ ამბულატორიას გადაეცა საოფისე ავეჯი და სამედიცინო აღჭურვილობა, რაც ხელს შეუწყობს თემის მოსახლეობის სრულფასოვან სამედიცინო მომსახურეობას. ამბულატორია მოინახულა და ადგილზე გაეცნო არსებულ ვითარებას სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი ნატო ფულარია თვითმმართველობის სხვა პასუხისმგებელ პირებთან ერთად, რის შემდეგაც იგი ეწვია თემში არსებულ საბავშვო ბაღს.

"ვანდალიზმი, რომელზეც სახელმწიფო ხმის ამოღებას ვერ ბედავს" – ბათუმში წმინდა ბარბარეს ეკლესიას ანადგურებენ?

"მორიგი თავხედური ვანდალიზმი, რომელზეც სახელმწიფო ხმის ამოღებას რასაკვირველია ვერ ბედავს", – წერს **"ფეისბუქის"** პირად გვერდზე ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი ლაშა ბაქრაძე და ამ ვანდალიზმის ამსახველ ფოტოებს აქვეყნებს.

პოსტს აქტიური გამოხმაურება მოჰყვა, მათ შორის ბათუმელების:

"ნახეთ რას უშვრებიან ჩვენს თვალსწინ, დღისით, მზისით, ბათუმის წმ. ბარბარეს ცნობილ ეკლესიას, მე-19 საუკუნის არქიტექტურის შესანიშნავ ნიმუშს – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობას – აუცილებელია თქვენი უნებართვო სამუშაოების შეჩერება".

ლაშა ბაქრაძე მსგავსი ფაქტების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და საყოს ეტაპზე საიტის შექმნის წინადადებით გამოდის.

"ძეგლთა დაცვამ, რომელმაც საყდრისზე ხელი დაიბანა, ამ რუსის მეფის დროს აშენებულ ეკლესიას ძეგლად არ თვლის ალბათ. ძეგლი მე-5 საუკუნიდან მე-15-მდე აშენებული ვიცით ჩვენ.

მარტო მეუფე რას გაბედავდა – ლოცვა-კურთხევები სულ ზემოდან მოდის. ეს ვანდალიზმი საერთო სახალხო ტრადიციად ჩამოყალიბდა. შუა საუკუნეების სვანურ ეკლესიებს მამილოები თავისი გემოვნებით უკეთებენ ევრორემონტებს, როგორც აქ "ფეისბუქზე"-ზე რამდენჯერმე დაიწერა.

თან ეს პატარა ეკლესია (განსხვავებით უამრავი სხვისგან, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ძეგლებისგან) ყველამ იცის და პირდაპირ ხელის გულზე დევს – აქ ასე თავხედობენ და სხვაგან რა ხდება?

ესეთი ფაქტები უნდა შეგროვდეს, საიტი შეიქმნას დასაწყისისთვის – სვანეთის ეკლესიებიდან სამხრეთ საქართველოს ეკლესიებამდე, სადაც რამდენადაც მსმენია ძველი კედლის მხატვრობის ნარჩენები, რომელიც მამაოებს არაფერს ეუბნებოდა, დააზიანეს ან გადაღებებს შეეწირა... ძაან ქართულსაც არ ინდობენ, თუ მათ წარმოდგენებს არ აკმაყოფილებს...

კომუნისტებმა ბევრი რამ დაანგრიეს. და ახლა განვაგრძოთ უნდა, ეტყობა", – წერს ბაქრაძე.

ხელოვნების ისტორიკოსები ამ ფაქტს ბათუმის ისტორიის გაყალბებად და წარსულის განადგურებად აფასებენ:

"ბათუმელების თვალწინ, ქალაქის ყველაზე თვალსაჩინო ადგილას თამაშდება დრამა, რომელსაც სახელად ჰქვია – ბათუმის ისტორიის გაყალბება და წარსულის განადგურება.

ეს არის ინგლისელთა ეკლესია (ბარბარეს ეკლესია) რომელიც ინგლისელთა სამხედრო ჰოსპიტალის ტერიტორიაზე იდგა. (ახლანდელი ბულვარის ნაწილი). საინტერესოა სად არის ძეგლთა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოები?".

რომელი სააგენტო უშველის დაღუპულ საქრისტიანოს საქმეს, მაშინ, როცა ნაციონალებისა და სააკაშვილის გამცემლური პოლიტიკის წყალობით, თურქეთს უკვე თავისად მიაჩნია ამ რამდენიმე წლის წინათ გაქრისტიანების გზაზე დამდგარი აჭარა და საქართველოს სხვა რეგიონებსაც უტევს თავისი მედრესეებითა და მოლა-ხოჯებით...

მაგალითად, საქართველოში მიწების სკანდალი გორდება, კონკრეტულად, საქართველო-თურქეთის საზღვართან. ახლახან ცნობილი გახდა, რომ რაღაცა მექანიზმებით, ქართული მიწები თურქეთის გახდა. ამის შესახებ პირველად სოფელ კირნათის მოსახლეობამ შეიტყო. საკუთარ მიწებზე გასულ გლეხებთან მივიდნენ თურქი მესაზღვრეები და უთხრეს, რომ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ.

მოსახლეობამ მიაკითხა ყველა დონის უწყებას, მაგრამ კინაღამ ადგილობრივები დაადანაშაულეს სასაზღვრო წესების დარღვევაში. საზოგადოების წარმომადგენლების განცხადებით, ცნობილია, რომ ყოფილმა პრეზიდენტმა, ოქტომბრის არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, ეს მიწები სიმბოლურ ფასად დაუთმო თურქეთს. ისინი ამტკიცებენ, რომ ეს გადაწყვეტილება დადასტურებულია დოკუმენტურად. ახალ ხელისუფლებას კი ძალა არ შესწევს, ეს პრობლემა მოაგვაროს და ანკარას დაუპირისპირდეს.

ექსპერტები პესიმისტურად უყურებენ საკითხის მოგვარებას, რადგან თუ მართლა არსებობს შეთანხმება, მისი გაუქმება არარეალურია.

ასე რომ, სრულიად საქართველოა ფუნდამენტალიზმისაგან გადასარჩენი!

ჯაბა ბოჯგუას დედა შვილის უმძიმეს მდგომარეობასა და გაუსაძლის გასაჭირზე – მომღერლის დასახმარებლად ბებია მათხოვრობა უყევს

უკვე მეექვსე წელია, მომღერალი ჯაბა ბოჯგუა უგონო მდგომარეობაშია. ის საწოლს არის მიჯაჭვული და ცხადია, დამოუკიდებლად განძრევაც არ შეუძლია. მას დედა და 80 წლის ბებია უვლიან.

შარშან, როდესაც ჯაბას დედას, მანანა გვასალიას შევეხმიანე, მან წვრილად გვესაუბრა იმ მძიმე ყოფის შესახებ, რომელშიც ოჯახი იმყოფება და ასევე პაციენტის შესახებაც... იმ ინტერვიუს შედეგად მოჰყვა ის, რომ მათ უამრავი ადამიანი გამოეხმაურა და დახმარება აღმოუჩინა. რაც მთავარია, სრულიად უცნობმა პიროვნებამ, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, ჯაბას დედას სურვილი აუსრულა, – ავადმყოფს ორთოპედიული საწოლი გამოუგზავნა, რითაც უმძიმესი პაციენტის პატრონს საქმე შეუმსუბუქა. მათ ფინანსურადაც დაეხმარნენ.

კვლავ შევეხმიანე ქალბატონ მანანას:

– აბა, რა გითხრათ? ჯაბას მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა, მაგრამ მე და დედაჩემი თავს არ ვზოგავთ, რომ არაფერი დააკლდეს. უკვე ექვსი წელია ვცხოვრობთ გლდანში, ნაქირავებ ბინაში. დედაჩემი შვილიშვილს გამო ხანდახან ქუჩაშიც გადის და ადამიანებისგან შემწეობას ითხოვს... ეს მოხუცი ქალი მეხმარება ჯაბას გადაბრუნებაში... ამდენი წელია წევს, მაგრამ ისე ვუფრთხილდებით, რომ სხეულზე არანაირი ნაწოლი და არ აქვს გაჩენილი. ცოტ-ცოტა, უმნიშვნელო წინსვლაც აქვს, თუ ეს შეიძლება წინსვლად ჩაითვალოს, ამას წინათ, ნემსი რომ გაუკეთა ექთანმა, როგორც ჩანს, ეტკინა და ხელიდან შპრიცი გააგდებინა...

რა ვიცი, ხომ ვამბობ, მისი მდგომარეობა მძიმეა, მაგრამ მე იმედს არ ვკარგავ იმ სიზმრის იმედი მაქვს, რომელშიც 7 რიცხვი ფიგურირებდა... მგონია, რომ 7 წლის შემდეგ ჩვენი მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს. ამასთან, ის პირველად, მამა სოგრატმაც რომ ნახა, თქვა: **"ჩვენსკენ არის!"** ამიტომ, როდესაც ძალიან დამძიმდება ხოლმე, ერთი წუთი არ ვუშვებ იმას, რომ მას რამე დაემართება. ასე იმედით ვცოცხლობ...

ცოტა ხნის წინ, ბინის შეცვლა მინდოდა, მაგრამ ეს პრაქტიკულად, შეუძლებელი აღმოჩნდა, ასეთი ავადმყოფით სახლში ჩვენი შეშვება არავის მოუნდა. და ალბათ მართალებიც არიან... კარგი იქნებოდა, ჩვენი ერთი ოთახი მაინც რომ გვქონდეს და გვქონდა კიდეც, მაგრამ ჯაბას ავადმყოფობამ მთელი ჩვენი ქონება გაანადგურა. ეს იყოს კარგად და მაგას რას დავეძებ... მადლობა მინდა, გადავუხადო ყველა იმ ადამინს, ვისაც ვახსოვართ და პერიოდულად პატივს გვცემს. ყურადღებას უცხოეთში მცხოვრები ქართველები იჩენენ. მადლობა ასევე მათ.

– ცნობილი ადამიანები თუ გაკითხავენ, უბრალოდ თუ ინტერესდებიან თქვენი შვილის მდგომარეობით?

– არა, არავინ... ეს კი ყველას მიმართ ძალიან ყურადღებიანი იყო...

– კიდევ დასახმარებლად არავისთვის მიგიმართავთ?

– არა, ეს არ შემიძლია. პირიქით, მადლობის მეტი მათთვის რა მეთქმის, ვინც ამას თავისით აკეთებს...

ლალი ფაცია

აქვს თუ არა კავშირი სანდრა რულოვსს მოკლულთა ორგანოებით ვაჭრობის საქმესთან? სანდრა რულოვსს თავისი ბიზნესი საქართველოდან უკრაინაში გადააქვს?!

ჯერ კიდევ 2014 წლის მაისში, დონბასში, კერძო სამხედრო კომპანიებიდან დაქირავებულ მებრძოლთა გარდა, მემარჯვენე სექტორსა და უკრაინის არმიაში გამოჩნდნენ უცხოელი ექიმები სპეცაღჭურვილობით, რომლებიც მოკლულთა და მძიმედ დაჭრილთა ორგანოების ამოკვეთას ეწეოდნენ.

ასევე რეგიონში გამოჩნდა კიევურ ნომრებიანი საინკასაციო და სასწრაფო დახმარების მანქანათა შესამჩნევი რაოდენობა, რომელთა დანიშნულებისამებრ გამოყენება ეჭვს იწვევს.

„სლავმა სახალხო მოლაშქრეებმა კარაჩუნის შორიახლო 180 დაღუპული და მუცელგამოფატრული ნაცგვარდიელის გვამი იპოვეს, ცოტა მოშორებით კი კიდევ 300 გვამი, რომელბსაც შინაგანი ორგანოები არ ჰქონდათ. წინა საღამოს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა იქ წითელი ჯვრის მანქანა შენიშნეს“,– იუწყებოდა წყარო 19 ივნისს.

ჩვენს მკითხველს შევახსენებთ, რომ იგივე პროცესებს ადგილი ჰქონდა სერბეთში, ასევე საქართველოში – საქართველოს შსს-მ გამოაქვეყნა საიდუმლო ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც საქართველოში ყოველწლიურად უგზოუკვლოდ იკარგებოდა ასობით ადამიანი, ხოლო პოპულარული ქართული ყოველკვირეული გაზეთი **„ასავალ-დასავალი“** არაერთგზის აცხადებდა, რომ ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა საქართველოდან უცხოეთში ექს-პირველი ლედი სანდრა რულოვსისარალეგალურ ბიზნესს წარმოადგენდა, რომელიც ქველმოქმედების გამო როდი ხელმძღვანელობდა სხვადასხვა სამედიცინო პროგრამას, მუშაობდა მედდად და სტუმრობდა ციხის საავადმყოფოებს, სადაც ადამიანს აწამებდნენ და კლავდნენ.

უკრაინის ჰოსპიტლებიდან, სადაც უკრაინის არმიის ნაცგვარდიისა და მემარჯვენე სექტორის დაჭრილ მებრძოლებს განათავსებენ, საინტერესო მონაცემები ვრცელდება. ამ დაწესებულებებში გამოჩნდნენ ახალი სპეციალისტები – ქირურგები, რომელთა უდიდესი ნაწილი უცხოელია, თუმცა ძირითად უცნაურობას წარმოადგენს ის, რომ ისინი მკურნალობენ ნაცგვარდიის მძიმედ დაჭრილ წამომადგენლებს, აკეთებენ დამატებით ანალიზებს, რომელთა საჭიროება არ არის და „სამკურნალოდ“ ბევრ მებრძოლს კიევსა და დნეპროპეტროვსკში აგზავნიან, ამასთან, სრულებით ანადგურებენ შესაბამის დოკუმენტაციას.

ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ ევროინტეგრაციის ზოგიერთი მომხრე ევროპაში სხვებზე ადრე აღმოჩნდება, ოღონდ ნაწილ-ნაწილ.

ამიტომ, დაფიქრდით, ვიდრე საარჩევნო ყუთთან მიხვალთ და ამ გუნდის წევრ ნიკანორ მელიასათვის გადაწყვეტთ ხმის მიცემას.

საქინფორმი

მსოფლიოში წამყვანი ბანკების 14 ტოპ-მენეჯერი მოკლეს

დასავლეთ ევროპაში გრძელდება მაღალჩინოსანი ბანკირების მკვლელობების სერია. მათ განსაკუთრებული სისასტიკით ხოცავენ ბავშვებთან და ცოლებთან ერთად. მიმდინარე წლის იანვრის თვიდან უკვე მოკლულია წამყვანი ბანკების 14 ტოპ-მენეჯერი. არცერთი დანაშაული გახსნილი არ არის.

№1 18 აპრილს ცნობილი გახდა რომ ბელგიის ქალაქ ბიზეში, მიმავალი ავტომობილიდან სროლის შედეგად, მოკლული იქნა BNP Paribas Forty – ის 37 წლის დირექტორი, მეუღლესთან და 12 წლის ძმიშვილთან ერთად. ბიზესმენის მარსელ ნევენუს განცხადებით, გაურკვეველია რამ გამოიწვია ასეთი სასტიკი სროლა 18 აპრილს, გვიან ღამით. ამ მომენტამდე ვერ დადგინდა მკვლელობის მოტივი და ვერც მკვლელის კვალს მიაგნეს.

უფრო ადრე ფინანსური სამყარო შეაშფოთა ABN A ABN Amro-ს ყოფილი გენერალური დირექტორის და მისი ოჯახის წევრების მკვლელობამ. მოგვიანებით ცნობილი გახდა ბანკი F Frick &co–ს მეთაურის იუგენ ფრიკის მკვლელობის შესახებ.

მთელი ამ წლის მანძილზე იანვრიდან დღემდე ევროპასა და აშშ-ში დაღუპულია 13 ბანკირი, თუ არ ჩავთვლით ბოლო მკვლელობას. პოლიცია ამ ადამიანების გარდაცვალების მიზეზად ნაწილ შემთხვევებში თვითმკვლელობას ასახელებს, ნაწილი შემთხვევების დეტალების გამჟღავნებისგან თავს იკავებს, რაც ამძაფრებს ეჭვს, განზრახ მკვლელობების ვერსიასთან დაკავშირებით.

№2 უილიამ ბროკ სმიტი – 58 წლის. Deutsche Bank-ის ყოფილი ტოპ-მენეჯერი, 26 იანვარს ნახეს გარდაცვლილი საკუთარ სახლში, ლონდონის ცენტრში. პოლიცია ამ შემთხვევას თვითმკვლელობით ხსნის.

№3 კარლ სლიმი – 51 წლის. Tata Motors-ის მართველი დირექტორი, 27 იანვარს გარდაცვლილი იპოვეს სასტუმრო Shangrili-L-ას მეოთხე სართულზე.

№4 გარბელ მაგი – 39 წლის. LP LP Morgan-ის თანამშრომელი, 27 იანვარს გარდაიცვალა, ლონდონში LP M LP Morgan-ის შტაბ-ბინის სახურავიდან ვარდნის შედეგად.

№5 მაიკ დიუკერი – 50 წლის. აშშ-ს საინვესტიციო ბანკის მთავარი ეკონომისტი, იპოვეს გარდაცვლილი, ვაშინგტონის შტატში, ტაკომას ხიდის მახლობლად.

№6 რიჩარდ ტელი – 57 წლის, Tile Services-ს დამფუძნებელი, თვის დასაწყისში იპოვეს გარდაცვლილი. ფაქტებიდან ჩანს, რომ მან თავი მოიკლა ცეცხლსასროლი იარაღით.

№7 ტიმ დიქსონი – Swiss Re AG G-ის კომუნიკაციების დირექტორი, გარდაცვლილი იპოვეს, მისი სიკვდილის გარემოება დღემდე გაურკვეველია.

№8 რაინ ჰენრიკრეპი – JP Morgan-ის 37 წლის ტოპ-მენეჯერი, გარდაიცვალა რამდენიმე კვირის წინ. გარდაცვალების მიზეზად თვითმკვლელობა სახელდება.

№9 ლი ჯუნჯი – 33 წლის ბანკირმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, იგი National Bank of commerce-ის შტაბბინის შენობის სახურავიდან გადმოხტა.

№10 ჯეიმს სტიუარტი – Midtown's Vertical Group-ს ყოფილი გენერალური დირექტორი, 19 თებერვალს იპოვეს გარდაცვლილი სკოტდეილში, არიზონას შტატში. ოჯახის წარმომადგენელმა მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება არ ისურვა.

№11 ედმონდ რეილი – Midtown's Vertical Group-ის 47 წლის ტრეიდერი მატარებელს ჩაუვარდა.

№12 კენნეტ ბელლანდო – L Levy Capital-ის 28 წლის ტრეიდერი, რომელიც მანამდე JP Morgan-ის საბანკო ანალიტიკოსად მუშაობდა, საკუთარი ბინის ფანჯრიდან გადმოხტა.

№13 იან პიტერ შმიტმანი – BN Amro-ს ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი, ამსტერდამის მახლობლად, საკუთარ სახლში, იპოვეს გარდაცვლილი ცოლთან და ქალიშვილთან ერთად.

№14 იურგენ ფრიკი – Bank Frick & Co-ს ყოფილი გენერალური დირექტორი, ლიხტენშტაინში, ერთ-ერთი ფინანსური კომპანიის მიწისქვეშა ავტოსადგომში მოკლეს, ცეცხლსასროლი იარაღით.

რუსეთში აფხაზეთის გავლით, სომხეთში სარკინიგზო მიმოსვლის გახსნის საკითხს განიხილავენ

„რუსეთის რკინიგზა“ ოკუპირებული აფხაზეთის და საქართველოს მიერ კონტროლირებადი ტერიტორიების გავლით სომხეთში სარკინიგზო მოძრაობის გახსნის საკითხს განიხილავს,– ამის შესახებ ორგანიზაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ იაკუნინმა განაცხადა.

როგორც იაკუნინმა განმარტა, საკითხს პოლიტიკური ასპექტები გააჩნია.

„ჩვენ ყურადღება უნდა მოვაქციოთ, აფხაზეთის გავლით სომხეთში სარკინიგზო მაგისტრალის გახსნის საკითხს. სამწუხაროდ, საკითხი პოლიტიკურია და უკავშირდება საქართველოსა და აფხაზეთს შორის უთანხმოებებს. რაც შეეხება რკინიგზის თანამშრომლებს, მაშინაც, როდესაც რუსეთსა და საქართველოს შორის რთული პერიოდი იყო, მაშინაც ყველა საკითხის მოგვარება პრობლემატური არ იყო“,– განაცხადა იაკუნინმა.

მისივე განმარტებით, რუსეთსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის ფარგლებში, რუსეთმა აფხაზეთის სარკინიგზო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის 2.5 მილიარდი რუბლი გამოყო.

„რაც შეეხება ამ პროექტის შემდგომ განვითარებას, ეს უკვე დამოკიდებულია მეზობელი ქვეყნების კეთილ ნებაზე“,– განაცხადა იაკუნინმა.

შეგახსენებთ, საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა 2013 წლის იანვარში, ერევანში ვიზიტისას სარკნიგზო მოძრაობის აღდგენის შესაძლებლობაზე ისაუბრა. რუსული მედიის ცნობით, ამ საკითხთან დაკავშირებით საუბარი სომხეთის პრეზიდენტს, სერჟ სარგსიანსა და რუსეთის პრეზიდენტს, ვლადიმერ პუტინს შორის უკვე შედგა.

დავით ჭითანავა

პოემა გვანჯი ჩიქოვანზე

ულირსს აღარ მიესვლება, უპირო კაცს არ იკარებს,
პატიოსან კაცისათვის არაფერს არ დაიზარებს,
მრუდე საქმეს არც იზამს და ფიქრშიაც არ გაიტარებს,
არც ცოდვაში ჩადგამს ფეხს და არც სიბერეს გაიმწარებს.

კაცი თითს არ ამოისვამს, ჩაუვარდეს გინდაც თვალში,
ყველას პატივმცემელია, არც დაურჩა ვინმეს ვალში,
მხოლოდ თესვა სიკეთისა, გამჯდარი აქვს რბილს და ძვალში,
ღმერთო, შობე გვანჯისთანა ჩვენთან კიდევ მომავალში.
ყველას გულის მოსარგები მის გარდა ვინ გაჩენილა?!
მის მაყრობას არ ნატრულობდეს — აღარავინ დარჩენილა.
„გვანჯიმ უნდა გადაწყვიტოს!“ — თითქოს ასე დადგენილა,
მისი სახელი და გვარი ქვეყანაზე გაფენილა.

გერმანია-ავსტრიაში ისე სცნობენ, როგორც აქა.
ომში ბევრი დაეხმარა, როცა ჰქონდათ დაკა-დაკა,
ბევრს უსწორა თოფ-ხანჯალი, ბევრსაც თავში წაუთაქა,
უფროსობა უმადლოდა. არ ჰქონია მცირეც ლაქა.

სულ გვერდი-გვერდ მიჰყვებოდა, მიიწევდნენ როცა წინა,
ვინ დატყვევდა, ვინ დაიჭრა, ვინ მიწაში ჰპოვა ბინა,
დაჭრილებსაც პატრონობდა, ლაზარეთში დააწვინა,
ბევრი ჩვენებურის ბედი გვანჯიმ აქ შეატყობინა.

ავსტრიაში მომწყვდეულებს ბრძოლა ჰქონდათ მეტად დიდი,
შეატყო რომ ინგრეოდა მოკავშირეებს შორის ხიდი.
მიხვდა, უკვე გაცლა სჯობდა, დრო დგებოდა არამშვიდი.
შინისაკენ გამოსწია, თავი ჰქონდა გასარიდი.

მისი მოსვლით გავიხარეთ, ზეიმობდა ხალხის გული,
დადის ყველას სანატრელი, კაცი ყველგან მიღებული,
კაცი მეტად საოცარი და ლეგენდა მოარული,
სულის ჯადო — მკურნალი და ჭკუა — სიბრძნით გავსებული.

ლექსის წერა დავამთავრე და თუ ვინმეს ეცოტავა,
კიდევ დამრჩა დასაწერი, კვლავაც დავწერ დრო რომ გავა,
ვამთავრებ და ხელსაც ვაწერ, იქნებ ვინმე შემედავა,
მე, ქვემორე ხელმომწერი; დავითი ვარ, ჭითანავა.

ამრიგად, გასრულდა წიგნი, რომელიც მოგვითხრობდა სამეგრელოს ღირსეული შვილის გვანჯი ჩიქოვანის მიერ განვლილი ცხოვრების სახიფათო გზასა და მის გმირულ თავგადასავლებზე, რასაც დიდი ინტერესით გაეცნო ჩვენი მკითხველი და საკუთარი შთაბეჭდილებებიც გამოგვიგზავნა რედაქციაში.

ამისათვის, მადლობა გვინდა ვუძღვნათ ჩვენს ერთგულ მეგობარს, უაღრესად განსწავლულ და ქართული წიგნის ფანატიურად მოყვარულ პიროვნებას ბატონ ოთარ ჭითანავას, რომელმაც უანგაროდ მოგვაწოდა წიგნი გვანჯი ჩიქოვანზე და უმდიდრესი საილუსტრაციო მასალა.

გაზეთ "ილორის" რედაქცია

სახელმწიფოს კუთვნილი რომელი შენობები მიითვისა სააკაშვილის ოჯახმა – გიული ალასანიას "კორუფციული რვაფეხა"

2014 წლის მარტში, პროკურატურაში სააკაშვილის დაბარების პარალელურად, ხელისუფლება, მაშინ, მისი ოჯახის ბიზნესებით დაინტერესდა. ჯერ იყო და, გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლებელია, იარაღის უკანონო ვაჭრობასთან დაკავშირებით, თემურ ალასანიას წინააღმდეგ აღიძრას საქმეო, რამდენიმე დღის წინ კი, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა გიული ალასანიას მიაკითხა, საქართველოს უნივერსიტეტის ბათუმის ფილიალის პრივატიზების გამო. ამავე უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, სააკაშვილის ბიძაშვილი ნიკოლოზ ალასანიაც გახლავთ. რატომ გაჩნდა კითხვის ნიშნები "ალასანიების სასწავლებელთან" დაკავშირებით და რაში ედავება ხელისუფლება ექსპრეზიდენტის ოჯახს? დეტალების გასარკვევად ჟურნალისტი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს დაუკავშირდა, თუმცა უწყებაში, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ამ თემაზე, ჯერჯერობით, არ საუბრობენ; კომენტარს არ აკეთებს საქართველოს უნივერსიტეტის რექტორი მანანა სანაძეც, დეტალებს არც გიული ალასანია ასაჯაროებს, თუმცა სატელევიზიო კომენტარი მას შემდეგ გააკეთა, რაც სააკაშვილის ოჯახმა პროკურატურიდან უწყება მიიღო: **"გადმომცეს უწყება, რომლის მიხედვითაც ჩემს შვილს პროკურატურაში დაკითხვაზე იბარებენ. თავდაპირველად, ეს სხვა რამეს დავუკავშირე, რადგან ძალიან დაემთხვა დროში მეორე ფაქტს – ორი დღის წინ, ჩვენს უნივერსიტეტში მოვიდა ქაღალდი, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ცოტა გაუგებარი შინაარსის კია ეს წერილი, მაგრამ ეს ეხება ბათუმის სკოლის შენობას, ამიტომ, როდესაც უწყება მომიტანეს, ვიფიქრე, იმ საქმეს უკავშირდებოდა, თუმცა ამ შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ თავად მიშას იბარებენ".** ინფორმაციულ ვაკუუმში, გაგვახსენდა, რომ ორიოდე წლის წინ, **"ქართული დასის"** ლიდერი ჯონდი ბაღათურია სააკაშვილის ოჯახის წევრებს განათლების სისტემის მონოპოლიზებაში ამხელდა და შესაბამის დოკუმენტებსაც აფრიალებდა. **"კორუფციული რვაფეხა"** – სწორედ ამ სათაურით გამართა პარლამენტში პრეზენტაცია ბაღათურიამ 2012 წლის გაზაფხულზე და მაშინდელი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის დედის, გიული ალასანიას სწრაფი გამდიდრების სქემა გაშიფრა. დაახლოებით, 20.000.000 აშშ დოლარის ქონება, 16-მდე სასწავლო დაწესებულება, პრეზიდენტ სააკაშვილის განკარგულებით, მისი დედისთვის სიმბოლურ ფასად, 1 ლარად გადაცემული შენობა-ნაგებობები – შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი და 10 ჰა მიწის ფართობი – საქართველოს უნივერსიტეტისთვის საბაზრო ღირებულებაზე გაცილებით ნაკლებად – ესაა იმ ბრალდებების ჩამონათვალი, რომლითაც ჯონდი ბაღათურიამ გიული ალასანიას წინააღმდეგ მაშინ პროკურატურას მიმართა.

ჟურნალისტი ჯონდი ბაღათურიას დაუკავშირდა. **"ქართული დასის"** ლიდერმა პროკურატურისთვის წარდგენილი მასალებიც გადმოგვცა და ის სქემაც გაშიფრა, რომლის მიხედვითაც ექსპრეზიდენტი სახელმწიფო ქონებას ანაწილებდა.

– მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტობის პერიოდში თანამდებობრივ სტატუსს იყენებდა და სახელმწიფოს ბალანსზე არსებულ ქონებას მეგობარს, ოჯახის წევრს ან რომელიმე მოსასყიდ პოლიტიკოსს (თუნდაც ნინო ბურჯანაძეს) საჩუქრად გადასცემდა – ხალხის კუთვნილ შენობებს ერთ ლარად არიგებდა, რასაც საქართველოს უნივერსიტეტის ბაუთმის ფილიალის მაგალითიც მოწმობს. საქართველოს უნივერსიტეტის დამფუძნებლები გიული ალასანია და მისი ძმისშვილი, თემურ ალასანიას ვაჟი ნიკოლოზ ალასანია გახლავთ. 2010 წელს, პრეზიდენტის ბრძანებით, მათ, ბათუმში, ყოფილი სასამართლოს შენობა, სადაც ერთ დროს, საჯარო რეესტრიც იყო განთავსებული, ერთ ლარად გადაეცა. სააკაშვილის ოჯახი ელიტურ კორუფციაში დიდი ხნის წინ ვამხილე. როგორც იქნა, დადგა ჟამი, როცა მათ მიერ ნაქურდალი ქონება ხალხსა და სახელმწიფოს უნდა დაუბრუნდეს.

– საქართველოს უნივერსიტეტში საგამოძიებო სამსახური თქვენი მასალების საფუძველზე ხომ არ შევიდა, ამ საკითხზე არ დაგკითხეს?

– არ დამკითხეს, თუმცა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, 2012 წლის ნოემბერში, პროკურატურაში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაცია სრულად გადავაგზავნე. მაშინ საქმე პირადად არჩილ კბილაშვილს დაეწერა. ნათესავებისთვის ერთ ლარად გადაცემული სახელმწიფო ქონება ერთ-ერთი საკითხია, რის გამოც მიხეილ სააკაშვილს პროკურატურა დაკითხვაზე იბარებს; მას ქრთამის აღებაშიც ადანაშაულებენ, რადგან საჩუქრის სახით მილიონ ასი ათასი ლარის ქონება აქვს მიღებული. შესაძლოა, პროკურატურაში ჩვენ მიერ წარდგენილ მასალებსაც გაეცნენ, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ გამოძიება მხოლოდ ჩვენი დოკუმენტების საფუძველზე მუშაობს. გარკვეულ ეტაპზე, ამ მიმართულებით, საგამოძიებო ჯგუფი პასიურობდა, ახლა კი, პოზიტიურ განწყობაზე დავდექი. პროკურატურის გადაწყვეტილებით კმაყოფილი ვარ. სააკაშვილი საბრალდებო სკამზე უნდა დასვან, თუ არადა, მასზე ძებნა უნდა გამოცხადდეს.

– გავრცელდა ინფორმაცია, რომ იარაღის უკანონო ვაჭრობასთან დაკავშირებით, შესაძლოა, თემურ ალასანიას წინააღმდეგ საქმე აღიძრას. საქართველოს უნივერსიტეტში საგამოძიებო სამსახური შევიდა. ეს სააკაშვილის ოჯახის პოლიტიკური განეიტრალების მცდელობა ხომ არაა, როგორც ამას ნაციონალური მოძრაობა ამტკიცებს?

– არ ვფიქრობ, რომ ეს რევანშია! საქართველოს უნივერსიტეტში წილს თემურ ალასანიაც ფლობს, რადგან ერთ-ერთი დამფუძნებელი მისი შვილი, ნიკა ალასანიაა და ქონება მასზეა გადაფორმებული... ვიმეორებ, სახელმწიფო ბალანსზე არსებული შენობები სააკაშვილის ოჯახმა უკანონოდ მიითვისა და ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს. ვერც სააკაშვილი და ვერც გიული ალასანია მათ ხელთ აღმოჩენილი ქონების წარმოშობის კანონიერებას ვერ ასაბუთებენ. სხვათა შორის, სააკაშვილის ინიციატივით, კანონში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, ე.წ. მტკიცების ტვირთი ჩინოვნიკებსა და მათ ოჯახის წევრებზე ვრცელდება. ის სწორედ ამ კანონით მუსრავდა არასასურველ ოპონენტებს, ახლა კი ამ ინიციატივის მსხვერპლი თავად აღმოჩნდა. სააკაშვილის ნოვატორობის შედეგია, საქართველოს მოსახლეობის 65%-მდე რომ შიმშილობს და სიღატაკის ზღვარსქვემოთაა. სააკაშვილმაც და მისი ოჯახის წევრებმაც, რომლებმაც სახელმწიფო შენობები უკანონოდ მიითვისეს, კანონის წინაშე პასუხი უნდა აგონ.

"კორუფციული რვაფეხა"

რას ნიშნავს **"კორუფციული რვაფეხა"** და კონკრეტულად, რა ტიპის მონოპოლისტობაში სდებს ბრალს ჯონდი ბაღათურია ექსპრეზიდენტის დედას?

ბაღათურიას მიერ გადმოცემული მასალებით ირკვევა, რომ გიული ალასანია საქართველოს უნივერსიტეტში, რომელიც მან დააფუძნა, 37,5%-იან წილს ფლობს, ამავე უნივერსიტეტში 37.5% ეკუთვნის მანანა სანაძეს, 12.5% ედუარდ რობერტ რაუპსა და 12.5% ნიკოლოზ ალასანიას. თავის მხრივ, საქართველოს უნივერსიტეტში შპს **"საქართველოს უნივერსიტეტის საშუალო სკოლის"** დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელია, ხოლო ამ სკოლის დირექტორები გიული ალასანია და მანანა სანაძე არიან. საქართველოს უნივერსიტეტი შპს **"საქართველოს უნივერსიტეტის სპორტული სკოლის"** 100%-იანი დამფუძნებელიცაა, რომლის დირექტორებად კვლავ გიული ალასანია და მანანა სანაძე გვევლინებიან. შპს **"საქართველოს უნივერსიტეტის სასწავლო ავეჯის"** 100%-იანი წილის მფლობელიც საქართველოს უნივერსიტეტია და შპს კაფე **"ხადილის"** 100%-იან ნაწილსაც სწორედ ეს უნივერსიტეტი ფლობს. კაფე **"ხადილის"** დირექტორები კი გიული ალასანია და გიორგი მეტრეველი არიან. საქართველოს უნივერსიტეტი 14%-იან წილს ფლობს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის დამფუძნებელი და პრორექტორი გიული ალასანიაა. ეს უნივერსიტეტი თურქული კაპიტალით დაფუძნდა, უფრო ზუსტად კი, თურქეთში ცნობილი თეოლოგისა და ისლამის მქადაგებლის, ფუთჰულაჰ გიულენის კომპანია **"ჩოღლარის"** ინვესტიციით. სხვათა შორის, ჯონდი ბაღათურია ამბობს, რომ გიული ალასანიამ ხელი შეუწყო საეჭვო წარმოშობის თურქული კაპიტალის შემოსვლას საქართველოში და რადგან შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი თურქულმა კომპანია **"ჩოღლარმა"** დააფუძნა, ექსპრეზიდენტის ოჯახი თურქულ სპეცსამსახურებთან კავშირშიც ამხილა.

"ჩოღლარის" სასწავლო დაწესებულება საქართველოში მართლაც თვალშისაცემია. მათ შორისაა დემირელის სახელობის საბავშვო ბაღი, თბილისის სკოლა-ლიცეუმი **"სხივი"**, ბათუმის რ. შაჰინის სახელობის დაწყებითი სკოლა, რუსთავის რუსთაველის სახელობის დაწყებითი სკოლა, ბათუმის უნივერსიტეტის მოსამზადებელი კურსები და ენათა ცენტრი, დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი, ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლა, ბათუმის რ. შაჰინის სახელობის დაწყებითი ლიცეუმი, ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის ლიცეუმი, რუსთავის რუსთაველის სახელობის ლიცეუმი, მარნეულის უნივერსიტეტის მოსამზადებელი კურსები და ენათა ცენტრი.

ვინ არის ფუთჰულაჰ გიულენი?

ფუთჰულაჰ გიულენი 1941 წლის 27 აპრილს დაიბადა თრუქეთში, ერზერუმის ოლქის ხასანკალის რაიონის სოფელ ჰულლაჰ ქორუჯუქში. ყურანის შესწავლის შემდეგ, ფუთჰულაჰ გიულენი ჰაფიზი ანუ ყურანის ზეპირად მცოდნე და პროფესიონალი მკითხველი გახდა. 1964 წლიდან, გიულენი ყურანის მასწავლებლად დაინიშნა მეჩეთ დარულ ჰადისში, სადაც იმამის მოვალეობასაც ასრულებდა. სხვადასხვა დროს, თურქეთის ტერიტორიაზე, გიულენმა ჩამოაყალიბა კერძო წრეები, სადაც რელიგიურ საკითხებს ასწავლიდა. ფუთჰულაჰ გიულენი თავისი ტოლერანტობითა და ისლამურ რელიგიაში სრულიად ახალი შეხედულებებით გამოირჩევა, რაც რადიკალურად განასხვავებს მას ფუნდამენტალისტებისგან. გუილენმა არაერთი ნაშრომი დაწერა, სადაც აღნიშნა, რომ ისლამური რელიგია ტერორისტობასა და რადიკალიზმს არ ნიშნავს. ამ ტიპის შეხედულებების გამო, გიულენი მთელ მსოფლიოში აღიარებული ინტელექტუალი და მოაზროვნეა, რომელიც სხვადასხვა დროს დიდი პატივით მიიღო როგორც რომის პაპმა, ასევე მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარტმა, ბუდისტებმა და ებრაელთა კავშირმაც კი.

ფუთჰულაჰ გიულენი თურქეთში აღიარებული თეოლოგი, მოაზროვნე და მწერალია. მისი ძალისხმევით გაიხსნა სასწავლებლები, რომლებმაც მსოფლიო სამეცნიერო ოლიმპიადებზე წარმატებები მოიპოვეს. თურქმა ბიზნესმენებმა ეს სასწავლებლები სანიმუშოდ მიიჩნიეს და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, მსგავსი ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებები გახსნეს. განათლების სფეროში დამსახურების გამო, ფუთჰულაჰ გიულენი უდიდეს პიროვნებად ითვლება არა მარტო თურქეთში, არამედ – მთელ მსოფლიოში. მეტიც, მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქთან, ბართოლომეოსთან შეხვედრის შემდეგ, 2000 წელს, გიულენმა ერთ-ერთ ნაშრომში აღნიშნა, რომ მუსულმანებმა და ქრისტიანებმა ერთად და მშვიდობიანად უნდა იცხოვრონ. გიულენის სიტყვებია ისიც, რომ ქრისტეშობიდან 2000 წელი მუსულმანებისთვისაც ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ქრისტიანებისთვის, რადგან იესო ქრისტე ყურანში მოხსენიებულია, როგორც ისა წინასწარმეტყველი.

2001 წელს, **"საქართველოს რესპუბლიკაში"** გამოქვეყნდა სტატია ფუთჰულაჰ გიულენის მოღვაწეობის შესახებ. ავტორი თურქეთის მწერალთა და ჟურნალისტთა ფონდის საპატიო თავმჯდომარესთან, ფუთჰულაჰ გიულენთან შეხვედრის დეტალებს იხსენებს, რომელიც 1998 წელს, სტამბოლში შედგა. აი, რას ამბობდა გიულენი საქართველოზე ჯერ კიდევ 1998 წლის ზაფხულში: **"მე და ჩემი მეგობრები, ყოველთვის მომხრე ვიყავით საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობებისა. თუკი ფათიჰის უნივერსიტეტში ჩინურ, იაპონურ ან ესპანურ ენებს ასწავლიან, რატომ არ უნდა ესწავლებინათ ქართულიც ანუ ჩვენი მეზობელი ქვეყნის ენა? ამიტომაც გავხსენით ფათიჰის უნივერსიტეტში ქართველოლოგიის ფაკულტეტი, მაგრამ ასეთი ფაკულტეტები თურქეთის სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც უნდა გაიხსნას, რაც დიდ სარგებლობას მოუტანს ორივე მხარეს. კარგია, რომ საქართველოში არის თურქული სკოლები, რადგან დადგა დრო, თურქეთმა და საქართველომ კეთილგანწყობილად ვიცხოვროთ".**

ამ ფონზე, ბევრი, უსაფუძვლოდ მიიჩნევს, საზოგადოების ნაწილში დამკვიდრებულ აზრს, რომ აღნიშნულ სასწავლებლებში მართლმადიდებელი, ტრადიციული ოჯახისშვილების, ქართველების გადაგვარების საშიშროებაა. თუმცა, გამოძიების მთავარი საფიქრალი ახლა სხვა თემაა – უახლოეს მომავალში გაირკვევა, რამდენად კანონიერად ჩაიგდო ხელში ექსპრეზიდენტის ოჯახმა სხვადასხვა შენობა და შესაბამისად, ისიც გადაწყდება, ჩამოართმევენ თუ არა სააკაშვილ-ალასანიებს კონკრეტულად, ამ ქონებას.

რ. შელია, მ. მიშელაძე

გაზეთ "ილორის" კომენტარი: აი, როგორ ძალას წარმოადგენს ერთიანობაში – "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" და, კონკრეტულად – მისი კანდიდატი ქალაქ თბილისის მერობის პოსტზე ნიკანორ მელია. როცა პირწავარდნილი ნაცები "ქართულ ოცნებას" ცხვირში ატენიან ბრალდებას იმის თაობაზე, რომ თქვენი ამრჩევი ხალხისადმი მიცემული დანაპირები ვერ შეასრულეთო, არ შეიძლება მათ არ დავეთანხმო – "ქართული ოცნების" ერთ-ერთი მთავარი დანაპირები გახლდათ სამართლიანობის აღდგენა, რაც თავისთავად გულისხმობს ამ დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრების მიერ უკანონოდ მითვისებული ქონებისა და ფინანსების ამოღებას და ყველა დამნაშავე ნაცის ციხეში გასტუმრებას! და ვიდრე "ოცნებისტები" ამ დანაპირებს არ შეასრულებენ და კვლავაც ამერიკელების მიერ "შემოტენილი" ავადსახსენებელი კოჰაბიტაციით მოეპყრობიან ამ სისხლის სამართლის დამნაშავეებს, უნდა იცოდნენ, რომ ისინი საბოლოოდ დაჰკარგავენ ქართველი ხალხის ნდობას, რაც აუცილებლად აისახება მომავალი არჩევნების შედეგებზე!

რა მეთოდით მართავს სამედიცინო მაფია ჯანდაცვის სისტემას

ჩვენმა გაზეთმა არაერთგზის გამოაქვეყნა საქართველოს სხეულში ავთვისებიან სიმსივნედ ჩაბუდებული ფარმაკომაფიის მამხილებელი წერილი, რომელსაც, უტყუარი ვარაუდით, ნაციონალი პარლამენტარი გიგი წერეთელი მფარველობს და ლობირებს. ფაქტია, რომ პრეპარატების უცხოეთიდან შემოტანას და რეალიზაციას რამდენიმე ფირმა ახორციელებს, რომელთაც ფარმაკობაზარზე მონოპოლია გააჩნიათ და მაქსიმალური მოგების მიღებისათვის კაპიკებში ჩამოტანილ პრეპარატებს სისხლის ფასად ჰყიდიან, რაც აძლიერებს ხალხის ნიჰილიზმს და მიუხედავად საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის ამოქმედებისა, ხალხის მდგომარეობა მაინც არასახარბიელო რჩება, ახალი ხელისუფლება კი ჯერ ვერ უმკლავდება გათავხედებულ ფარმაკომაფიას, რამაც შეიძლება ხალხის გულისწყრომა გამოიწვიოს.

საქართველოს კონტროლის პალატის მიერ დადებულმა დასკვნამ ჯანდაცვის სისტემაში გამოვლენილ დარღვევაში დაადასტურა, რომ კარგად გაპიარებული დაცვის სისტემა ავადსახსენებელი "ნაციონალების" მმართველობის მძიმე პერიოდიდან გადმოყოლილი ფულის კეთების მექანიზმი უფროა, ვიდრე საზოგადოების ჯანმრთელობაზე ზრუნვა. მოკლედ რომ ვთქვათ, პრობლემებია დაზღვევაშიც. ამას კიდევ ეშველებოდა რამე, მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ ჯანდაცვის მთლიან სისტემას აქვს პრობლემები. სამედიცინო მომსახურეობის ხარჯები კატასტროფულად იზრდება, ხარისხი კი, რბილად რომ ვთქვათ, მოიკოჭლებს. საინტერესოა, როგორ ცდილობს სახელმწიფო ამ პრობლემის მოგვარებას? სპეციალისტები თვლიან, რომ თუკი ჯანდაცვის სისტემის ფეხზე დაყენება ამ სისტემით გაგრძელდება, როგორც ეს დღეს ხდება, სულ რაღაც ათიოდე წელიწადში, ქართული მედიცინა აღარ იარსებებს. უფრო კონკრეტულად მკითხველს ამ საკითხზე არასამთავრობო ორგანიზაცია "ჯანმრთელი სამყაროს" თავმჯდომარე ზურაბ ფუტკარაძე ესაუბრება. მართალია, ეს წერილი ჯერ კიდევ იმ ავბედით დროს გამოქვეყნდა (2011 წლის ივნისი), როცა ქვეყანას წურბელებად ასხდნენ კისერზე ნაციონალები და მათი დორბლიანი ბელადი საკაშვილი, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამ სფეროში მდგომარეობა ახალი ხელისუფლების პირობებშიც კი მძიმე რჩება:

ჩვენს ქვეყანაში დღეს ძალიან მოდაშია რეფორმების გატარება. ჯანდაცვაში ეს რეფორმები დაიწყო 1995-96 წლებიდან და დღემდე მიმდინარეობს, მაგრამ ამას რეფორმებს ვერ უწოდებ. პირიქით, ჯანდაცვაში უკან მიდის საქმე. აქ არის ერთი საინტერესო მომენტი: ამ რეფორმებით უკმაყოფილოა პაციენტიც და ექიმიც. თითქოს ფასებიც მატულობს და ექიმის პირობები და მომსახურეობის ხარისხი უნდა გაუმჯობესდეს, მაგრამ ასე არ არის. ორივე უკმაყოფილოა.

– კმაყოფილი ვინ არის?

– მოდით, ამ შეკითხვას თანმიმდევრულად გავცეთ პასუხი. დაუშვებელია, როცა საავადმყოფოების 100-პროცენტიანი გასხვისება ხდება. ზეგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც კი არის სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი საავადმყოფოები. ჩვენთან კი მალე ასეთი აღარ იქნება. თავიდან იყო საუბარი, რომ არ უნდა გაყიდულიყო ღუდუშაურის კლინიკა, რესპუბლიკური და იაშვილის საავადმყოფოები, რათა დაუცველ ფენებს რაღაც შეღავათები ჰქონოდათ, მაგრამ პირობა დაირღვა. რამდენიმე თვეა იაშვილის კლინიკა გასხვისდა, სხვისდება დანარჩენი ორიც და ახლა უკვე ონკოლოგიურის გაყიდვაზეც მიდის საუბარი, მაგრამ ეს ხდება შენიღბულად, საბოლოოდ კი არც ერთი საავადმყოფო არ დარჩება გაუყიდავი.

– ამას რატომ აკეთებს სახელმწიფო?

– სახელმწიო სტრუქტურებმა რომ ხელები დაიბანონ. თქვენ კარგად იცით, რომ ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა ძალიან მძიმეა, ხოლო ჯანდაცვა არის ძვირადღირებული ფუფუნება. მოქალაქეს რაღაც გამოსავალი რომ ჰქონდეს, არის დაზღვევა, როთაც სოციალურ დახმარებაზე მყოფი ადამიანები სარგებლობენ. კონტროლის პალატის დასკვნით, მილიონზე მეტი ადამიანი იყო დარჩენილი დაზღვევის გარეშე და ვისაც ეკუთვნოდა, მათ ნახევარსაც კი არ უსარგებლია. შესაბამისად, გამოყოფილი ფულის ნახევარიც აორთქლდა, წავიდა ვიღაც ბიუროკრატების ჯიბეში. ამ შემთხვევაში, ბიუროკრატებად ვთვლი მათ, ვინც საავადმყოფოს მენეჯმენტს ახორციელებს. სხვათა შორის, ზემოდნახსენებმა რეფორმამ დღეს ის მოგვიტანა, რომ ადრე დაწესებულებაში თუ მუშაობდა 100 სამედიცინო მუშაკი, აქედან 10 მენეჯმენტს ახორციელებლდა, 90 კი ექიმი იყო. ახლა ექიმებს ამცირებენ და მენეჯერების რიცხვს ზრდიან. საავადმყოფოში პერსონალის ნახევარი ხელმძღვანელია, ნახევარი კი ექიმი. ესეც პასუხი თქვენს შეკითხვაზე, თუ ვინ არის კმაყოფილი რეფორმებით. თუმცა, მხოლოდ მენეჯმენტს არ ეხება საქმე. მათ ჯიბეში რომ მიდის აორთქლებული ფული, ეს ასეა, მაგრამ აქ ჩარეული რომ არ იყოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, გამორიცხულია, რადგან თვითონ ის აძლევს დაზღვევის ფულს, აკონტროლებს სადაზღვევო კომპანიებს და ანგარიშს იბარებს მათგან. მეორე მხრივ, შექმნილ სიტუაციას სახელმწიფო იყენებს თავის სასარგებლოდ. მას ხელ-ფეხი ეხსნება იმის სათქმელად, რომ ჩვენ კი ვმართავთ, მაგრამ რთული სამართავია და გასხვისების შეთხვევაში, კერძო კლინიკები უფრო კარგად გაართმევენ თავსო.

– ანუ, თავიდან იცილებენ, მაგრამ თუკი, ვთქვათ, ჩინელებს მიჰყიდიან ონკოლოგიურს, ამით რა ხეირს ნახავენ?

– სახელმწიფო ერთჯერადად იღებს, ვთქვათ, 15 მილიონს. შემოვა ჩინელი ინვესტორი, რაღაცას გადაღებავს, რაღაცას გადააადგილებს, თითქოსდა გავარემონტეო და მერე იტყვის, რომ ინვესტიციაში ჩადებული ფული უნდა ამოიღოს. აქედან გამომდინარე, მოიმატებს ფასები. თუ რაღაც ოპერაცია დღეს ღირს 2 ათასი ლარი, გახდება – 5 ათასი. ასეთი ბედი ელის ყველა დანარჩენ საავადმყოფოებს.

– ჩვენ გვაქვს ძალიან ძლიერი სამედიცინო სკოლა და გვყავს ნიჭიერი მკურნალები. დღეს მიმდინარეობს მათი შევიწროება. რატომ?

– მედიცინის გარკვეული დარგები არის მონოპოლიზირებული. იგივე ონკოლოგიური რომ ავიღოთ, მისი ხელმძღვანელობის მიზანია, რომ ნებისმიერმა ავადმყოფმა მიმართოს მხოლოდ მას. მოტივი ასეთია: სხვაგან ვერსად გიშველიან, სხვა წამალი არ მოგარჩენთ. მხოლოდ ჩვენ და ჩვენი დანიშნული წამლებით მკურნალობა იძლევა ეფექტს. თუმცა, ეს წამლები, რომელიც ონკოლოგიურს შემოაქვს, ესეც ერთგვარი ბიზნესია. წამლის მწარმოებელი კომპანია დებს შემომტანთან ხელშეკრულებას და ეუბნება: თუ ჩემს წამლებს გამოიყენებ, მოგების 5-10 პროცენტს გიტოვებო. აქედან გამომდინარე, როგორ გგონიათ, ნიჭიერ ექიმებს ვინმე გაახარებს? ავიღოთ თუნდაც სახალხო მკურნალ დომენტი გაგნიძის საკითხი, რომელიც ძალიან პოპულარულია და შესწავლას საჭიროებს. რაც ამ კაცის გარშემო ატყდა, ესეც სახელმწიფო სტრუქტურის ბრალია. წამლის სააგენტო, რომელსაც უნდა ჩაეტარებინა კვლევები, გააუქმეს და ერთ განყოფილებად აქციეს რეგულირების სააგენტოში. ამიტომ აღარ შეუძლიათ სრული კვლევა ჩაატარონ ამ წამალზე, მაგრამ მე ვიცი, რომ გაცემულია დასკვნა, რომ მისი, როგორც სტიმულატორის გამოყენება, შეიძლება. სხვა კვლევები არ არსებობს, ექსპერტების ცნობის გარდა და იმ ფორმით, როგორც დომენტი გაგნიძეს ებრძვიან, არ შეიძლება. როცა ტელევიზიები გადაცემას ამზადებდნენ, რომ ამ კაცია წამლები მიიღეს და ცუდად გახდნენ, ასეთი გადაცემების გაშვება წარმოუდგენელი ბოროტებაა, ხოლო მათი ავტორები აშკარად სუბიექტურები არიან (უფრო სწორად, გადამცემის ავტორს, ვიღაც ჟურნალისტად წოდებულ ნოდარ მელაძეს ჩვენ სულგაყიდულ არამზადას დავარქმევდით, რადგან სწორედ მან გააყალბა თავის გადაცემაში ფაქტები დომენტი გაგნიძის წინააღმდეგ – "ილორი"). მსგავსი დასკვნები ორ-სამ დღეში არ კეთდება, მაგრამ მაინც აკეთებენ, რადგან აქ არსებობს მაფია.

– რას წარმოადგენს ეს მაფია?

– ყველა, ვინც იძახის, რომ გაგნიძის წამალი უარყოფითად მოქმედებს, არის ჯანდაცვის სისტემაში რაღაც მაფიაში ჩართული. მე არც ამ კაცს ვიცნობ და არც მისი წამლები ვიცი. წამლის სააგენტოში მითხრეს, რომ როგორც სტიმულატორი, კარგიაო (სინამდვილეში კი გაგნიძის პრეპარატი უტყუარად არჩენს ავთვისებიან სიმსივნეს მესამე სტადიაშიც კი – "ილორი"). სტიმულატორი რომ არის, კარგია, რადგან ადამიანის იმუნიტეტს მაღლა სწევს, მაგრამ კონკრეტულად რას შველის (არა და, როგორც ირკვევა, მართლაც უამრავ დაავადებას შველის – "ილორი"), ამას გამოკვლევები სჭირდება. ამის გარეშე დასკვნების გაკეთება არ შეიძლება. ესენი კი აკეთებენ. ეს არის მაფიის სტილი. იგივე კიბოსთან დაკავშირებით, ის ქიმიოთერაპიული წამლები რაც შემოდის, არის ძალიან ძვირადღირებული. ყველა არის შეკრული მწარმოებელ ფირმასთან და ხელშეკრულებაა, რომ ამ წამლების გასაღების შემთხვევაში მოგების 10 პროცენტი ადგილზე რჩება. რაში აწყობს საავადმყოფოს ასეთი შემოსავლების დაკარგვა? ჰყავს ბევრი ავადმყოფი და მკურნალობს. ერთ მშვენიერ დღეს კი მათი ნახევარი გაიქცა გაგნიძესთან. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ მტკივნეულად განიცდიან ამას და რა ზომებს მიმართავენ.

– გასაგებია, რომ არსებობს მონოპოლისტი და აქეთ კონკურენტი გაგნიძე. არის მესამე მხარეც, სახელმწიფო, რომელიც აშკარად პირველის მხარესაა. ამის მიზეზი რა არის?

– სახელმწიფო ინტერესები რაშია იცით? ვერავინ დამარწმუნებს, რომ კონტროლის პალატის დასკვნა, რომლის მიხედვითაც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა დაზღვევებში 45 პროცენტი არამიზნობრივად არის დახარჯული, ამაში სახელმწიფოს გარკვეულ მოხელეთა ჯგუფის ინტერესები არ იყოს. ანუ, ყველაფერი უკავშირდება ჯგუფის ინტერესებს. სინამდვილეში, საქმე გვაქვს ერთ ვერტიკალთან. ვინც საავადმყოფოებს ასხვისებს, წამლების ბიზნესს ეწევა და ინოვაციებს ებრძვის, ეს ერთი და იგივე ჯგუფია. ასე რომ, არამარტო დომენტი გაგნიძეს და სხვა წამლების შემქმნელებს, არამედ ყველა ექიმს აქვს გარკვეული პრობლემები. ყველამ ერთად უნდა ამოიღოს ხმა, მათ შორის, პაციენტებმაც. სამწუხაროდ, ჩვენთან ძალიან დაბალია სამოქალაქო აქტივობის დონე. ექიმები გვიყვებიან, რომ გვზღუდავენო. ვეუბნებით, რომ სასამართლოს მიაკითხონ. რას ამბობთ, სამსახურიდან გამოგვიშვებენო. ასეთი გაშვებული ექიმებიც მოდიან, იმათ კიდევ ეშინიათ, დაგვიჭერენო და აღარავინ იღებს ხმას.

– რა უნდა გაკეთდეს, რომ ეს ექიმები შევინარჩუნოთ?

– პოლიტიკური ნება უნდა არსებობდეს. ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს კვლევების ჩატარებას. მკურნალებშიც შეიძლება იყოს შარლატანი, მაგრამ პატიოსანი ხალხიც ხომ არიან, სწორედ ამას უნდა შესწავლა. სამწუხაროდ, დღეს ასე არ არის. რასაც ტელევიზიები აკეთებენ, ეს არის მხოლოდ დაკვეთა იმ ჯგუფებისა, რომელიც მედიცინის სფეროში გარკვეულ ბერკეტებს ფლობს და ყოველგვარი სიახლე აშინებს.

ერთი სიტყვით, სპეციალისტები აღიარებენ, რომ დღეს ქართული მედიცინა ერთი მუჭა ადამიანების მიერ იმართება. ამ ჯგუფს მხოლოდ საკუთარი გამდიდრება აქვს მიზნად. სამაგიეროდ, არავინ ითვალისწინებს ექიმებისა და პაციენტების ინტერესებს. არადა, სამედიცინო მომსახურების მხრივ, უმძიმეს მდგომარეობაში ვიმყოფებით. გაურკვეველი დაზღვევებისა და გაძვირებული მომსახურეობის პირობებში, ექიმთან ვიზიტი შეუძლებელი ხდება. ასე რომ, დაღუპულია, თუკი გამოსავალი დროებით არ იპოვა. გამოსავალი კი ერთია – ჯანდაცვის სისტემის ნგრევის შეჩერება და იმ ხალხის გვერდში დაყენება, ვისაც მედიცინაში თავიანთი ინოვაციებით ახალი სიტყვის თქმა შეუძლია.

სახალხო მკურნალ დომენტი (ბიჭიკო) გაგნიძის კომენტარი: ვერ წარმოიდგენთ, როგორ განვიცდი ბრალდებებს, თითქოს მე თაღლითი და მატყუარა ვიყო. ღმერთო, დამიფარე ყოველივე ამისგან. არ ვიცი, რა გავაკეთო მე ჩემი ხალხისათვის და საერთოდ, ხალხისთვის სიკეთე მინდა და ამის საშუალებას არავინ მაძლევს. დამიმტკიცონ, რომ მე ნამდვილად მატყუარა მამაძაღლი და თაღლითი ვარ. ამის შემდეგ მე მოვითხოვ, სამაგალითოდ დამსაჯონ. არადა, პასუხი აგონ, ვინც ასე უსაშველო ტკივილი მომაყენა. მე, სახალხო მკურნალი დომენტი გაგნიძე ვარ და ვაცხადებ, რომ მარტო საქართველოს კი არა, მსოფლიო მედიცინას არ გააჩნია მსგავსი სამკურნალო საშუალება. ვერ წარმომიდგენია, რატომ არ სურთ ზოგიერთებს ამის აღიარება? განა შეიძლება უფრო დიდი მტრობა გაუწიო შენს ქვეყანას, ვიდრე დღეს ხდება? აი, რას მირეკავენ ამერიკიდან. ქალს, რომელსაც მეტასტაზები ჰქონდა მთლიანად მუცელში, პირველი კურსი ჩემი წამლები მიუღია. მანამდე უგონოდ ყოფილა საწოლს მიჯაჭვული. მირეკავენ ფეხები გაშავებული ჰქონდაო და თავისი ფერი მიუღია. ჩემი წამლებით, თურმე, ძალიან კმაყოფილები არიან. მისი გოგო მოვიდა და ორი კურსი გაუგზავნეს ამერიკაში. ნუთუ, ვინმეს შეუძლია მეტის გაკეთება? თუკი შეუძლიათ, რატომ დუმან? თუკი ჩვენი ქვეყნისათვის სიკეთე გინდათ, მხარში უნდა ამოგვიდგეს, ჭირი და ლხინი ერთად გავიზიაროთ. ოღონდ სიმართლე თქვით ყოველთვის. ამ ყველაფერს ვწერ ჩემი სამშობლოს, ჩემი ხალხის სიყვარულით.

დიდი პატივისცემით,

დომენტი გაგნიძე,
სახალხო მკურნალი

გაზეთ "ილორი"-ს კომენტარი: მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება შეიცვალა და ნაცებმა პოლიტიკურ მოუსავლეთში გადაინაცვლეს, სამედიცინო სფეროში კი მნიშვნელოვანი დადებითი ძვრები განხორციელდა – ნარკომაფია მაინც ძველებურად ლაღად და დაუსჯელად მოქმედებს.

ერთი შეხედვით, მართლაც დაუჯერებელია, რომ ერთადერთმა პრეპარატმა უამრავ მძიმე დაავადებას უმკურნალოს, რომელთა მეტი წილი მოურჩენლად და საბედისწეროდ არის აღიარებული მსოფლიოს კლასიკური მედიცინის მესვეურთა მიერ. თუმცა, ბატონი ბიჭიკო ამაში უცნაურს ვერაფერს ხედავს და განმარტავს, რომ ყოველი ამქვეყნიური სიცოცხლე ბუნების წიაღიდან მოდის და მისი პრეპარატების საიდუმლოც ბუნების მიერ "ბუნებრივად გამოყვანილი" ყვავილები და ბალახებია, რომელთა ფარმაცევტული შესაძლებლობა კაცობრიობის მიერ ჯერ კიდევ ზერელედ არის შესწავლილი.

მაგრამ, რევანშის გრძნობით გამსჭვალული ფარმაკომაფია ამოქმედდა და საკმაოდ ძლიერი იერიში მიიტანეს სახალხო მკურნალზე.

შურისძიების იარაღად გამოყენებული იქნა იმ დროს ნაციონალების კონტროლქვეშ მოქცეული ტელეარხი "იმედი", სადაც მოწვეული იქნენ სპეციალისტები და სახალხო მკურნალი. ღონისძიებას ცოცხალ მოწმეებად ესწრებოდნენ გაგნიძის მიერ განკურნებული ადამიანები, მაგრამ მათ არავინ მოუსმინა. ძირითადად გაგნიძეს ბრალდებას უყენებდა რამდენიმე ანგაჟირებული პირი, რომელთა მტკიცებით თითქოს მათ ახლობლებზე დამღუპველი გავლენა იქონია სახალხო მკურნალის პრეპარატმა. და რაც მთავარია – არავითარი კონკრეტიკა, გაგნიძის წამალი უვარგისი და საშიშია ადამიანებისათვის!

ვერც მოწვეულმა სპეციალისტებმა თქვეს ვერაფერი კონკრეტული გაგნიძის პრეპარატების ავ-კარგზე და არც მათ მიიღეს მხედველობაში ის გარემოება, რომ მათივე კოლეგების დასკვნით გაგნიძის წამალს არ გააჩნია არავითარი გვერდითი მოვლენა და იგი ფაქტიურად წარმოადგენს ბიოსტიმულატორს, რომელსაც გააჩნია გარკვეული საკურნალო თვისებებიც. არც იმ ადამიანების აზრით დაინტერესებულა ვინმე, რომელთაც კომპეტენტური ექიმების დასკვნით რამდენიმე კვირის სიცოცხლე ჰქონდათ დარჩენილი, გაგნიძის პრეპარატების მიღების შემდეგ კი დღესაც – ამ ამბიდან სამი წლის შემდეგ ჯანმრთელები არიან და შრომას აგრძელებენ (ღმერთმა დღეგრძელ ჰყოს ისინი!).

ჯერჯერობით კი გაგნიძე აგრძელებს ბრძოლას ფარმაკომაფიის სპრუტთან სასამართლოს მეშვეობით, თუმცა ჯერ კიდევ ნაცებით გადატენილი სასამართლოსაგან ობიექტური განაჩენის დადგომა გამორიცხულია! და დადის მაფიისაგან დაჩაგრულ-გაძარცვული სახალხო მკურნალი ინსტანციიდან ინსტანციაში და ამაოდ ეძებს სამართალს, რომელიც მას საგულდაგულოდ ემალება ცივსისხლიანი ბიუროკრატიის ბნელ დერეფნებში...

როდემდე?

როლანდ ჯალაღანია,
ჟურნალისტი

მხატვრის სახელოსნოში

ალეკო შენგელია

ფიქრი, რომელიც დაბადა კორნელი სანაძის ფერტილომ „ტერენტი გრანელის სიკვდილი“.

ფერფლს და მეწამულ ფერთა ნაფენებს,
ამბოხებისგან დაწყვეტილ ვენებს
და უკანასკნელ იმედჩახვეულ
ეკლის გვირგვინით დაკაწრულ სხეულს,
განა ამ ქვეყნად ყოფნის უარით
შემოხვევია ტანზე მუარი.
ვით ოსირისი მისმა იზიდამ,
მაღლა რომ ვერვინ ვერ აიზიდა,
გაცრუებული ყველა ზმანება
მას ერთი დარდით აზანზარებდა:
„მე რომ ვერ შევძელ გასვლა მიწიდან,
ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას!“
რა უბედური ხვედრი ახევებს,
ჩამქრალ გენიას, ჩამცხრალ გენიას?
ღონეგამოცლილ, ჩამოყრილ ხელებს
სიკვდილის ჩრდილად გადაჰფენია

ტერენტი გრანელის მონოგრამა:
– ტანჯვა და გვემა!
ფრთები დაემსხვრა, ფრთები, თუ არა
ტალღებმა თავზე გადაუარა
და ქარიშხლებმა გადაუარა,
ოცნებაზე კი ვერ თქვა უარი!
ცრემლსა და სისხლში მიწყდა გამები,
ძევს უცხო ტახტზე ტერენტი გრანელი.
იკაროსავით მზე ფრთებს ულოკავს,
უსასოო და უაღსარებო
იმ დიდ დედოზარს,
რომელიც ვეღარავის ჩამოურეკავს.
და მესმის კვნესა,
სულს რომ კვლავ სტკივა
დარდი ამბოხის და გახელების:
„რანაირი ნაწამები მივალ,
მიმაქვს მკერდზე დაკრეფილი ხელები!“
...ვშორდები ტილოს;
გონებას რჩება ტახტი და ფარჩა
და ვფიქრობ,
გარეთ მზეა
და ტერენტი ვინ დაიტიროს,
თუ არა ამ ტილომ
და იმ სინანულმა, რასაც ვერ სძლია,
რადგან ადრე გაჩნდა.

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, საქართველოს სახალხო მხატვრმა, პროფესორმა კორნელი სანაძემ შექმნა ეს ფერტილო – „ტერენტი გრანელის სიკვდილი“.

16 ივნისს, ძველი სტილით 1898 წლის 3 ივნისს, დაიბადა ტერენტი სამსონის ძე კვირკვაია, რომელიც ტერენტი გრანელის ფსევდონიმით შევიდა ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში და დღეს ამ ისტორიის ერთ-ერთი ძალზე საინტერესო ფურცელია.

“მოვლენა, რომელმაც ევროპა შეძრა” – მალე საქართველოში ქეთევან დედოფლის წამების ამსახველი ფრესკების ასლებს ჩამოიტანენ

მალე საქართველოში ქეთევან დედოფლის წამების ამსახველი ფრესკების ასლებს ჩამოიტანენ. ამის შესახებ **“ფეისბუქის”** პირად გვერდზე ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ვაჟი, კოკო გამსახურდია წერს.

“ქეთევან დედოფლის წამება, ასახული ლისაბონის მონასტრის კედელზე, ისეთ მოვლენათა რიგს განეკუთვნება, რომელმაც ევროპა შესძრა. შაჰ-აბას პირველი, რომელსაც თავისმა ხალხმა და მეისტორიეებმა უდიდესი წარმატებების გამო სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში “ქაბირი” ანუ “დიადი” უწოდეს, ევროპის სტრატეგიულ პარტნიორად მოიაზრებოდა ერთ ხანს. ასევე ცნობილია ამ მმართველის დამოკიდებულება საქართველოს ერთ-ერთ სამეფოსთან – ქართლ-კახეთთან მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეთა მიჯნაზე: ისფაჰანი არ ფიქრობდა ოდესმე შეგუებოდა მის დამოუკიდებლობას, დღის წესრიგში იდგა ქვეყნის იძულებითი მუსლიმიზაცია-შიიტიზაცია და ფაქტობრივად ბიბლიური ნაბუქადნეზარის აქტის განხორციელება, რაც ქართველთა მასობრივ დეპორტაციას გულისხმობდა ირანში (კარგი იქნება, თუ ამ მოვლენას სათანადოდ შეაფასებენ ისინიც, ვინც დღესაც თავგამოდებით ამტკიცებს, რომ “გეორგიევსკის ტრაქტატი” დამღუპველი იყო საქართველოსათვის – გაზეთი “ილორი”). დაშლილი საქართველოს სამეფოთა თუ სამთავროთა მმართველების, დედოფლების, უფლისწულების და თავადების პოლიტიკა ირანთან მიმართებაში მერყეობდა შეურიგებლობიდან პოლიტიკურ პრაგმატიზმამდე, პრაგმატიზმიდან კი ოპორტუნიზმამდე, რაც სრულ ირანიზაციას და გამუსლიმებას გულისხმობდა.

როგორც ირკვევა, მძევლად მყოფ ქეთევან დედოფალს შეეძლო წლების მანძილზე ისე ეცხოვრა ირანში, რომ თავის სარწმუნოებაზე დარჩენილიყო. მაგრამ გარკვეულ მომენტში შაჰმა სხვა გადაწყვეტილება მიიღო, გამუსლიმებულ ქართველებთან ურთიერთობისას, რომლებიც მნიშვნელოვან თანამდებობებს იკავებდნენ ირანში. როდესაც შაჰი ეკითხებოდა მათ, თუ რატომ რჩებოდნენ მათი დედები ქრისტიანობაზე, ისინი პასუხობდნენ, ქეთევან დედოფლის გამო რჩებიანო ასეთებად, მას ხათრს ვერ უტეხავენო.

ქეთევანს შეეძლო შაჰის ულტიმატუმი გარეგნულად მიეღო, მერე კახეთს დაბრუნებულიყო და კვლავ განეგრძო ქრისტიანად ყოფნა, მაგრამ ასეთი სიცოცხლე უკვე ნაზრახი იქნებოდა მისთვის. წამხედურა, დამპყრობლის ძლიერებით აღტაცებული ქართველების დიდი მასა კი უპირობოდ გადადიოდა შიიტურ ისლამზე.

ქეთევანის წამებამ შესძრა საქართველო, ირანი და ევროპა. მისი ქმედება უდიდეს მორალურ ძალად იქცა, რომელმაც განაპირობა ქართველთა ერთიანობა. მარტყოფისა და მარაბდის ველები არიან ამისი მომსწრენი, სადაც ირანის სამხედრო ძლიერება დაიმსხვრა.

დიდი მადლობა ეკუთვნის მამუკა ხაზარაძეს ამისთვის!” – წერს კოკო გამსახურდია.

შუკო ჯიქია – 65

ცნობილ მწერალს და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მწერალთა აკადემიის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული განყოფილების თავმჯდომარეს, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” გულწრფელ მეგობარს, შუკო ჯიქიას ა.წ. 28 ივნისს 65 წელი შეუსრულდა.

ვულოცავთ ბატონ შუკოს ამ იუბილეს, ვუსურვებთ მას ხანგრძლივ, ბედნიერ სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს.

სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ზუგდიდის ორგანიზაციის სახელით,
ზურაბ კვარაცხელია

გამოვიდა ლავრენტი ბერიას თარგმანის მეორე ტომი



გამოვიდა მეორე ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა “ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი”. გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 599.573.322

სვანი ავარიაში მოჰყვა. ექიმი მიმართავს მედდას:
– ჰკითხეთ, ერთი, რა გვარია, მშობლებს რომ შევატყობინოთ.
– ექიმო, ასე მითხრა, ჩემმა მშობლებმა ისედაც მშვენივრად იციან რა გვარიც ვარო...

* * *

ნებისმიერი, ვინც წელს ქვემოთ ურტყამს – ჯუჯაა!

* * *

ექიმი: – ქალბატონო, თქვენ ან გრიპი გჭირთ, ან ფეხმძიმედ ხართ.
– ალბათ უფრო ფეხმძიმედ ვარ, თორემ აბა გრიპი საიდან გადამედებოდა...

* * *

– აკი ვეგეტარიანელი ვარო?
– ვარ კიდეც!
– აბა, კურდღლის ხორცს რატომ ჭამ?
– შური მინდა ვიძიო, კომბოსტოს და სტაფილოს რომ ანადგურებენ.

* * *

გამოცდაზე გასული სტუდენტი კანკალებს. ლექტორი ეკითხება:
– ასე რატომ კანკალებ, ჩემი კითხვების გეშინია?
– არა, ჩემი პასუხების.. – ამბობს სტუდენტი

სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაძირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში

დომენტი გაბნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, ცუჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატებია: თელავი, სოფელი შალაური, გაბნიძე ბიჭიკო (დომენტი). **ტელ: 893-22-66-51**

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო “ისანთან”), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარედ. №01018002930
234-32-95
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ძობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირგატია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჯინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე
WWW.saqinform.ge